დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

ქრისტოფ ზ. გილმოტო
სარა ტაფურო

2017

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

ქრისტოფ ზ. გილმოტო
სარა ტაფურო

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

2017
თბილისი

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში
2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

ავტორები: ქრისტოფ ზ. გილმოტო
სარა ტაფურო

პროფ. ქრისტოფ ზ. გილმოტო არის პარიზის მოსახლეობისა და განვითარების ცენტრის (CEPED) ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – Institut de Recherche pour le Développement (IRD) – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი დემოგრაფიის დარგში. თავდაპირველად, ის მუშაობდა ისტორიული დემოგრაფიის, საერთაშორისო მიგრაციისა და შობადობის შემცირების საკითხებზე სენეგალსა და ინდოეთში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მისი კვლევითი საქმიანობა ძირითადად მიმართულია ევროპასა და აზიაში პრენატალური სქესის შერჩევის პრობლემებზე. ის გახლავთ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების შესახებ მომზადებული ანგარიშის ავტორი (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2012 წ.) და, გავინ ჯონსთან ერთად, თანაავტორი ახლახანს გამოცემული წიგნის „დემოგრაფიული ტრანსფორმაცია ჩინეთში, ინდოეთსა და ინდონეზიაში“ (გამომცემლობა Springer, 2016).

სარა ტაფურო 2015 წლიდან არის ფლორენციის უნივერსიტეტის კურსდამათავრებული და განვითარების ეკონომიკის დარგში მაგისტრის ხარისხის მფლობელი. ის მუშაობს პარიზის მოსახლეობისა და განვითარების ცენტრში (CEPED) დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების საკითხებზე. სარა ტაფურო ხელმძღვანელობდა საქართველოში, კოსოვოსა და ჩრდილოეთ ინდოეთში ჩატარებულ საველე კვლევებს. ამჟამად სარა პარიზის დეკარტის უნივერსიტეტში მუშაობს სადოქტორო ნაშრომზე, რომლის კვლევის საგანსაც წარმოადგენს: ვაჟები, როგორც უსაფრთხოების გარანტორები გენდერულად ტენდენციურ ოჯახურ სისტემებში.

ტექსტის რედაქტორი: თეა მაისურაძე

ინგლისურიდან ტექსტი თარგმნა: მაია გვიტიძემ

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ერთობლივი ძალისხმევით და წარმოადგენს შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული ორი პროგრამის თანამშრომლობის პროდუქტს:

- UNFPA და საქსტატის პროექტი *“სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში”*
- *გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში (UNFPA, UNDP, UN Women)*

პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) შეხედულებებს, ისევე როგორც შვედეთის მთავრობისა და პროგრამის მონაწილე გაეროს სხვა სააგენტოების შეხედულებებს. UNFPA და საქსტატი არ იღებენ პასუხისმგებლობას გამოცემაში არსებულ შესაძლო უზუსტობებზე.

გამოცემის ელექტრონული ვერსია იხილეთ: http://georgia.unfpa.org

პუბლიკაცია დაბეჭდილია შპს „ვესტა“-ს მიერ

ISBN: 978-9941-27-475-6

სარჩევი

სარჩევი	iii
გრაფიკები	v
ცხრილები	vi
წინასიტყვაობა	vii
მადლობა	viii
შემოკლებები	ix
საქართველოს ადმინისტრაციული რუკა	x
ძირითადი შედეგების მოკლე შეჯამება	xi
1. შესავალი	**1**
2. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები	**4**
2.1 სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე მოქმედი ბიოლოგიური მექანიზმები	4
2.2 დემოგრაფიული ქცევით განპირობებული გენდერული დისკრიმინაცია	5
2.3 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის თანამედროვე ტენდენციები	7
2.4 სქესის პრენატალური შერჩევის კონტექსტი	9
3. მონაცემები და მეთოდები	**12**
3.1 მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა	13
3.2 სამოქალაქო რეგისტრაცია და დაბადების რეგისტრაციის ალტერნატიული წყაროები	18
3.3 სხვა წყაროები	24
4. დემოგრაფიული და ოჯახის კონტექსტი	**26**
4.1 თანამედროვე ქართული ოჯახი	26
4.2 შობადობის მიმდინარე ტენდენციები	31
4.3 გენდერული ტენდენციურობა შობადობაში	37
5. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა	**44**
5.1 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები და ბავშვების რიგითობაში დაფიქსირებული სხვაობები	44
5.2 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის სხვაობა, რეგიონებისა და სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით	48
5.3 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტის განმაპირობებელ ფაქტორთა სტატისტიკური ანალიზი	53
5.4 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილება დროთა განმავლობაში	55
6. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების პოტენციური ფაქტორები – თვისებრივი შეფასება	**70**
6.1 „შეზღუდვის" ფაქტორი: შობადობა	71
6.2 მიწოდების ფაქტორი: ტექნოლოგია	73
6.3 მოთხოვნის ფაქტორი: ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება	75

6.4 დამატებითი კომენტარები	90
7. დასკვნა და რეკომენდაციები	**93**
7.1 ძირითადი დასკვნები	94
7.1 რეკომენდაციები	97
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა	**100**

გრაფიკები

გრაფიკი 3.1: დაბადებულთა წლიური რაოდენობა საქართველოში, 1990–2016 წწ.	22
გრაფიკი 3.2: დაბადებულთა თვიური რაოდენობა საქართველოში, 2002–2014 წწ.	23
გრაფიკი 4.1: ოჯახის ტიპები საქართველოში, მოსახლეობის ასაკისა და სქესის მიხედვით	28
გრაფიკი 4.2: შობადობის კოეფიციენტები საქართველოში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2014 წლის მდგომარეობით	33
გრაფიკი 4.3: დაბადებულთა კოჰორტების ზომა საქართველოში, 2000–2013 წწ.	34
გრაფიკი 4.4: შობადობის მაჩვენებლები აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში, 1990–2014 წწ.	35
გრაფიკი 4.5: მომდევნო ბავშვის გაჩენის ტენდენციები, პირველი ბავშვის დაბადების შემდეგ, 2004–2014 წლებში, გენდერული შემადგენლობის მიხედვით	39
გრაფიკი 4.6: მომდევნო ბავშვის გაჩენის ტენდენციები, მეორე ბავშვის დაბადების შემდეგ, 2004–2014 წლებში, გენდერული შემადგენლობის მიხედვით	40
გრაფიკი 4.7: მომდევნო ბავშვის გაჩენის ტენდენციები, მესამე და მომდევნო ბავშვის დაბადების შემდეგ, 2004–2014 წლებში, გენდერული შემადგენლობის მიხედვით	41
გრაფიკი 5.1: დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების პროცენტული წილები, დაბადების რიგითობისა და გენდერული შემადგენლობის მიხედვით, 2004–2014 წლებში	47
გრაფიკი 5.2: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, რეგიონების მიხედვით, 2010–2014 წლებში	48
გრაფიკი 5.3: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით, 2010–2014 წლებში	51
გრაფიკი 5.4: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, 1990–2016 წლებში, სხვადასხვა წყაროების მიხედვით	57
გრაფიკი 5.5: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, 1990–2016 წლებში	59
გრაფიკი 5.6: დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების წლიური რაოდენობა, 1990–2016 წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ჩვენ მიერ გამოთვლილი კოეფიციენტების მიხედვით	60
გრაფიკი 5.7: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, დაბადების რიგითობის მიხედვით, 2002–2014 წლებში	61
გრაფიკი 5.8: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, რეგიონების მიხედვით, 1990–2016 წლებში	65
გრაფიკი 5.9: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, საქართველოს რეგიონების ორი სხვადასხვა ჯგუფისათვის	66
ცხრილი 5.6: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ეთნიკურობისა და პერიოდების მიხედვით, 1995–2014 წლები	68
გრაფიკი 6.1: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები და დაბადებულთა რაოდენობა, 1990–2016 წლებში	71

ცხრილები

ცხრილი 2.1: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნებში, 2009-2014 წლები	8
ცხრილი 3.1: საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის გამოანგარიშების ხელმისაწვდომი წყაროების მახასიათებლები	21
ცხრილი 5.1: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, დაბადების რიგითობის მიხედვით	46
ცხრილი 5.2: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ბავშვების რიგითობისა და გენდერული შემადგენლობის მიხედვით, 2010-2016 წლები	46
ცხრილი 5.3: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, რეგიონების მიხედვით, 2010-2016 წლები	49
ცხრილი 5.4: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, დაბადების რიგითობისა და რეგიონების მიხედვით, 2010-2016 წლები	50
ცხრილი 5.5: ბიჭების მაღალი შობადობის განმაპირობებელი ფაქტორები 2004-2014 წლებში	54
ცხრილი 5.6: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ეთნიკურობისა და პერიოდების მიხედვით, 1995-2014 წლები	68

წინასიტყვაობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი წარმოგიდგენთ 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზის საფუძველზე შექმნილ მონოგრაფიას სახელწოდებით: *დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში – 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა.*

2014 წლის აღწერის შედეგად მიღებულ იქნა უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საარსებო წყაროების, საცხოვრისების და სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით წინამდებარე მონოგრაფია განიხილავს საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებთან დაკავშირებული ტენდენციებს, მის განმაპირობებელ ფაქტორებს და გენდერულ ჭრილში აანალიზებს ოჯახების შექმნის თანმდევ რეპროდუქციულ ქცევას.

წინამდებარე მონოგრაფია ეფუძნება საქართველოსა და საფრანგეთში წარმოებულ კვლევით სამუშაოებს. მონოგრაფიის პირველი ავტორი – ქრისტოფ ზ. გილმოტო – უმთავრესად პასუხისმგებელია დემოგრაფიულ ანალიზზე, ხოლო მეორე ავტორი – სარა ტაფურო – კახეთის რეგიონში ჩატარებული კვლევის წარმოებასა და აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზზე.

წინამდებარე მონოგრაფიაში შესულია ინფორმაცია მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მოიცვა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერამ.

წინამდებარე მონოგრაფია არის გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი ქვეყნის მოსახლეობის დინამიკის მონაცემებზე დაყრდნობით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესის ხელშეწყობისთვის.

მადლობა

საქართველოში წარმოებულ კვლევაში აქტიურად მონაწილეობდა გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში. უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლის – ლელა ბაქრაძისა – და მისი კოლეგების – მარიამის, ნინოს, ანას, მარისა და ნუკრის წვლილი, რომელიც მათ შეიტანეს, 2016 წელს, საქართველოში ჩვენი ვიზიტის წინა პერიოდში, ვიზიტის დროს და ვიზიტის შემდგომ პერიოდში წარმოებულ სამუშაოებში.

წინამდებარე პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატთან) მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჩვენი კოლეგების – პაატა შავიშვილისა და შორენა წიკლაურის – მიერ გაწეული დახმარება, მოსახლეობის აღწერისა და სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა დამუშავების საქმეში. შემდგომ ეტაპზე, აღსანიშნავია სანდრო ამბოკაძის მიერ გაწეული დახმარება, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე 2017 წელს მიღებული მიკრომონაცემების ანალიზის წარმოებაში. ასევე, მადლობა გვსურს გადავუხადოთ ბ-ნ ედუარდ იონგსტრას იმ კრიტიკული კომენტარებისათვის, რომლებიც მან წინამდებარე ანგარიშის პირველ სამუშაო ვერსიას დაურთო.

ქ. თბილისში ჩვენი ვიზიტისას, გვქონდა პატივი შევხვედროდით ჩვენს კოლეგებს სამთავრობო უწყებებიდან, აკადემიური წრეებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. კონკრეტულად, გვინდა აღვნიშნოთ ჩვენს კოლეგებთან – ნათია კვიციანი (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია), გიორგი ჯაში (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია), ელზა ჯგერენაია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო), ნინო ოდიშარია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო), ქეთი გოგინაშვილი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) და თაკო კურატიშვილი (ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“) – სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე წარმოებული ვრცელი საუბრები, რომლებიც დაგვეხმარა ჩვენი კვლევის წარმოებაში. ასევე, გვსურს მადლობა გადავუხადოთ ჩვენს კოლეგებს თამარ საბედაშვილს (გაეროს ქალთა ორგანიზაცია), ნორბერტო პიგნატსა და კარინე ტოროსიანს (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა), თიკო ცომაიას (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი), იაგო კაჭკაჭიშვილს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რეგის ჯენტეს (საფრანგეთის საზოგადოებრივი რადიო მაუწყებელი „Radio France“), ნანა სუმბაძეს (საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი) და, აგრეთვე, ირინა ბადურაშვილს (მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი), რომლებთანაც ჩვენ განვიხილეთ საქართველოში სოციალური ცვლილებების ბოლოდროინდელი მიმართულებები.

კახეთის რეგიონში ჩატარებული კვლევის წარმოებაში მონაწილეობდა ქ. თელავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ მაია ფურცხვანიძეს, საველე კვლევების ორგანიზებაში გაწეული დახმარებისათვის. და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ლაურა რამის წვლილი წინამდებარე მონოგრაფიის სრულყოფის მიზნით წარმოებულ სამუშაოში.

შემოკლებები

DHS	ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა
GBSS	გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
MICS	მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა
OR	შანსების შეფარდება
PACE	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა
PGD	იმპლანტაციამდელი გენეტიკური დიაგნოსტიკა
PPR	მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა
PSDA	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
RCH	რეპროდუქციისა და ბავშვების ჯანმრთელობის კვლევა
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SES	სოციო-ეკონომიკური სტატუსი
SRB	დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა
TFR	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი
TSA	მიზნობრივი სოციალური დახმარება
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ჯანმო	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

საქართველოს ადმინისტრაციული რუკა

ბირითული აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
დედაქალაქი
ქალაქი
მეზობელი ქვეყნების საზღვარი
რეგიონის საზღვარი
სახელმწიფოს საზღვარი
შავი ზღვა
ადმინისტრაციულ ტერიტორია
0 15 30 60 90 30
რუსეთის ფედერაცია
ოსეთის ფედერაცია
ინგუშეთის ა.რ.
ჩეჩნეთის ა.რ.
ყაბარდო-ბალყარეთი
ადიგეა
ყარაჩაი-ჩერქეზეთი
ჩრდილოეთ ოსეთი
ინგუშეთი
ალანია
ეხიბგალის რეგიონი
ეხიბგალის ტერიტორია
ეხიბგალის ოლქი
ეხიბგალის ოლქი
ეხიბგალის ოლქი

ძირითადი შედეგების მოკლე შეჯამება

1980-იანი წლების ბოლოს, აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, ფართოდ გავრცელდა სქესის პრენატალური შერჩევის საზიანო პრაქტიკა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ცოცხლად დაბადებულ ბიჭების გოგონებთან თანაფარდობის კოეფიციენტი გაიზარდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ზოგიერთ ქვეყნებში; საქართველოში, ისევე როგორც მის მეზობელ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი), მნიშვნელოვად გამოიკვეთა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა.

წინამდებარე კვლევა ეძღვნება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის ტენდენციებს საქართველოში, მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შედეგებზე დაყრდნობით. მასში ასევე გამოყენებულია აქამდე წარმოებული კვლევები, რომლებშიც დამტკიცებულია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის არსებობა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში. აღნიშნული კვლევები, კონკრეტულად, მოიცავს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების საფუძველზე 2015 წელს წარმოებული ანგარიშის შედეგებს, რომელიც ეძღვნება საქართველოში გენდერული თანაფარდობის დარღვევის თვალსაზრისით არსებულ დემოგრაფიულ ტენდენციას, ასევე, სამოქალაქო რეესტრის მონაცემებსა და 2014 წელს წარმოებული ფართომასშტაბიანი თვისებრივი კვლევის (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ.) შედეგებს. წინამდებარე მონოგრაფიაში გამოყენებულია მონაცემები, რომლებიც 2017 წლისათვის მოპოვებული იქნა საქსტატის მიერ, დასამუშავებლად. მონოგრაფიის მიზნებისათვის წარმოებული ანალიზისას, ასევე, გამოყენებული იქნა 2016 წლის ნოემბერში, ქ. თბილისისა და კახეთის რეგიონის მასშტაბით წარმოებული კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა ინტერვიუებს ექსპერტებთან და მოქალაქეების გამოკითხვას.

მონოგრაფია იწყება მსოფლიოში სქესის შერჩევის ტენდენციების მოკლე მიმოხილვით. შესავლის შემდეგ მოცემულია 2017 წლისათვის საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის საკითხის ირგვლივ არსებული მონაცემები და, ასევე, ამ დარღვევის ხელისშემწყობი ფაქტორები. მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები გვაწვდის მასალას, რომელიც შინამეურნეობებისა და ოჯახის ფორმირების ანალიზის საშუალებას იძლევა, სადაც ყურადღება გამახვილებულია გენდერთან დაკავშირებულ რეპროდუქციულ ქცევაზე. მოსახლეობის აღწერის მონაცემები, აგრეთვე, გამოყენებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე 10 წლის განმავლობაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის დეტალური ანალიზის დროს. დაბოლოს, მიღებული შედეგების შეჯერება წარმოებს დაბადების რეგისტრის მონაცემებთან, რაც საქართველოში 1990 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილების საერთო სურათს იძლევა. წინამდებარე მონოგრაფიის ბოლო თავში შეჯამებულია დემოგრაფიული შეფასებები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, რაც საქართველოში პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის ეტაპობრივი შემცირების კონტექსტუალური ფაქტორების ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ჩვენ მიერ წარმოებული ანალიზის შედეგად მიღებული ზოგადი სურათის თანახმად, მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე, საქართველოსთვის ჯერ კიდევ დამახასიათებელი იყო ოჯახის ტრადიციული სისტემა და გენდერული ტენდენციურობის ზოგიერთი გამოვლინება. მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მიკრომონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოში რამდენიმე თაობის წარმომადგენლებისაგან შემდგარი ოჯახებია

გავრცელებული; ხოლო შესაბამისი კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 43 პროცენტზე მეტი ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლებშიც სამი თაობაა წარმოდგენილი. მცირეწლოვანი ბავშვების 60 პროცენტზე მეტი ცხოვრობს რამდენიმე თაობის წარმომადგენლებისგან შემდგარ შინამეურნეობებში, რაც ადასტურებს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მიეკუთვნება ოჯახებს, რომლებშიც არაერთი თაობაა წარმოდგენილი. საქართველოში ე.წ. რთული შინამეურნეობების უმრავლესობა შედგება მშობლებისგან, რომლებიც ცხოვრობენ დაქორწინებულ ვაჟებთან და მათ ცოლშვილთან ერთად. გარდა ამისა, მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ ქალების ნახევარზე მეტი ქორწინებაში იმყოფებოდა უკვე 22 წლამდე ასაკში და მათი თანაცხოვრება მეუღლეების მშობლებთან ნორმას წარმოადგენს. ანალიზის შედეგად ასევე დასტურდება ის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ შობადობის მაჩვენებელი 2000-იანი წლების მონაცემებთან შედარებით 25 პროცენტით გაიზარდა, გამოდის, რომ მოსახლეობის აღწერამდე პერიოდში, საქართველოში მცხოვრებ წყვილებს საშუალოდ მხოლოდ 2 ბავშვი ჰყავდათ.

კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც თითქმის არ შეცვლილა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შემდგომ პერიოდში, არის გენდერული ნიშნით მიკერძოებული რეპროდუქციული ქცევა. ქართველი მშობლები, თავიანთ რეპროდუქციულ ქცევას მნიშვნელოვნად ცვლიან უკვე დაბადებული ბავშვების სქესის შესაბამისად. კერძოდ, იმ ოჯახებში, რომელთაც ორი ან მეტი გოგონა ჰყავთ, ორჯერ უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ იყოლიონ კიდევ ერთი ბავშვი, ვიდრე იმ ოჯახებში, რომელთაც უკვე ჰყავთ ბიჭი. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის პერიოდამდე, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი აღნიშნულ გენდერულ მიკერძოებას ასახავს. იმ ოჯახებში დაბადებულ მესამე ბავშვებში, რომლებსაც მანამდე ვაჟი არ ჰყოლიათ, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა შეადგინა 170 ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე მაშინ, როცა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის საშუალო კოეფიციენტი 2010-2014 წლებში შეადგენდა 109 ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე. ამისაგან განსხვავებით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა არ ფიქსირდება იმ ქალებში, რომლებსაც უკვე გაჩენილი ჰყავთ ვაჟები. თუმცა დიფერენცირებული ანალიზი აჩვენებს, რომ ბიჭების დაბადების მნიშვნელოვანი პროცენტული წილი (39 პროცენტი) პირველ და მეორე ბავშვებზე მოდის.

საქართველოში დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებლის ძირითად ფაქტორთა დადგენის მიზნით, დამუშავდა რეგიონალური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მთელი რიგი. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი განსაკუთრებით არის დამახასიათებელი სასოფლო დასახლებებში მცხოვრები შინამეურნეობებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის. ეს მოვლენა ასევე უკავშირდება განათლების დაბალ დონესა და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს. დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს სამ რეგიონში. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის ზღვრები მკვეთრად არ არის გამოკვეთილი, თუმცა ეთნიკურობა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს. მაგ., 2010-2014 წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის საშუალო კოეფიციენტი, იმ შინამეურნეობებში, რომელთა წარმომადგენლებიც საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას განეკუთვნებოდნენ, 126-ს შეადგენდა (ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში – 117-ს) მაშინ, როცა ეთნიკურად ქართველ შინამეურნეობებში ანალოგური კოეფიციენტი შეადგენდა 107-ს. ისეთ

შინამეურნეობებში, სადაც მრავალი თაობაა წარმოდგენილი, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მაღალია. ამისაგან განსხვავებით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ნორმალური დონე ფიქსირდება საქალაქო დასახლებებში, განათლების მეტ-ნაკლებად მაღალი დონის მქონე მოსახლეობაში და შედარებით შეძლებულ შინამეურნეობებში. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ნორმალური კოეფიციენტი ფიქსირდება ქ. თბილისის მოსახლეობაში და ასევე მოსახლეობაში, რომლებიც სოციალური დახმარებებით სარგებლობენ. სხვა რეგიონებთან შედარებით, ქ. თბილისში არსებული უფრო კოსმოპოლიტური ცხოვრების წესი განაპირობებს რეპროდუქციულ ქცევაში გენდერული ტენდენციურობის ყველაზე დაბალ დონეს, მოსახლეობის შემოსავლებისა და განათლების დონის მიუხედავად.

სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების შეპირისპირებით, პირველად გახდა შესაძლებელი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის წლიური კოეფიციენტების განსაზღვრა, 1990 წლიდან 2016 წლამდე პერიოდისათვის. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის მკვეთრ ზრდას 1991 წლის შემდგომ პერიოდში და, 2000 წლამდე პერიოდისათვის – აღნიშნული კოეფიციენტის შემცირების ტენდენციას, რა დროისთვისაც ამ კოეფიციენტმა შეადგინა დაახლ. 114 ახალშობილი ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე. ყველაზე მნიშვნელოვანია, ის, რომ იგივე კვლევის ფარგლებში, 2000-იანი წლების შუა პერიოდში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის მდგრადი შემცირება დაფიქსირდა. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, თავდაპირველად, შემცირდა 110-მდე 2009 წელს და, 2016 წელს, აღნიშნული კოეფიციენტი ბუნებრივ დონეს დაუბრუნდა და შეადგინა 105 ახალშობილი ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე. შესაძლებელია ნაადრევი იყოს იმის მტკიცება, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით საქართველოში 25 წლის განმავლობაში მიმდინარე გარდამავალი პერიოდი საბოლოოდ დასრულდა; თუმცა იკვეთება ბევრი ნიშანი, რომლებიც მიუთითებს აღნიშნული მაჩვენებლის ნორმის ფარგლებში დაბრუნებაზე. ჩვენ ხელთ არ გვაქვს დეტალური მონაცემები ამ თვალსაზრისით საქართველოში 2014 წლის შემდგომ პერიოდში არსებული სიტუაციის შესახებ, რომელიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების ანალიზის საშუალებას მოგვცემდა, თუმცა მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საქალაქო დასახლებებში ცხოვრება, ხელსაყრელ სოციო-ეკონომიკურ პირობებთან კომბინაციაში, ასოცირდება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის თავდაპირველ შემცირებასთან. თუმცა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ჯერ კიდევ დარღვეულია საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში, როგორებიცაა კახეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ სქესის შერჩევის პრაქტიკა ყველაზე დიდხანს უმცირესობებს შორის შენარჩუნდება.

2017 წლის დასაწყისში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების მტკიცებულებები შემოიფარგლება შემდეგით: 1) დროის ფაქტორით (2003 წლის შემდგომი პერიოდი), 2) სოციუმის ზედა ფენებიდან ქვედა ფენებისაკენ მიმართულებით (პრივილიგირებულ ჯგუფებში აღნიშნული ტენდენცია ფიქსირდება ყველაზე ადრე) და 3) ქ. თბილისის ლიდერობით (სადაც, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ნორმას უახლოვდებოდა 2010 წლამდე). აქედან გამომდინარე, განიხილება სხვადასხვა თეორია, რომელიც საქართველოში მამრობითი სქესის ბავშვების დაბადების კლების უნიკალურობას უკავშირდება.

ძირითადი ჰიპოთეზა უკავშირდება მაკრო დონეზე განხორციელებულ იმ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ანუ, მას შემდეგ, რაც ქვეყანა გამოვიდა პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის და მოუწესრიგებელი საჯარო დაწესებულებების არსებობის პერიოდიდან. აღსანიშნავია, რომ 2005 წლის შემდგომ, სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის, საპენსიო რეფორმისა და სხვა პოლიტიკური ცვლილებების შემოტანისა და დამკვიდრების შედეგად, ტრადიციულ პატრილინეალურ (მამაკაცის ხაზით განსაზღვრულ) ოჯახს მოეხსნა ჯანმრთელობის, უმუშევრობისა და ასაკთან დაკავშირებული საფრთხეებისაგან დამცავი სოციალურ-ეკონომიკური ბუფერის ფუნქცია. გარდა ამისა, 2003 წელს ქვეყანაში დაიწყო შობადობის ზრდა და შობადობის მაჩვენებელმა პიკს მიაღწია 2010 წელს. აღნიშნული მოვლენები გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ სულ უფრო მეტმა წყვილმა მიიღო გადაწყვეტილება თავიანთი რეპროდუქციული ფუნქცია შეესრულებინა დამატებითი ბავშვის გაჩენით და არა სქესის პრენატალური შერჩევის გზით. გარდა ამისა, აღნიშნულ ტრანსფორმაციებს ადგილი ჰქონდა ქალთა მდგომარეობის და ავტონომიის ეტაპობრივი გაუმჯობესების და ახალი ღირებულებებისა და სოციალური ნორმების ზემოქმედების ფონზე (რომლებიც, მაგ., დასავლეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა საქართველოში), რომლებიც ვრცელდებოდა მედია არხების საშუალებით, მკვიდრდებოდა ცხოვრების წესის ფორმით ან პირდაპირი პოლიტიკური ზემოქმედების შედეგად. სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის შემცირების ფაქტორთა უფრო მეტი სიზუსტით განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს უნიკალური სოციალური დინამიკის შესახებ დამატებითი მონაცემების გამოყენებით და საქართველოს კონტექსტის შედარებით სომხეთისა და აზერბაიჯანის კონტექსტთან – სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილება შედარებით ნელა მიმდინარეობს.

წინამდებარე მონოგრაფია ადასტურებს საქართველოში ორი, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი პროცესის არსებობას: მოსახლეობის 2014 წლის აღწერის პერიოდისათვის – ვაჟების მიმართ მკვეთრად გამოხატულ უპირატესობას და, 2017 წლამდე პერიოდში – დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის სწრაფ გაუმჯობესებას. აღნიშნული დასკვნების საფუძველზე, ჩვენ გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომლებიც გასატარებელ პოლიტიკურ კურსს უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, ეს რეკომენდაციები ეხება ცოდნის ბაზის გამყარების საჭიროებას და საქართველოს უნიკალური გამოცდილების საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაზიარების მნიშვნელობას.

1. შესავალი

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილულია, საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებთან დაკავშირებული ტენდენციები, მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგების საფუძველზე. მასში ასევე გამოყენებულია აქამდე წარმოებული კვლევები, რომლებშიც დამტკიცებულია სქესის შერჩევის პრაქტიკის არსებობა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში. აღნიშნული კვლევები, კონკრეტულად, მოიცავს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების საფუძველზე 2015 წელს წარმოებული იმ ანგარიშის შედეგებს, რომელიც ეძღვნება საქართველოში გენდერული თანაფარდობის დარღვევის თვალსაზრისით არსებულ დემოგრაფიულ ტენდენციას, ასევე, სამოქალაქო რეესტრის მონაცემებსა და ფართომასშტაბიანი თვისებრივი კვლევის (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ.) შედეგებს. წინამდებარე მონოგრაფიაში ძირითადად გამოყენებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის საბოლოო შედეგები, რომლებიც გამოქვეყნდა 2016 წლის ბოლოს. მონოგრაფიის მიზნებისათვის წარმოებული ანალიზისას, ასევე, გამოყენებულია 2016 წლის ნოემბერში, ქ. თბილისისა და კახეთის რეგიონში წარმოებული კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა ინტერვიუებს ექსპერტებთან და მოქალაქეების გამოკითხვას.

წინამდებარე თავში მოცემულია აღნიშნული კვლევის მიმოხილვა და ჩამოყალიბებულია ამ კვლევის ძირითადი ამოცანები.

1.1 მონოგრაფიის მიმოხილვა

წინამდებარე მონოგრაფია შედგება შვიდი თავისაგან, მათ შორის პირველი თავი წარმოადგენს შესავალს.

მეორე თავში მოკლედ არის განხილული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებთან დაკავშირებული საკითხები. მასში მოცემულია მსჯელობა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გამოთვლასა და მის ინტერპრეტირებაზე. აქვე იხილავთ მსოფლიოში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამ თვალსაზრისით არსებული სიტუაციის მიმოხილვას.

მესამე თავში განხილულია მონაცემთა ძირითადი წყაროები და აღნიშნულ კვლევაში გამოყენებული პროცედურები. მოსახლეობის 2014 წლის აღწერა გვაწვდის დიფერენცირებული სტატისტიკური ინფორმაციის ძირითად ნაწილს, თუმცა კვლევაში ასევე გამოყენებულია სხვა წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები, მაგ. დაბადების რეგისტრაციის სისტემიდან მოპოვებული მონაცემები. ამავე თავში დეტალურად არის განხილული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის კვლევის მეთოდოლოგია, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს შემდგომში მოსახლეობის აღწერის საფუძველზე მსგავსი კვლევების წარმოების წახალისებას.

მეოთხე თავში მოცემულია საქართველოში ოჯახისა და გენდერის თვალსაზრისით არსებული დემოგრაფიული სურათის მიმოხილვა, რომელიც ემყარება მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებს. მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მიკრომონაცემების საფუძველზე განსაზღვრული რეპროდუქციული ქცევის დეტალური ანალიზის დახმარებით, ჩვენ გთავაზობთ ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების ხარისხისა და მისი განხორციელების სტრატეგიების განახლებულ აღწერას.

მეხუთე თავი წარმოადგენს კვლევის ძირითად ნაწილს და მასში განხილულია საქართველოში არსებული სქესის პრენატალური შერჩევის ტენდენციები. მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მიკრომონაცემებისა და სამოქალაქო რეესტრის მონაცემების საფუძველზე, ჩვენ მიმოვიხილავთ გენდერული ნიშნით

სქესის შერჩევის უახლეს სტატისტიკას. ამავე თავში მოცემულია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების არსებული დონის, ქვეყნის ფარგლებში მისი სახესხვაობებისა და გამოვლენილი კორელაციების შეფასება, ასევე, აღნიშნული მონაცემები შედარებულია სამოქალაქო რეესტრიდან მოპოვებულ მონაცემებთან. მეხუთე თავში მოცემულია და ერთმანეთთან შედარებულია ცხრილები, რომლებშიც შესულია სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მონაცემები და ასევე წარმოებულია მოსახლეობის აღწერის მონაცემთა მოდელირება.

მონოგრაფიის მეექვსე თავი ეთმობა საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილების ახსნა, რომელიც ეფუძნება წინა თავებში შესულ დემოგრაფიულ შეფასებებს და ასევე განხილულია შესაბამისი ლიტერატურა და ის დასკვნები, რომლებიც 2017 წელს ქ. თბილისში გამართული ინტერვიუებისა და კახეთის რეგიონში წარმოებული საველე სამუშაოების შედეგად იქნა გაკეთებული. ამავე თავში ყურადღება გამახვილებულია დემოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების იმ პოტენციურ წვლილზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, უკავშირდება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შემცირებას.

მონოგრაფიის ბოლოს, შეჯამებულია ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის შედეგები და მოცემულია საქართველოში სქესის შერჩევის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

1.2 მონოგრაფიის მიზანი

პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის შემცველი რეპროდუქციული ქცევის გავრცელება აღმოსავლეთ ევროპაში არაერთი კვლევის ფარგლებში იქნა შესწავლილი. დასავლეთ ბალკანეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ადგილი ჰქონდა გოგონების წილის სწრაფ შემცირებას, რომელიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევაში გამოიხატა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2014 წელს მომზადებულ ანგარიშში (ევროპის საბჭო, 2014) საუბარია ამ ქვეყნების დიდ ნაწილში სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის პოტენციურ ზრდაზე (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ბ). 2012 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდის დაფინანსებით წარმოებული იქნა კვლევები ალბანეთსა და სომხეთში (გაეროს მოსახლეობის ფონდი 2012 წ. ბ), 2013 წ.) და მოგვიანებით აზერბაიჯანში, საქართველოსა და კოსოვოში (გაეროს მოსახლეობის ფონდი 2014 წ., 2015 წ. ა), 2016 წ.).

საქართველოში, მის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელი ქვეყნების – სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, დიდი ხანია შეინიშნება დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ზრდის ტენდენცია. თუმცა ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა, ემყარება შედარებით ადრეულ, მოსახლეობის 2002 წლის აღწერასა და სამოქალაქო რეგისტრაციის ნაკლებად სანდო მონაცემებს. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული საკითხის შესწავლა, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის საბოლოო შედეგების საფუძველზე. კვლევა იწყება ქართველი წყვილების რეპროდუქციული ქცევის გენდერული ელემენტის საფუძვლიანი შესწავლით. კვლევის უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის ზოგიერთი ძირითადი მიმართულებისა და მახასიათებლის შესწავლა, კერძოდ, მისი ინტენსივობის, დემოგრაფიული მექანიზმების, მისი სოციალური, რეგიონალური და ეკონომიკური კორელაციების შესწავლა; კვლევა ასევე მოიცავს ამ მიმართულებით არსებულ უახლეს ტენდენციებსაც. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ ბოლო დროს იკვეთება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების ტენდენცია და რომელიც უკვე იქნა აღმოჩენილი წინა კვლევის ფარგლებში (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ა). აღნიშნული ჰიპოთეზა უკავშირდება იმის

გაცნობიერებას, რომ, გასული თხუთმეტი წლის განმავლობაში, ქვეყანამ განიცადა სოციალური და პოლიტიკური სისტემების ძირეული ტრანსფორმაცია. თუმცა ამ ცვლილებათა პოტენციური გავლენა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციულ ქცევაზე ჯერ კიდევ შესწავლის საგანს წარმოადგენს.

სტატისტიკური სირთულეები, ხშირად, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ზრდის ტენდენციებისა და მასთან დაკავშირებული სახესხვაობების კვლევას აფერხებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოში არსებულმა პოლიტიკურად არასტაბილურმა სიტუაციამ სერიოზული ზიანი მიაყენა სტატისტიკის სისტემას, შესაბამისად, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო დემოგრაფიული წყაროებით სარგებლობისას. წინამდებარე მონოგრაფიის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის პოტენციურ შემცირებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. გარდა ამისა, მასში განხილულია შობადობის მაჩვენებლებსა და სქესის შერჩევის პრაქტიკას შორის გენდერის თვალსაზრისით არსებული განსხვავებები, რაც ემსახურება დემოგრაფიულ ტენდენციებთან მათი კავშირის დადგენასა და ახსნას.

წინამდებარე მონოგრაფიის საბოლოო ამოცანას წარმოადგენს საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ბოლოდროინდელი ცვლილების განმაპირობებელ შესაძლო ფაქტორთა შესწავლა. მოცემული კვლევის ფარგლებში შესწავლილია ქვეყანაში ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე მიმდინარე აღნიშნული პროცესები და ის კავშირი, რომელიც არსებობს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შემცირებასა და იმ გარდაქმნებს შორის, რომლებსაც ადგილი აქვს სხვა სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკური ინსტიტუტები, სოციალური დაცვა, გენდერისა და ოჯახისადმი სოციალური დამოკიდებულებები და დემოგრაფიული დინამიკა. საქართველოში ვაჟების მაღალ შობადობასთან დაკავშირებული ტენდენციები აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, ვინაიდან ამ თვალსაზრისით ქვეყანაში დაფიქსირებული ცვლილება ერთგვარად უნიკალურია და შესაძლებელია მიესადაგოს სხვა ქვეყნების კონტექსტს, სადაც ანალოგური ფორმის დისკრიმინაცია კვლავაც პრობლემად რჩება. შესაბამისად, წინამდებარე კვლევაში მოცემული მოსაზრებები შესაძლებელია მიესადაგოს აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ ვითარებასაც.

2. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები

წინამდებარე თავში განხილულია სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი. ამ მონოგრაფიის შესწავლის საგანს წარმოადგენს დაბადებული ბიჭების მაღალი მაჩვენებელი (და დაბადებული გოგონების დაბალი მაჩვენებელი), რომელიც მსოფლიოს გარკვეულ ქვეყნებში ფიქსირდება და არის განზრახ დისკრიმინაციული ქცევის შედეგი, რომელიც აბრკოლებს გოგონების დაბადებას. ჩინეთსა და ინდოეთში, აღნიშნული ტენდენცია შესწავლის საგანს წარმოადგენდა 1980-იანი წლებიდან, ანუ იმ დროიდან, როცა მოხდა აღნიშნული ფენომენის აღმოცენება. მიუხედავად ამისა, საჭიროა სქესის შერჩევის პროცესში ჩართული ფაქტორების შესწავლა და ამ თვალსაზრისით მსოფლიოს მასშტაბით არსებული სიტუაციის მიმოხილვა.

2.1 სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე მოქმედი ბიოლოგიური მექანიზმები

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ანალიზისას, საჭიროა ორი დამოუკიდებელი ფენომენის განხილვა, რომლებიც ბიოლოგიურ ნორმას განაპირობებს. პირველი გულისხმობს იმას, რომ ადამიანებში, დაბადებული ბიჭების რაოდენობა, ბუნებრივად, რამდენიმე პროცენტული ერთეულით აღემატება დაბადებული გოგონების რაოდენობას. ფაქტობრივად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს დაახლ. 105 ახალშობილ ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე. აღნიშნული თანაფარდობა, მოსახლეობებს შორის, ჩვეულებრივ, მერყეობს 104-106-ის ფარგლებში. შესაბამისად, ბავშვებში ვაჟების რაოდენობა მცირედით აღემატება გოგონების რაოდენობას. მეორე ფენომენი გულისხმობს იმას, რომ ქალებს, ზოგადად, გადარჩენის უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. მცირე გამონაკლისის გარდა, დაბადებიდან ხანდაზმულ ასაკამდე, მოკვდაობის მაჩვენებლები უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. შედეგად, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მცირდება მოსახლეობის ასაკის მატების პარალელურად: ქალების პროცენტული წილი ეტაპობრივად იზრდება და ხანდაზმულობის ასაკში საგრძნობლად უსწრებს მამაკაცების პროცენტულ წილს, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა აღემატება მამაკაცებისას.[1]

აღნიშნული ორი ბიოლოგიური პროცესის გარდა, სქესის მიხედვით მოსახლეობის განაწილების დარღვევები ხშირად უკავშირდება მიგრაციას. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნიდან ემიგრირებულ მოსახლეობაში, მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალებისას, რაც ამ ქვეყნების ზრდასრულ რეზიდენტ მოსახლეობაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირებას იწვევს. ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოდან წასულ შრომით მიგრანტებს შორის ქალები ჭარბობენ (Hakkert & Sumbadze, 2017). შესაბამისად, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები წარმოადგენს სხვადასხვა ბიოლოგიური და სოციალური მექანიზმების პროდუქტს. აღნიშნულ კოეფიციენტებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, რაც განპირობებულია მოკვდაობისა და მიგრაციის დიფერენციული მაჩვენებლებით და ადგილობრივი მაჩვენებლები კიდევ უფრო მკვეთრ სხვაობას გვაჩვენებს, რაც განპირობებულია მიგრაციული ქცევით.

1 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა იხილეთ გილმოტოს ნაშრომში (2015 წ.) და გაეროს მოსახლეობის ფონდის ანგარიშში (2012 წ. ა)).

დაბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოთვლების დროს დაშვებული ცდომილებები აფერხებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობასთან დაკავშირებული ტენდენციების სწორ აღქმას. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს მოსახლეობის გამოკითხვისა ან მოსახლეობის აღწერის დროს რესპოდენტთა ან მოსახლეობის არასრული რეგისტრაცია. კიდევ ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს დაბადებული ბავშვების სიმცირე ან მოსახლეობის ჯგუფის მცირე მოცულობა, რომლის საფუძველზეც წარმოებს სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის გამოთვლა. მცირერიცხოვან ჯგუფებში მაღალია შემთხვევითი ცვალებადობის ასახვის ალბათობა, რამაც შესაძლოა სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის გამოთვლისას ცდომილება მოგვცეს. მაგ., თუ ჩვენ დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის დაანგარიშებას ვაწარმოებთ 1 000 ახალშობილზე, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ფაქტობრივი კოეფიციენტი, რომელიც ყოველ 100 გოგონაზე 105 ვაჟს შეადგენს, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს 92,8-დან 118,9-მდე ფარგლებში (95 პროცენტიანი ნდობის ინტერვალის გათვალისწინებით). იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კოეფიციენტის დაანგარიშება წარმოებს 10 000 ახალშობილზე, რაც ათჯერ აღემატება წინა მაგალითში მოცემულ ახალშობილთა რაოდენობას, 95%-იანი ნდობის ინტერვალის გათვალისწინებით, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ფაქტობრივი კოეფიციენტი, რომელიც ყოველ 100 გოგონაზე 105 ვაჟს შეადგენს, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს 101,0-დან 109,2-მდე ფარგლებში. როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, დაანგარიშება, რიგ შემთხვევებში – როგორიცაა მაგ., უმცირესობათა შორის შობადობა მოცემული წლის განმავლობაში, ემყარება რამდენიმე ათას ან, შესაძლებელია, უფრო ნაკლებ შემთხვევას, რაც დაანგარიშებაში ცდომილების ალბათობას ზრდის.

2.2 დემოგრაფიული ქცევით განპირობებული გენდერული დისკრიმინაცია

დემოგრაფების დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ მსოფლიოს მოსახლეობაში ვაჟების რაოდენობა ბუნებრივ დონესთან შედარებით გაცილებით მაღალია, აზიის ქვეყნებში აღრიცხული მილიონობით "გაუჩინარებული ქალის" ხარჯზე (Bongaarts & Guilmoto, 2015). ქალების დემოგრაფიულ დეფიციტს დიდწილად განაპირობებს ზოგიერთ ქვეყანაში, უმთავრესად აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნებში, დაფიქსირებული ქალების მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი. თუმცა გოგონებისა და ზრდასრული ქალების მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ქალებისადმი დაუდევარ მოპყრობასა და დისკრიმინაციას უკავშირდება, არ ფიქსირდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მსოფლიოში დაფიქსირებულ, ქალების დემოგრაფიული დეფიციტის გამომწვევ ძირითად ფაქტორებს შორის არის შერჩევითი აბორტი მდედრობითი სქესის ნაყოფზე ორსულობის შეწყვეტის მიზნით. 1990-იან წლებში, სტატისტიკოსებმა დააფიქსირეს ის ფაქტი, რომ ვაჟები გოგონებთან შედარებით ჭარბი რაოდენობით იბადებოდნენ ჩინეთში, ინდოეთსა და სამხრეთ კორეაში, რაც უკავშირდებოდა მდედრობითი სქესის ნაყოფის შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტის საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკას. პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის პრაქტიკა საკმაოდ სწრაფად გავრცელდა და საბოლოო ჯამში მსოფლიოს მოსახლეობაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის

დარღვევის ძირითად გამომწვევ ფაქტორად იქცა. ვინაიდან შეუძლებელია გენდერული ნიშნით აბორტების რაოდენობის პირ-დაპირი წესით განსაზღვრა, ის ფაქტი, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი დადგენილ ბიოლოგიურ ნორმას აჭარბებს, აშკარად მეტყველებს აღნიშნული პრაქტიკის ფართოდ გავრცელებაზე. სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკა დამკვიდრდა 1980-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ამნიოცენტეზისა და შემდგომ უკვე ულტ-რაბგერითი გამოკვლევის წყალობით მშობლებს საშუალება მიეცათ წინასწარ შეეტყოთ ნაყოფის სქესი. იმ ქვეყნებში, სადაც აბორტი მარტივად ხელმისაწვდომი იყო, სულ უფრო მეტ მშობელს ეძლეოდა შესაძლებლობა შეეწყვიტა ორსულობა მათთვის არასასურველი სქესის ნაყოფის შემთხვევაში. თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა ემბრიონის სისხლის ანალიზი და იმპლანტაციამდელი გენეტიკური დიაგნოსტიკა (PGD), საშუალებას აძლევს მშობლებს ჩაერიონ ორსულობამდე ან ორსულობის პროცესში.

სქესის პრენატალური შერჩევა პირდაპირ აისახება სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე. მაგ., თუ მდედრობითი სქესის ნაყოფთა 5 პროცენტის შემთხვევაში მოხდება ორსულობის შეწყვეტა, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, რომელიც თავდაპირველად შეადგენს 105 ვაჟს ყოველ 100 გოგონაზე, გაიზრდება 111 (=105/95) ვაჟამდე ყოველ 100 გოგონაზე. შესაბამისად, სულ რაღაც რამდენიმე წყვილის ქცევა გავლენას ახდენს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტზე და შედეგად ვიღებთ თანაფარდობის ხანგრძლივ დარღვევას, კონკრეტულ თაობაში.

საჭიროა ასევე აღინიშნოს, რომ ჯგუფებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა და მოსახლეობის ქვეჯგუფებში რეპროდუქციული სტადია მკვეთრად გამოხატული ერთგვაროვნებით ხასიათდება. მაგ., მშობლების უმეტესობისათვის მნიშვნელობა არ აქვს პირველი ბავშვის სქესს და მდედრობითი სქესის ნაყოფის შემთხვევაში, მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობით მშობელი იღებს გადაწყვეტილებას ორსულობის შეწყვეტის თაობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ძლიერი სურვილი აქვთ ჰყავდეთ ვაჟი. ასევე, მშობლებს იმედი აქვთ, რომ მათი მეორე შვილი მათთვის სასურველი სქესის იქნება. შედეგად, პირველ და მეორე ბავშვებში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა თითქმის არ არის დარღვეული და, ყოველ შემთხვევაში, ჩამოუვარდება 110 ახალშობილ ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე, იმ ქვეყნებში, სადაც შობადობის საშუალო მაჩვენებელი აღწარმოების დონეს უთანაბრდება (2,1 ბავშვი ყოველ ქალზე). თუმცა ვითარება სხვაგვარად არის რიგობით მომდევნო ბავშვების შემთხვევაში, რაც ხშირად განპირობებულია პირველ და მეორე ბავშვებს შორის ვაჟების სიმცირით. შედეგად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, მესამე ბავშვების შემთხვევაში, განსაკუთრებით არის დარღვეული (125-ზე მეტი ბიჭი 100 გოგონაზე), ვინაიდან ბევრ მშობელს არ სურს ჰყავდეს სამი ან მეტი გოგონა და ისინი მიმართავენ სქესის პრენატალურ შერჩევას.

სქესის შერჩევის ტენდენციებს შორის სხვაობა ხშირად შეინიშნება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ კლასებსა თუ ეთნიკურ ან რეგიონალურ ჯგუფებს შორის. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით არსებული სხვაობების საფუძველს, ზოგ შემთხვევაში, წარმოადგენს ქვეყნაში არსებული კულტურული განსხვავებები, ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების ხარისხი და პატრიარქალური ნორმები. აღნიშნული სხვაობის საფუძველს შესაძლებელია წარმოადგენდეს სოცია-ლურ-ეკონომიკური სტატუსი, რომელიც ზე-მოქმედებს შობადობის დონეზე, უკავშირ-დება რა სქესის შერჩევის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას და ოჯახში ვაჟის ყო-ლის ეკონომიკურ საჭიროებას. საჭიროა ამგვარი სხვაობების მიკვლევა და შეფასება, ვინაიდან სწორედ მათი საშუალებით არის შესაძლებელი აღნიშნული ფენომენის არსისა და მისი კონტექსტის უკეთ გა-გება და მიზანმიმართული ქმედებების განხორციელება ქვეყანაში არსებული გენ-

დერული ტენდენციურობის შემცირების მიზნით.

2.3 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის თანამედროვე ტენდენციები

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, ქალების გადაჭარბებული მოკვდაობა არ ფიქსირდება, სამწუხაროდ, რეგიონს პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის გამოცდილება აქვს. აქედან გამომდინარე, მონოგრაფიის ამ ნაწილში ვისაუბრებთ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებზე. *ცხრილში 2.1* მოცემულია მსოფლიო მასშტაბით დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლებს შორის სხვაობის დამადასტურებელი მონაცემები. ქვეყნების უმრავლესობაში, მაგ., როგორიცაა თურქეთი ან გერმანია, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი საშუალოდ შეადგენს 105 ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე, თუმცა არსებობს რამდენიმე ქვეყანა, რომლებშიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატება ბიოლოგიურ ნორმას. როგორც ცნობილია, მსოფლიოში ბიჭების გადაჭარბებულ შობადობას დიდწილად განაპირობებს ჩინეთში არსებული ვითარება, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა ზრდა დაიწყო 1980-იანი წლების ბოლოს და საუკუნის გასაყარზე შეადგინა 120 ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე. თუმცა გასული ათი წლის განმავლობაში, ჩინეთში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლება შეინიშნება. აღმოსავლეთ აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყანაში დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი მაღალია, რასაც მოწმობს ვიეტნამის, ტაივანის, სინგაპურისა და ჰონგ-კონგის სტატისტიკური მონაცემები.

რიგით მეორე ქვეყანა, სადაც აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას, არის ინდოეთი. სავარაუდოდ, აქ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი დღესდღეობით შეადგენს 110 ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე, რაც ამ ქვეყნისათვის საშუალო მაჩვენებელს წარმოადგენს. თუმცა ინდოეთში დღეს ფიქსირდება შობადობის ყველაზე მაღალი წლიური მაჩვენებელი და მსოფლიოში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ამის გავლენა მეტად საგრძნობია. უკანასკნელ ხანს, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა გაუარესდა ვიეტნამსა და ნეპალში. ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარება ფიქსირდება სამხრეთ კორეაში, რომელიც ერთადერთ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი გაიზარდა 1990-იანი წლების დასაწყისში, ხოლო შემდგომ ამ კოეფიციენტმა განიცადა კლება და, დღევანდელი მდგომარეობით, იგი ბიოლოგიურ ნორმას დაუბრუნდა.

ჩვენ მიერ წარმოებული ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ზრდა, უკანასკნელ პერიოდში, დაფიქსირდა აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (Duthé et al., 2012; Guilmoto & Duthé, 2013). დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ორი რეგიონალური ბლოკი, რომლებშიც დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მოსალოდნელზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება. აქედან, პირველ ბლოკში წარმოდგენილია დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები: ალბანეთი, კოსოვო, მონტენეგრო და მაკედონიის დასავლეთ ნაწილი. აღნიშნულ რეგიონში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა შეადგენს 110 ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე, რაც ბიოლოგიურ ნორმას აღემატება, თუმცა მაინც საშუალო მაჩვენებელს წარმოადგენს (გაეროს მოსახლეობის ფონდი 2012 წ. ა., 2015 წ. ბ.).

მეორე რეგიონალური ბლოკი მოიცავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს: სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს (Dudwick, 2014). ამ რეგიონში დაბადებისას ვაჟებისად-

ცხრილი 2.1: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნებში, 2009–2016 წლები

ქვეყანა/რეგიონი	დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი	პერიოდი	მონაცემთა წყარო
აღმოსავლეთ აზია			
ჩინეთი	114,7	2014–15	წლიური შეფასება
სამხრეთ კორეის რესპუბლიკა	105,1	2015–16	დაბადების რეგისტრი
ვიეტნამი	112,2	2013–14	მოსახლეობის 2014 წლის გამოკითხვა
სამხრეთ აზია			
ინდოეთი	110,0	2014–13	შერჩევითი რეგისტრაცია
სამხრეთ კავკასია			
აზერბაიჯანი	114,6	2014–15	დაბადების რეგისტრი
სომხეთი	113,3	2014–15	დაბადების რეგისტრი
საქართველო	108,0	2010–16	დაბადების რეგისტრი
სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპა			
ალბანეთი	109,0	2012–13	დაბადების რეგისტრი
კოსოვო	110,9	2014–16	დაბადების რეგისტრი
მონტენეგრო	109,0	2012–14	დაბადების რეგისტრი
სხვა ქვეყნები			
გერმანია	105,4	2014	დაბადების რეგისტრი
რუსეთის ფედერაცია	105,7	2013	დაბადების რეგისტრი
თურქეთი	105,7	2014	დაბადების რეგისტრი

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურების მონაცემები

მი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებლის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას, ვინაიდან დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა უკვე მეორედ შეადგინა 115, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში. სამივე ქვეყანაში,[2] დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის წლიური კოეფიციენტი მკვეთრად გაიზარდა 1990-იან წლებში და მაღალ ნიშნულზე დარჩა შემდგომი ათწლეულის მანძილზე. დღესდღეობით, აზერბაიჯანში, დაბადებისას

2 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა ფიქსირდება მთიანი ყარაბაღის მცირემასშტაბიან სადავო ტერიტორიაზეც კი. მონაცემთა ნაკლებობის გამო, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ადგილობრივი კოეფიციენტების განსაზღვრა ვერ განხორციელდა საქართველოს იმ ნაწილებში, რომლებზეც არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მსოფლიოში ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება, მას შემდეგ რაც ჩინეთში ამ კოეფიციენტის სწრაფი კლების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება დაიწყო.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში რჩება სამხრეთ კავკასიის მეზობელ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთი, თურქეთი და ირანი. აღნიშნული კოეფიციენტის ზრდა არ ფიქსირდება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში: ადიღეს რესპუბლიკაში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დეტალური სტატისტიკური მონაცემები ამ რეგიონის შესახებ ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის.

2.4 სქესის პრენატალური შერჩევის კონტექსტი

გარდა არაზუსტი სტატისტიკისა, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის ცვლილებების ინტერპრეტირებას ხშირად აფერხებს ზოგადი თეორიის არარსებობა. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის მატება, ჩვეულებრივ, აღიქმება, როგორც ადგილობრივი და რეგიონალური ფაქტორების პროდუქტი. ჩინეთის შემთხვევაში, მკვლევარები ამ კოეფიციენტის ზრდის მიზეზად ხშირად ასახელებენ ოჯახის დაგეგმარების მკაცრ პოლიტიკას მაშინ, როცა ინდოეთში, გოგონების დაუფასებლობის უმთავრეს მიზეზად გამზითვების ადგილობრივი ადათი სახელდება. აღმოსავლეთ ევროპაში დაფიქსირებულ დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალ მაჩვენებელს მსგავსი ახსნა ვერ მოეძებნა; ერთადერთ მიზეზად შესაძლებელია დასახელდეს 1990-იან წლების, ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე გარდამავალი პერიოდი და ადგილობრივი და საერთაშორისო კონფლიქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სოციალისტური რეჟიმის ჩამოშლის შემდგომ პერიოდში.

საქართველოსა და მის მეზობელი ქვეყნებში ამ თვალსაზრისით არსებულ ვითარებას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით მოცემული ანგარიშის ფარგლებში. ამ ეტაპზე, მიზანშეწონილი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ზემოთ მოყვანილი არც ერთი ახსნა – როგორიცაა ოჯახის დაგეგმარება, გოგონების გამზითვების ადათი, კონფუციანიზმი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისი – არ წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც ესადაგება სხვადასხვა ქვეყანაში, დაწყებული ალბანეთიდან დამთავრებული სინგაპურით, დაფიქსირებულ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის ფენომენს. ფაქტობრივად, ყველა ქვეყანას, რომელშიც სქესის პრენატალური შერჩევის პრობლემა ფიქსირდება, გააჩნია საერთო მახასიათებლები, როგორიცაა ჯანდაცვის კერძო სისტემები, თანამედროვე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გავრცელება, ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების ტრადიცია, დემოგრაფიული გადასვლა, ეკონომიკის სწრაფი მოდერნიზება და სხვ.

წინამდებარე ანალიზში უფრო ინტეგრირებული მიდგომა იქნება გამოყენებული, რაც გულისხმობს იმ ძირითადი წინაპირობების დადგენას, რომელიც საფუძვლად უდევს სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის დამკვიდრებას რეგიონის მასშტაბით. არსებული თეორიებიდან ყველაზე პერსპექტიულის თანახმად, არსებობს სქესის შერჩევის პრაქტიკის დანერგვის სამი კონკრეტული კონტექსტუალური ფაქტორი, რომლებიც ფართოდ გამოიყენება გენდერული ტენდენციურობის ანალიზისას, ყველა იმ ქვეყანაში, რომლებშიც მსგავსი პრობლემა ფიქსირდება და რომელიც ჩვენ დაგვეხმარება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების ანალიზში (იხ. თავი 6). შესაბამისად, ქვემოთ მოცემულია აღნიშნულ წინაპირობათა მოკლე დახასიათება:

- ახალი, იაფი და ეფექტიანი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, რომლებიც ჯერ არ დაბადებული ბავშვის სქესის განსაზღვრის საშუალებას იძლევა
- მშობლებისა და ოჯახის მიერ კონკრეტული

სქესის – ჩვეულებრივ ვაჟის – ყოლის საჭიროებისა და სარგებლის აღქმა

- დაბალი ნაყოფიერება, რომელიც მშობლების მიერ რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას

პირველ და მეორე წინაპირობას ეკონომიკური საწყისები გააჩნია, ვინაიდან ისინი თავის თავში მოიცავს მიწოდებისა და მოთხოვნის მექანიზმებს, შესაბამისად: სქესის შერჩევა წარმოადგენს კონკრეტული ტექნოლოგიის (პრენატალური დიაგნოსტიკა და აბორტი) მიწოდებისა და ვაჟებზე მაღალი მოთხოვნის შედეგს. ამათგან განსხვავებით, მესამე წინაპირობა წმინდად დემოგრაფიული ხასიათის არის: ნაყოფიერების შემცირება ზღუდავს მცირერიცხოვანი ოჯახების მცდელობების რაოდენობას, რომლებიც მათ სასურველი სქესის ბავშვების გაჩენისათვის სჭირდებათ. შესაბამისად, აღნიშნული წინაპირობა "შეზღუდვის ფაქტორის" ფუნქციას ასრულებს. დამატებით ფაქტორს წარმოადგენს, სქესის შერჩევის მეთოდების სოციალურად მისაღებობა, ვინაიდან გარკვეული პროცედურები, როგორიცაა მაგ. აბორტი, შესაძლებელია მიუღებელი იყოს მოსახლეობის ნაწილისათვის, მაგ. გარკვეული ეთნიკური ჯგუფებისათვის.

სქესის შერჩევის ყველაზე ძლიერ ფაქტორად რჩება გენდერული უპირატესობის მინიჭება, რომელიც ვაჟების სასარგებლოდ იხრება. გენდერული უპირატესობის არსებობა შესაძლებელია უკავშირდებოდეს სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ ან ეკონომიკურ მოტივებს. აღნიშნული მოტივები მოიცავს, როგორც პრაქტიკულ ეკონომიკურ მოსაზრებებს, მაგ. როგორიცაა ვაჟების მიერ მშობლებისადმი გაწეული დახმარების მოლოდინი, ასევე სიმბოლურ მოსაზრებებს, როგორიცაა პატივი, რეპუტაცია და გვარის გაგრძელების სურვილი. ბევრ შემთხვევაში, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება წარმოადგენს ღრმად გამჯდარი ოჯახის სისტემის გადმონაშთს, რომლის თანახმადაც, გოგონები არასათანადოდ არიან დაფასებული და ოჯახის არამუდმივ წევრებად მიიჩნევიან. აღნიშნულ კულტურულ კონტექსტში, ვაჟები, როგორც წესი, საკუთარ მშობლებთან ერთად აგრძელებენ ცხოვრებას, დაქორწინების შემდეგ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზრუნავენ მათზე. ვაჟებისაგან განსხვავებით, დაქორწინების შემდეგ გოგონები საცხოვრებლად გადადიან მეუღლეების ოჯახებში და ხშირად რჩებიან მათი ბიოლოგიური ოჯახის მემკვიდრეობიდან წილის გარეშე. თუმცა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ამგვარ მიკერძოებას უდევს საფუძვლად. ეს ფაქტორები უმთავრესად უკავშირდება ვაჟების მიერ ოჯახის კეთილდღეობის საქმეში შეტანილ ეკონომიკურ და სოციალურ წვლილს. მაგ., სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ოჯახებში, ვაჟები, ჩვეულებრივ, მუშაობენ ოჯახის კუთვნილ მეურნეობაში, ეხმარებიან მშობლებს, როგორც ფიზიკურად, ასევე საკუთარი შემოსავლებით. ვაჟები ასევე აგრძელებენ საკუთარ მშობლებზე ზრუნვას, როდესაც მშობლები ხანდაზმულ ასაკში არიან, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმ გარემოში, სადაც შეუძლებელია ხანდაზმულობის არსებული პენსიით არსებობა. შესაბამისად, ეკონომიკური და პოლიტიკური გაურკვევლობის პირობებში, ვაჟები შინამეურნეობებისათვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ.

აღმოსავლეთ ევროპაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევას ყველაზე მეტად ესადაგება ფაქტორი, რომელიც დაბალ ნაყოფიერებას გულისხმობს. სქესის შერჩევის გარეშე, წყვილებმა საშუალოდ ორი ბავშვი უნდა იყოლიონ, რათა ერთი მათგანი მაინც იყოს ვაჟი. 1991 წელს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, ერთ ქალზე ბავშვების საშუალო რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრი ქვეყნების უმრავლესობაში. შობადობის მაჩვენებლის ამგვარმა მკვეთრმა შემცირებამ აიძულა მშობლები გადაესინჯათ და შეეცვალათ სტრატეგიები, რომლებიც შვილების სასურველი გენდერული შემადგენლობის უზრუნველყოფისათვის სჭირდებოდათ. საქართველოში, შობადობის

ტენდენციები, ფაქტობრივად, საკმაოდ მჭიდროდ უკავშირდება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ზრდას. მიუხედავად ამისა, შობადობის შემცირებამ არ იქონია ზემოქმედება სქესის შერჩევის პრაქტიკაზე იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიქმნა. დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების დონე რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში ბუნებრივი მაჩვენებლის ფარგლებში დარჩა. ამ თვალსაზრისით არსებული სხვაობა, რომელიც არსებობს ზემოთ დასახელებულ ქვეყნებსა და სამხრეთ კავკასიისა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს შორის, ძირითადად უკავშირდება ამ რეგიონების ქვეყნებში არსებულ ტენდენციას, რომელიც ოჯახების მიერ ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებას გულისხმობს.

3. მონაცემები და მეთოდები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე კვლევის მიზანს, პირველ რიგში, წარმოადგენს საქართველოში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით არსებული, უახლესი ტენდენციების რაოდენობრივი შეფასება. მოცემული კვლევის ფარგლებში ასევე ვრცლად არის განხილული ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ტენდენციები და ოჯახის მოდელები, რის საშუალებასაც იძლევა მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები. დაბოლოს, კვლევა მოიცავს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების თანმხლები ან პოტენციურად ხელშემწყობი ფაქტორების თვისებრივ შესწავლას. მოცემული ანალიზის სხვადასხვა ნაწილში გამოყენებულია მონაცემთა სხვადასხვა წყარო და პროცედურები, რომელთა მოკლე დახასიათებასაც წინამდებარე თავში გთავაზობთ.

დასაწყისისთვის, საჭიროა განვიხილოთ რამდენიმე მეთოდოლოგია, რომლებიც ესადაგება წინამდებარე კვლევის ძირითად საგანს, ანუ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტს. დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის განსაზღვრა, თავისთავად, ელემენტარულ მათემატიკურ პროცედურას საჭიროებს, ვინაიდან დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის დაანგარიშება წარმოებს ყოველ ცოცხლად დაბადებულ 100 გოგონაზე ბიჭების რაოდენობის განსაზღვრის საშუალებით. ბევრ ქვეყანაში, დემოგრაფიული სტატისტიკა უზრუნველყოფს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის წლიური ტენდენციების მონიტორინგისთვის და რეგიონებს შორის სხვაობის შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტებს. აღნიშნული ეხება ინდუსტრიულ ქვეყნებს, სადაც სანდო და დეტალური მონაცემები იძლევა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის, გარემო ფაქტორებისა ან დროებითი მოვლენებით განპირობებული, უმცირესი სხვაობების გამოვლენის საშუალებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული სხვაობა ერთ პროცენტულ ერთეულზე დაბალია და მისი იდენტიფიცირება მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვილი სტატისტიკოსებისათვის არის შესაძლებელი. სამხრეთ კორეის გარდა, სხვა ქვეყნებში, რომლებშიც სქესის პრენატალური შერჩევის პრობლემა ფიქსირდება, სტატისტიკის სისტემა საკმაოდ სუსტია და სარწმუნო შეფასებების გაკეთება გარკვეულ პრობლემას უკავშირდება. მსგავს შემთხვევებში, სათანადო მონაცემთა წყაროების არარსებობა და შეფასების არასათანადო პროცედურების გამოყენება, სერიოზულად აფერხებს სქესის შერჩევის საკითხის კვლევას და ხშირად არ აძლევს საშუალებას მთავრობებს, სათანადოდ შეაფასონ პრობლემის არსებობა და მისი მნიშვნელობა. აღმოსავლეთ ევროპაში, ადგილობრივად წარმოებული შეფასებები ნათელს ფენს იმას, თუ რატომ დასჭირდათ ადგილობრივ ხელისუფლებებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს 15-დან 20 წლამდე იმისათვის, რათა დაედასტურებინათ, რომ ადგილი ჰქონდა დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის ზრდას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია გასაანალიზებელ მონაცემთა წყაროების შემოწმება და კრიტიკული შეფასება.

წინამდებარე მონოგრაფიის მიზანს წარმოადგენს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შეფასება, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული მიკრომონაცემების საფუძველზე. თუმცა კვლევაში ასევე გამოყენებული იქნება დაბადების რეგისტრის მონაცემები და სტატისტიკური წყაროებისაგან განსხვავებული წყაროები.

3.1 მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა საქართველოში ჩატარდა 2014 წლის ნოემბერში.[3] აღნიშნული მოსახლეობის აღწერა რიგით მეორე აღწერა იყო, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობის პირველი აღწერა ჩატარდა 2002 წელს და მისი შედეგებით დადასტურდა საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის ნიშნები. აღნიშნული თანაფარდობის დარღვევა არ აღინიშნებოდა საბჭოთა პერიოდში, დაბადების რეგისტრის მაშინდელი მონაცემების თანახმად. მოსახლეობის ბოლო ორ აღწერას შორის უჩვეულოდ დიდი ინტერვალი ართულებს ანალიზის წარმოების პროცესს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ბოლო აღწერამ ვერ მოიცვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები, რომლებიც საქართველოს ნაწილს წარმოადგენს.

მოსახლეობის აღწერის ცვლადები

მოსახლეობის 2014 წლის აღწერისას გამოყენებული იქნა პერსონალური და შინამეურნეობებისთვის განკუთვნილი კითხვარები. პერსონალური კითხვარების საშუალებით წარმოებდა მონაცემების შეგროვება მოსახლეობის ასაკის, სქესის, მიგრაციისა და ლტოლვილის სტატუსის, განათლების დონის, ეთნიკური წარმომავლობის, აღმსარებლობის, დასაქმების სტატუსისა და სფეროსა და არსებობის საშუალებათა წყაროების შესახებ. ერთადერთი კითხვა, რომელიც შობადობას უკავშირდებოდა ეხებოდა ქალზე ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობას და დაბადებული ბავშვთაგან აღწერის პერიოდში ცოცხალი ბავშვების რაოდენობას, თუმცა არ წარმოებდა ბავშვების სქესის მითითება. მეორე კითხვარი განკუთვნილი იყო საცხოვრისებისა და ცალკეული შინამეურნეობებისათვის. მასში შედიოდა ინფორმაცია საცხოვრისების შესახებ (აშენების თარიღი, კეთილმოწყობა და მფლობელობა, თუმცა არ იყო მოცემული კითხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელის შესახებ).

წინამდებარე კვლევისათვის საინტერესო ცვლადს წარმოადგენს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, სხვა მახასიათებლებთან კომბინაციაში, რომელთა განსაზღვრაც წარმოებდა პერსონალურ და შინამეურნეობების დონეებზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევა, ძირითადად, ეფუძნება მოსახლეობის აღწერის მოდიფიცირებულ ცვლადებსა ან ახალ ცვლადებს. მოხდა ზოგიერთი ცვლადის გამარტივება, თავდაპირველი ცვლადების გადაჯგუფების საშუალებით. ამგვარად დამუშავებულ ცვლადებს განეკუთვნება ცვლადები მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ (ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და სხვა), ენების შესახებ (ქართული, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული და სხვა), განათლების მიღწეული დონის შესახებ (დაწყებითი, საშუალო განათლების დაბალი საფეხური, საშუალო განათლების მაღალი საფეხური, უმაღლესი განათლება), არსებობის საშუალებათა წყაროები (ხელფასი, შემოსავალი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან, შემოსავალი საკუთარი მეურნეობიდან, პენსია, სოციალური დახმარება, შემოსავალი საკუთრებიდან, სხვა პირთა კმაყოფაზე). ასაკი გადაანგარიშდა თვეების და ხუთწლიან ასაკობრივ ჯგუფების მიხედვით. სხვა ცვლადები ემყარებოდა შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირს (შინამეურნეობის უფროსი) ან

3 საქსტატის რამდენიმე პუბლიკაციაში დეტალურად არის აღწერილი მოსახლეობის 2014 წლის აღწერის პროცედურები და შედეგები. მოცემულ თავში გამოყენებულია მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ის მონაცემები, რომლებიც სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის თემას ესადაგება.

შინამეურნეობის თითოეულ წევრს.

ახალი ცვლადები მოიცავს მაჩვენებლებს, რომლებიც უკავშირდება შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირს – როგორიცაა არსებობის საშუალებათა წყაროები და სქესი, ან მაჩვენებლებს, რომლებიც უკავშირდება შინამეურნეობის თითოეულ წევრს – როგორიცაა განათლების მიღწეული დონე, შინამეურნეობის მოცულობა, ან შინამეურნეობის წევრები, რომლებიც სოფლის მეურნეობის სექტორში არიან დასაქმებული. წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შინამეურნეობების დაყოფა მოხდა სამ კატეგორიად, მათი სტრუქტურიდან გამომდინარე: ერთწევრიანი, ნუკლეარული და რთული შინამეურნეობები. ეს უკანასკნელი მოიცავს შინამეურნეობებს, რომლებშიც სამი თაობაა წარმოდგენილი. რთულ შინამეურნეობებად იქნა მიჩნეული შინამეურნეობები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო შინამეურნეობების პირველად ჩაწერილ პირთა „შვილიშვილები“ ან შინამეურნეობები, რომლებშიც ერთდროულად წარმოდგენილი იყო შინამეურნეობების პირველად ჩაწერილ პირთა „შვილები“ და „მშობლები“.[4]

შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის აღწერის მიზნით, შინამეურნეობის დონეზე, საცხოვრისების მახასიათებელთა საფუძველზე, მონოგრაფიისთვის შევიმუშავეთ სინთეზური ცვლადი, რომელიც ე.წ. შუალედური ცვლადის ფუნქციას ასრულებს. ჩვენ გავაერთიანეთ შინამეურნეობების რვა ცვლადი მახასიათებელი, საცხოვრისების საშუალებათა ხარისხის ნიშნით (ელექტროგაყვანილობა, საპირფარეშო, კანალიზაცია და ა.შ.) ძირითადი კომპონენტების ანალიზის პრინციპით. აღნიშნული ცვლადები, რომლებიც საცხოვრისების ხარისხს განსაზღვრავს, მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოვლინდა შინამეურნეობის კომფორტის უზრუნველმყოფი პირველადი პარამეტრი, რომელზეც მოდიოდა რვა თავდაპირველი ცვლადის დისპერსიის 57 პროცენტი. შედეგად მიღებული ცვლადი განსაზღვრავს ცალკეული შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსს, ვინაიდან მოსახლეობის აღწერისას არ ყოფილა გამოყენებული ისეთი ცვლადები, როგორიცაა შემოსავალი და ფინანსური აქტივები. შემდეგ გამოვიანგარიშეთ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ხუთი კვინტილი, უღარიბესიდან უმდიდრესამდე.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მოხდა შინამეურნეობის წევრების მიგრაციის სტატუსის განსაზღვრა. მოსახლეობის დაახლ. 2 პროცენტი დროებით (ერთ წელზე ნაკლები პერიოდით) მიგრანტს წარმოადგენს, ხოლო 21-29 წლის ასაკის მოსახლეობაში აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი 3 პროცენტამდე იზრდება. ვინაიდან ჩვენ მიერ წარმოებული კვლევისათვის მნიშვნელოვანია შინამეურნეობის სტრუქტურა, გამოთვლების წარმოებისას ჩვენ გავითვალისწინეთ ოჯახის ყველა ის წევრი, რომლებიც მიგრაციაში იმყოფებოდნენ. შესაბამისად, მიგრანტების გათვალისწინების ხარჯზე, ჩვენს კვლევაში გამოყენებული მოსახლეობის რაოდენობა აღემატება მოსახლეობის ფაქტობრივ რაოდენობას. წინამდებარე კვლევაში არ არის გამოყენებული მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული მიგრაციის დეტალური მოდული.

ოჯახის სტრუქტურის აღდგენა

ჩვენ ხელთ არ გვაქვს ინფორმაცია შინამეურნეობის წევრი ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების სქესისა და რიგითობის შესახებ. თუმცა მოსახლეობის აღწერის შედეგები გვაწვდის შინამეურნეობის წევრების სრულ ჩამონათვალს, ოჯახში მათი პოზიციის მითითებით, რომლებიც თორმეტ კატეგორიად იყოფა (შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირი, მეუღლე, შვილები და ა.შ.). გარდა ამისა, იდენტიფიცირებულია შინამეურნეობის წევრების მეუღლეები და მშობლები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილი არიან მოცემულ შინამეურნეობაში. აღნიშნული ინფორმაცია ოჯახის სტრუქტურის აღდგენისა და დედამამიშვილების გამოვლენის საშუალებას გვაძლევს. სქესთა რაოდენობრივი თანა-

4 შედეგად, ზოგიერთ რთულ შინამეურნეობაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი დაქორწინებული წყვილი.

ფარდობის ანალიზისთვის აუცილებელი რამდენიმე ცვლადის გამოყვანა შესაძ-ლებელია ოჯახის სტრუქტურის აღდგენის პროცედურის შემდგომ, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

ზემოაღნიშნული პროცედურა ემყარება ე.წ. „საკუთარი შვილების" მეთოდს ("own-children method"), რომელიც გამოიყენება მოსახლეობის აღწერისა და გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით შობადობის დონისა და ტენდენციების განსასაზღვრად. აღნიშნული პროცედურა შეისწავლის პირებს, რომლებიც მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად კლასიფიცირებული იყვნენ, როგორც ში-ნამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირის „შვილები", „შვილიშვილები" და „შვილთაშვილები". ვინაიდან შესაძლებელია ამ პირების დაკავშირება მათ დედებთან, მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ჩამონათვალის საფუძველზე შესაძლებელია დედმამიშვილების დადგენა. ამ პირების სქესისა და დაბადების თარიღების მიხედვით, შესაძლებელია მათი დაბადების რიგითობის მიახლოებითი განსაზღვრა და იმის დადგენა, ამ ბავშვებს ჰყავთ თუ არა უფროსი ძმა ან და. იგივე პრინციპით შესაძლებელია იმის დადგენა, ჰყავდათ თუ არა ამ ბავშვებს უმცროსი დედმამიშვილი, მოსახლეობის აღწერის პერიოდში (შესაბამისად, ინფორ-მაცია წარმოადგენს მეტობის პრინციპით დაანგარიშებული მონაცემების შედეგად მიღებულ შეფასებას).[5]

საქართველოში, 15 წლამდე ასაკის მოსახ-ლეობის 51 პროცენტი კლასიფიცირებულია, როგორც „შვილი", 43 პროცენტი – როგორც „შვილიშვილი" და 3 პროცენტი – როგორც „შვილთაშვილი". სხვა ნათესაურმა კავში-რებმა 2 პროცენტზე ნაკლები შეადგინა და, შესაბამისად, არ მოხდა მათი ჩართვა და გათვალისწინება წინამდებარე ანალიზში. დანარჩენი 98 პროცენტიდან, კვლევამ მოიცვა მხოლოდ ის ბავშვები, რომელთა დედების იდენტიფიცირება მოხდა იმავე შინამეურნეობებში, კლასიფიკაციაში შეც-დომების თავიდან ასარიდებლად (მაგ., პოტენციური ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამი-დაშვილები) და უფრო რთული სტრუქტურის შინამეურნეობების გამოსარიცხად (მაგ. გან-ქორწინების შემდეგ), სადაც შესაძლებელია არასრულად მოხდეს დედმამიშვილების დათვლა. დაბადების რიგითობის მიხედ-ვით კლასიფიცირებული 15 წლამდე მო-სახლეობის ქვეჯგუფში 567 000 ბავშვი იქნა დაჯგუფებული, რომელმაც მოსახლეობის აღწერის შედეგად გამოთვლილი 0–14 წლის ბავშვების რაოდენობის 94 პროცენტი შეადგინა. არ გვაქვს საბაბი ვივარაუდოთ, რომ მოცემული ასაკის ბავშვების დარ-ჩენილი 6 პროცენტის გამორიცხვა, რაც განპირობებულია ამ ბავშვებზე ინფორმაციის ნაკლებობით, უარყოფით გავლენას იქო-ნიებს ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის შედეგების უტყუარობაზე. ბავშვების მო-ცემული ქვეჯგუფისათვის განისაზღვრა ახალი ცვლადები: ბავშვის რიგითობა, ბავშვები, რომლებსაც ჰყავთ უფროსი ძმა, დედმამიშვილების გენდერული შე-მადგენლობა (მხოლოდ ბიჭები, შერეული შემადგენლობა, ან მხოლოდ გოგონები) და ბავშვები, რომლებსაც ჰყავთ უმცროსი დედმამიშვილი.

შინამეურნეობის სტრუქტურის აღდგენის შედეგად მიღებული ბავშვების რიგითობა თითქმის ემთხვევა დაბადების რიგითობის თავდაპირველ მონაცემს. ვინაიდან სა-ქართველოში ჩვილთა და ბავშვების მოკვ-დაობის მაჩვენებელი დაბალია,[6] გარ-დაცვლილ ბავშვთა პროცენტული წილიც დაბალია. გარდა ამისა, რეპროდუქციული სტრატეგია ეფუძნება იმას, თუ საბოლოო ჯამში რამდენი ბავშვი გადარჩა და არა იმას, თუ რამდენი დაიბადა. შესაბამისად, რეპროდუქციული ქცევის ანალიზისას, მი-ზანშეწონილია ცოცხლად დარჩენილი ბავშ-ვების შესახებ ინფორმაციის გამოყენება. ბავშვების რიგითობისა და წინა და მომ-ევნო ბავშვების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნას ქვემოთ მოცემული ორი მაჩვენებლის შემთხვევაში:

5 მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით, შობადობის მაჩვენებლისა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დადგენის პროცედურა აღწერილია გილმოტოს ნაშრომში (2017 წ.).

6 2005 წლის შეფასებით, საქართველოში 5-წლამდე ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი უახლოვდება 1000 დაბადებულზე 10 ბავშვს.

1. მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა (PPR): წარმოადგენს დამატებით კიდევ ერთი ბავშვის გაჩენის ალბათობას, ბავშვების რიგითობის მიხედვით. მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა (PPR) მცირდება ბავშვების რიგითობის ზრდის პარალელურად და აღნიშნული მაჩვენებელი მჭიდროდ უკავშირდება შობადობის საერთო დონეს. ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად არის მიღებული, მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობის (PPR) გამოთვლა წარმოებს კაპლან-მეიერის შეფასების მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს დამატებით კიდევ ერთი ბავშვის გაჩენის ალბათობას (ან უმცროსი დედმამიშვილის ყოლის ალბათობას) კონკრეტული ბავშვის დაბადების შემდგომი წლების განმავლობაში.
2. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის განსაზღვრა შესაძლებელია ბავშვების დაბადების რიგითობის გათვალისწინებით და ოჯახში წარმოდგენილი უფროსი ძმის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

თუმცა არსებობს ხანდაზმული „შვილების“ გამოყენების რისკი, რომლებიც საქართველოში არსებულ შინამეურნეობებში არიან წარმოდგენილი.[7] შვილების უმეტესობა გარკვეულ ეტაპზე ტოვებს შინამეურნეობას, მიგრაციის ან სხვა მიზეზის გამო, შესაბამისად, ასაკის მატებისა და სქესის მიხედვით (ვინაიდან საქართველოში პატრილოკალური ქორწინების წესი მოქმედებს), მკვეთრად იზრდება არასრული სისხლით ნათესაობის ალბათობა. ბიჭების გარკვეული ნაწილი ზრდასრულ ასაკშიც საკუთარ მშობლებთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას, თუმცა მათი დედმამიშვილები ტოვებენ შინამეურნეობას, სწავლის დასრულებისა და დაქორწინების შემდეგ, რა შემთხვევაშიც შეუძლებელია ოჯახის სტრუქტურის აღდგენის მეთოდის გამოყენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, 15 ან 10 წლამდე ბავშვების შემთხვევაში, ჩვენ ვიყენებთ დედმამიშვილების ცვლადებს (რიგითობა, ბავშვები, რომლებსაც ჰყავთ უფროსი ძმა და ა.შ.). უფროსი ასაკის შვილებთან დაკავშირებული მონაცემები, დიდი ალბათობით არაზუსტი ან მიკერძოებული იქნება, ვინაიდან, მათი დედმამიშვილები შესაძლებელია არ იყვნენ წარმოდგენილი იმავე შინამეურნეობაში.

მოკვდაობის მაჩვენებელთა მიხედვით წარმოებული კორექტირება

და ბოლოს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის აღწერის საფუძველზე წარმოებული გამოთვლების უმრავლესობაში გამოყენებულია მონაცემები 2014 წელს საქართველოში აღწერილი მოსახლეობის შესახებ და არა დაბადებული ბავშვების კოჰორტების შესახებ. დაბადებული ბავშვების კოჰორტების რიცხოვნობის დასადგენად, მოსახლეობის აღწერის მონაცემები კორექტირებას საჭიროებს მოკვდაობის მაჩვენებლების მიხედვით, რათა მოხდეს 2014 წელს აღწერილი მოსახლეობის მონაცემთა გადაანგარიშება დაბადებული ბავშვების კოჰორტების მონაცემების მისაღებად. ამ მიზნით, ჩვენ გამოვიყენეთ ჯანმო-ს მიერ საქართველოსათვის შედგენილი მოკვდაობის ცხრილები (2012 წ.) და ასაკის მიხედვით ცოცხლად დარჩენის ალბათობა შესაბამის წლებსა და თვეებში დავასრულეთ. კოჰორტთა რიცხოვნობის ამგვარი არაპირდაპირი შეფასება შეუძლებელია 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის შემთხვევაში, 2014 წელს აღწერილი მოსახლეობის რაოდენობაზე ემიგრანტების რაოდენობის შერეული ზემოქმედების გამო. მაგ., 2014 წელს აღწერილი 20-64 წლის ასაკის მოსახლეობაში არ შესულა ყველა მიგრანტი, რომლებიც, მოსახლეობის აღწერის პერიოდში, ხანგრძლივი დროით იმყოფებოდნენ საკუთარი შინამეურნეობებიდან მოშორებით.

გარდა ამისა, მოკვდაობა უმნიშვნელო გავლენას ახდენს ცოცხლად დარჩენილ მოსახლეობაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტზე. დავუშვათ, რომ 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედე-

7 მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებში იყო შემთხვევები, როდესაც შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირის „შვილების“ ასაკი 70 წელს აღემატებოდა.

გად დადგინდა, რომ 2004 წელს დაბადებულ მოსახლეობაში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენდა 100-ს. მოსახლეობის აღნიშნული ჯგუფის ასაკი, 2014 წელს, შეადგენს დაახლ. 10,5 წელს, უფრო ზუსტად – საშუალოდ, 10,33 წელს, ვინაიდან მოსახლეობის აღწერა 2014 წლის ნოემბრის დასაწყისში ჩატარდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ 2014 წელს დაფიქსირებული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი განსხვავდება 2004 წელს დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტისაგან, ვინაიდან, სიცოცხლის პირველი 10 წლის განმავლობაში გარდაცვლილი ბიჭების პროცენტული წილი გარდაცვლილი გოგონების პროცენტულ წილზე მცირედით მაღალი იქნებოდა. შესაბამისად, საჭიროა მიღებული კოეფიციენტის კორექტირება, მამაკაცთა მოკვდაობის მაჩვენებლის მიხედვით, რა შემთხვევაშიც ცოცხლად დარჩენის სხვადასხვა ფაქტორის გამოყენება ხდება აუცილებელი ბიჭებისა და გოგონების კოჰორტების შემთხვევაში. ამის შემდეგ, წარმოებს 2014 წელს განსაზღვრული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის გადაყვანა 2004 წელს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ფაქტობრივ კოეფიციენტში. მოკვდაობის მიხედვით წარმოებული კორექტირების შედეგად მიღებული სხვაობა დიდი არ არის, ვინაიდან 10 წლამდე ბიჭების ცოცხლად დარჩენის ალბათობა მხოლოდ 0,6 პროცენტით უფრო დაბალია, ვიდრე გოგონების: ამგვარად კორექტირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი 2004 წლისათვის შეადგენს 100,6-ს მაშინ, როცა 2014 წლისათვის იგივე მაჩვენებელი 100-ს შეადგენდა.

კორექტირების ანალოგური მეთოდი იქნა გამოყენებული ყველა კოჰორტის შემთხვევაში – დაბადების წლის/თვის მიხედვით ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაბადებული კოჰორტების შემთხვევაში; თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოხდა წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთვლილი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების სისტემატური კორექტირება სქესთა შორის მოკვდაობის მაჩვენებლებს შორის არსებული სხვაობის გამოყენებით. თუმცა ეს მეთოდი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოხდეს 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის წარმოებულ გამოთვლებში არსებული პოტენციური ცდომილებების კორექტირება, მიგრაციის ფაქტორის გამო. ადგილობრივ მოსახლეობაში, მაგ. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაში, სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე შესაძლებელია მნიშვნელოვნად ზემოქმედებდეს მიგრანტთა ნაკადის გენდერული შემადგენლობა.

მიკრომონაცემთა დისტანციური დამუშავება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი) ჩვენი თანამშრომლობის წყალობით, სრულყოფილად იქნა შესწავლილი მოსახლეობის აღწერის შედეგები, მათში გენდერული ტენდენციურობისა და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების ნიშნების გამოვლენის თვალსაზრისით. განსხვავებით ტიპური ანალიზისაგან, რომელიც ეფუძნება გამოქვეყნებულ მონაცემებს ან იყენებს მოსახლეობის აღწერის მოდელს, წინამდებარე მონოგრაფიაში შესული მონაცემები მიღებულია მოსახლეობის აღწერის სრული მონაცემების ხელახალი ანალიზის საფუძველზე. წინამდებარე მონოგრაფიაზე მუშაობის პროცესში, ჩვენ გვქონდა საშუალება გვესარგებლა 2017 წლის დასაწყისში საქსტატის ხელთ არსებული დამუშავებელი მონაცემებით. ამ მონაცემებზე მუშაობის პროცესში გამოყენებული პროცედურები არაორდინალურია და შესაბამისად საჭიროა მათი აღწერა.

მოსახლეობის აღწერის თავდაპირველ მონაცემებს მხოლოდ საქსტატი ფლობს. ვინაიდან წინამდებარე მონოგრაფიის ძირითად ავტორს არ ჰქონდა საშუალება ყოფილიყო საქართველოში და პირდაპირ ეხელმძღვანელა სტატისტიკური ანალიზისათვის, ჩვენ შევიმუშავეთ პროცედურა, რომელიც გულისხმობდა მონაცემების დისტანციურ დამუშავებას. თავდაპირველად, შედგა მოსახლეობის

აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების წარმომადგენლობითი ნიმუში, 2014 წელს აღწერილი საცხოვრისების 10 პროცენტის ბაზაზე. წარმოდგენილი ნიმუშის საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ და გამოვცადეთ ორი სტატისტიკური პროგრამა, რომელიც შემდგომ საქსტატმა გამოიყენა მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებულ სრულ მონაცემებზე. პირველი პროგრამა ემსახურებოდა საქართველოს მოსახლეობიდან ახალი ქვეჯგუფის გამოყოფას, როგორიცაა ბავშვების ქვეჯგუფი და ახალი ცვლადების შექმნას, რომლებიც უკავშირდებოდა პირების დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს (სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის კვინტილები და ოჯახის შემადგენლობა – ბავშვების შემთხვევაში). მეორე პროგრამა ემსახურებოდა მონაცემთა ინტენსიურ დამუშავებას, მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე პერიოდში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებისა და გენდერული ტენდენციურობის ძირითად განზომილებათა შესწავლის მიზნით. აღნიშნული სტატისტიკური ანალიზის შედეგები (ცხრილები და სტატისტიკური მოდელირება) წარმოადგენს ჩვენ მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველს. ზოგიერთ შემთხვევაში, 10 პროცენტიანი ნიმუშის დამუშავების საფუძველზე მიღებული შედეგები სავსებით საკმარისია, თუმცა დიფერენცირებული ანალიზი ხშირად საჭიროებს სრულ მონაცემებზე წვდომას, მოსახლეობის შესაბამისი ქვეჯგუფის მცირერიცხოვნობის გამო.

აღწერილი პროცედურა მაღალეფექტური აღმოჩნდა, როგორც ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის მიზნებისათვის, ასევე საქსტატის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისითაც. პროცედურა სრულად ექვემდებარება საქართველოს კანონს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემთა დაცვის, კონფიდენციალურობის და პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის სხვადასხვა ასპექტებს. მიუხედავად ამისა, თავდაპირველი მონაცემები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სიღრმისეული ანალიზისთვის და შეიცავს პირველად ინფორმაციას საქართველოში გენდერული ტენდენციურობის შესახებ. ვინაიდან მოსახლეობის აღწერა უზრუნველყოფს ამომწურავ და ხარისხიან ინფორმაციას, ის აღნიშნული ინფორმაციის უნიკალურ წყაროს წარმოადგენს.

3.2 სამოქალაქო რეგისტრაცია და დაბადების რეგისტრაციის ალტერნატიული წყაროები

დაბადების რეგისტრი სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ანალიზისთვის საჭირო მონაცემთა ოქროს სტანდარტს წარმოადგენს. დასაწყისისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევითი აბორტისა და სქესის პრენატალური შერჩევის სხვა სახეების შესახებ მონაცემები არ არსებობს. არა მხოლოდ აბორტის შესახებ მონაცემებია არასრულყოფილი, ვინაიდან არ წარმოებს ბევრი აბორტის სათანადოდ რეგისტრირება,[8] არამედ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს შეწყვეტილი ორსულობებისას ნაყოფის სქესის შესახებ. თუმცა დაბადებულთა სქესის მიხედვით განაწილება და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ბუნებრივი ნორმიდან გადახრის დაფიქსირება საიმედო მაჩვენებელია სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის არსებობისა.

მაგ., იმ შემთხვევაში, თუ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა შეადგენს 105-ს, ყოველ 100 000 ახალშობილ ბიჭზე უნდა მოდიოდეს 95 200 გოგონა.[9] იმ შემთხვევაში, თუ 100 000 ბიჭზე, დავუშვათ, მხოლოდ 91 000 გოგონა მოდის, გამოდის, რომ ნორმასთან

8 საქართველოში, აბორტების საშუალო წლიურმა რაოდენობამ 2011-2015 წლებში დაახლოებით 34 000 შეადგინა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად (საქსტატი). აღნიშნული ოფიციალური მონაცემი, იმავე პერიოდში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობის 57 პროცენტს შეადგენს, და ბოლო პერიოდში არ შეინიშნება ამ მაჩვენებლის კლების ტენდენცია.

9 მოცემულ მაგალითში მოყვანილ კვლევაში ჩვენ განზრახ ჩავრთეთ დაბადებულთა დიდი რაოდენობა, რათა შედეგებზე არ ყოფილიყო ასახული ის ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება საკვლევი ჯგუფის რაოდენობას, რომელიც განხილულია ამავე თავში.

შედარებით 4 000-ით ნაკლები გოგონაა დაბადებული, რაც აშკარად მიუთითებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 110-ს. აღნიშნული 4 000 გოგონას გაუჩინარება, რომელიც მოსალოდნელი ნორმის 4 პროცენტს შეადგენს, შესაძლებელია უკავშირდებოდეს სქესის შერჩევით აბორტებს. თუ დავამატებთ იმ ფაქტს, რომ ამგვარი შობადობის ტენდენცია შეიმჩნევა მესამე და მომდევნო ბავშვებში, რისი დიდი ალბათობაც არსებობს, მდედრობითი სქესის ნაყოფების შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტის პროცენტული წილი რეალურად გაცილებით მაღალი იქნება, თუ ანალიზის საგნად ავიღებთ მესამე და მომდევნო ბავშვებში სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობას.

დაბადების რეგისტრაციის სისტემა, ზოგადად, ამომწურავ ინფორმაციას იძლევა შობადობის შესახებ, შესაბამისად, ამ სისტემის საშუალებით შესაძლებელია, როგორც ქვეყნის, ასევე ცალკეული რეგიონის მასშტაბით, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ფაქტობრივი დონეების შესახებ ყველაზე სარწმუნო ინფორმაციის მიღება. გარდა ამისა, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გამოთვლა შესაძლებელია დაბადების რიგითობის მიხედვით დაჯგუფებული მოსახლეობის შემთხვევაშიც, ვინაიდან სამოქალაქო რეესტრში სისტემატურად წარმოებს დაბადების რიგითობის რეგისტრაცია. თუმცა საქართველოში, სამოქალაქო რეგისტრაციის მონაცემთა ხელმისაწვდომობა და ხარისხი დიდი ხანია დავის საგანია (დეტალური ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ ბადურაშვილის ნაშრომში, გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ა), რის შესახებაც წინამდებარე კვლევაში ვრცლად არ ვისაუბრებთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ დაბადების რეგისტრაციის პრობლემებმა თავი იჩინა 1990-იანი წლების შუა პერიოდში, მთელი რიგი მიზეზების გამო. 1990-იანი წლების ბოლოს, თითქმის შეუძლებელი გახდა დაბადებულთა რაოდენობისა და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შეფასება, ვინაიდან არ არსებობდა სარწმუნო მონაცემები დაბადების რეგისტრაციის შესახებ. მხოლოდ 2005 წლიდან გახდა შესაძლებელი დემოგრაფიული მაჩვენებლების განსაზღვრა პირველადი მონაცემების საფუძველზე. ახლახანს შემოღებული იქნა ჯარიმა იმ მშობლებისათვის, რომლებიც ბავშვის რეგისტრაციას დაბადებიდან 5 დღის ვადაში არ განახორციელებენ (საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ). 2008 წელს, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის უჩვეულოდ მაღალი კოეფიციენტი იქნა გამოანგარიშებული, რომელმაც შეადგინა 125 ახალშობილი ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე, რამაც კიდევ ერთხელ წამოჭრა დაბადების რეგისტრის მონაცემების სანდოობის თემა. მოსახლეობის 2014 წლის აღწერამ დიდი როლი ითამაშა სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული მონაცემების შევსების საქმეში, რომლებიც დემოგრაფიული მაჩვენებლების განსაზღვრაში გამოიყენება.

2005 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სისტემა. ჩანაწერთა ციფრულ ფორმატში გადაყვანის წყალობით, რაც მთავრობის საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო ელექტრონული მმართველობის ამოცანათა ჩამონათვალში შედის, შესაძლებელი გახდა დამოუკიდებელი დემოგრაფიული შეფასებების მოპოვება, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საშუალებით.[10] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სამოქალაქო რეესტრის ფუნქციას ასრულებს, აწარმოებს რა საქართველოს მოსახლეობის რეგისტრაციას, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასა და გასცემს პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს მოსახლეობის იმ მონაცემთა რეგისტრაციას, რომლებიც მნიშვნელოვანია

10 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც დაარსებული იქნა 2012 წელს და რომელიც ფუნქციონირებს იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში.

დემოგრაფიული რეგისტრაციის სისტემისათვის, კერძოდ, მონაცემებს სქესის, დაბადების თარიღისა და ადგილის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ – თუმცა ეს უკანასკნელი მონაცემი სრულიად სანდო არ არის. აღნიშნული სტატისტიკა მონაცემთა სრულებით ახალ წყაროს წარმოადგენს და მისი გამოყენება შესაძლებელია მიმდინარე დემოგრაფიული ტენდეციების შეფასების მიზნით.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საჯარო რეგისტრაციის ჩანაწერები მხოლოდ მწირ ინფორმაციას იძლევა, როგორიცაა დაბადების წელი, დაბადების ადგილი (მხარე) და სქესი. ხელმისაწვდომი ინფორმაცია, შესაბამისად, არ არის ისეთი დეტალური, როგორც დაბადების რეგისტრის მიერ დაფიქსირებული მონაცემები, რომელიც მოიცავს ისეთ სტანდარტულ ცვლადებს, როგორიცაა დაბადების რიგითობა, ტყუპები ან მშობლების პერსონალური დახასიათება (ასაკი, ქორწინებითი მდგომარეობა და ა. შ.). გარდა ამისა, საჯარო რეგისტრაცია შეიძლება მოიცავდეს ჩანაწერებს საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ გაჩენილი ბავშვების შესახებ, რაც მცირედით, თუმცა ხელოვნურად ზრდის შობადობის წლიურ მაჩვენებელს. თუმცა მასში შესულია ჩანაწერები იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებიც დაბადების რეგისტრაციის კომპიუტერიზაციამდე, ანუ 2005 წლამდე იყვნენ დაბადებული, რაც მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ წარმოებული კვლევისათვის, რადგან აუცილებელია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არსებული ტენდენციების შესწავლა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შობადობის აღნიშნული მონაცემები საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლებად უკეთ შევისწავლოთ 1991-2005 წლების პერიოდი, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში სტატისტიკურად ყველაზე ნაკლებ დოკუმენტირებულ პერიოდად მიიჩნევა. შესაძლებელია არ იყოს მოცემული მონაცემები ამ პერიოდში დაბადებული და შემდგომ გაუჩინარებული პირების შესახებ, ნაადრევი გარდაცვალების, ან მუდმივ ემიგრაციაში გამგზავრების გამო. მიუხედავად ამისა, მოცემული თითქმის სრულყოფილი ჩანაწერები, მოსახლეობის 2002 წლისა და 2014 წლის აღწერების დიფერენცირებულ მონაცემებთან კომბინაციაში, გარდამავალ პერიოდში არსებული ტენდენციების საუკეთესო სტატისტიკურ მტკიცებულებას წარმოადგენს, პერიოდისა, როდესაც ქვეყანაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის რეკორდულად მაღალი კოეფიციენტი დაფიქსირდა.

ცხრილში 3.1 მოცემულია იმ ძირითადი წყაროების ჩამონათვალი, რომლებიც გამოიყენება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის განსაზღვრისას, ასევე დროის ის პერიოდები, რომლებსაც მოიცავს აღნიშნული წყაროები და სხვა დამატებითი ინფორმაცია. ცხრილში ასევე მოცემულია დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებლის კვლევაში აღნიშნული წყაროებიდან მოპოვებულ მონაცამების გამოყენებასთან დაკავშირებული უპირატესობებისა და ძირითადი ხარვეზების მოკლე აღწერა.

სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებულ მონაცემთა შორის თანხვედრისა და პოტენციური სხვაობების საჩვენებლად, *გრაფიკზე 3.1* მოცემულია ამ წყაროებიდან მოპოვებულ მონაცემთა მიხედვით შედგენილი შობადობის კოჰორტული კოეფიციენტები, 1990-2015 წლების პერიოდისათვის. დაბადების რეგისტრიდან მიღებული მონაცემები ნაცრისფერ მრუდზეა მოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემები, რომლებიც მოიცავს 1992-2014 წლების პერიოდის, აღებულია საქსტატის მონაცემთა ბაზიდან, პირველადი მონაცემების არარსებობის გამო. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 1990-2010 წლების პერიოდისათვის ხელმისაწვდომი მონაცემები შავ მრუდზეა დატანილი. გრაფიკზე ასევე ნაჩვენებია შობადობის კოჰორტული კოეფიციენტები ასაკისა და სქესის მიხედვით, რაც დაანგარიშებულია მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების (მონაცემების კორექტირება მოკვდაობის მაჩვენებლებთან არ არის წარმოებული) საფუძველზე. აღნიშნული სამი წყაროდან მიღებული მონაცემები მეტ-ნაკლები სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს და ზოგიერთი წლის შემთხვევაში

ცხრილი 3.1: საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის გამოანგარიშების ხელმისაწვდომი წყაროების მახასიათებლები

წყარო	წლები	ხელმისაწვდომი დამატებითი ინფორმაცია	ფორმატი	ძირითადი ხარვეზები
მოსახლეობის 2002 წლის აღწერა	2002 წლამდე	• ბავშვების რიგითობა და გენდერული შემადგენლობა • ოჯახის მახასიათებლები	მიკრომონაცემები	• უცნობია აღრიცხვის დონე • შეზღუდული დროითი ჩარჩოები • საჭიროებს არაპირდაპირ გამოთვლას
მოსახლეობის 2014 წლის აღწერა	2014 წლამდე	• ბავშვების რიგითობა და გენდერული შემადგენლობა • ოჯახის მახასიათებლები	მიკრომონაცემები	• უცნობია აღრიცხვის დონე • საჭიროებს არაპირდაპირ გამოთვლას
დაბადების რეგისტრი	2005–2016 წლები	• ბავშვების რიგითობა • მშობლების მახასიათებლები	მიკრომონაცემები	• 2005 წლამდე მონაცემები აღდგენის შედეგად არის მიღებული • მწირი ინფორმაცია
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ყველა წელი		ცხრილები	• ძალიან მწირი ინფორმაცია • დაუმუშავებელი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი

• ყველა მონაცემი შეიცავს შობადობის მაჩვენებლებს, წლების, სქესისა და რეგიონების (მხარეების) მიხედვით

თითქმის იდენტურიც კი არის. საერთო ჯამში, ამ სამი წყაროდან მიღებულ მონაცემთა შორის სხვაობები, არც ერთ პერიოდში, არ აღემატება რამდენიმე ათას დაბადებულს; გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 1992 წლამდე პერიოდი. 2002–05 წლების პერიოდისათვის, ჩვენ ასევე ჩავრთეთ საქსტატის მიერ მოწოდებული მონაცემები 6-დან 10 წლამდე ბავშვების შესახებ; ეს მონაცემები 2013–14 წლებში სკოლებში ჩარიცხვის სტატისტიკას ასახავს (თეთრი–ვარდისფერით მრუდი). უნდა აღვნიშნოთ, რომ შობადობის მონაცემები, რომლებიც მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგად არის მიღებული – მოსახლეობის აღწერისა, რომლის დროსაც, მიჩნეულია, რომ მოსახლეობის აღწერა მეტობით განხორციელდა – ემთხვევა ისეთი სარწმუნო წყაროს მონაცემებს, როგორიცაა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

გრაფიკი 3.1: დაბადებულთა წლიური რაოდენობა საქართველოში, 1990–2016 წწ.



წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, მოსახლეობის 2002 და 2014 წლების აღწერები, დაბადების რეგისტრი (დაკვირვებისა და შეფასების შედეგები), სკოლებში ჩარიცხვის სტატისტიკა

სრულებით განსხვავებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების შეფასების მიხედვით შექმნილი სურათი. შობადობის ტენდენციები, გასული 25 წლის მანძილზე, ყველა წყაროს მონაცემებით, დაახლოებით ერთნაირია. შობადობის წლიური მაჩვენებელი მკვეთრად მცირდება 1991 წლიდან მოყოლებული; შემდეგ მკვეთრი ზრდა ფიქსირდება 2007 წლიდან და 2010 წლიდან მოყოლებული მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად თანაბარ ნიშნულზე ნარჩუნდება. თუმცა მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებსა და სხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებს შორის სხვაობა უფრო გამოკვეთილია და სისტემატური ხასიათი აქვს. ფაქტობრივად, თუ გამოვრიცხავთ იმ მოსახლეობას, რომლებიც 2014 წელს 18 წელზე უფროსი ასაკის იყო – ანუ 1997 წლამდეა დაბადებული – და შესაძლებელია დავუშვათ, რომ მოსახლეობის აღწერის დროს ემიგრაციაში იმყოფებოდა, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შეფასებით მიღებული შობადობის კოჰორტული მაჩვენებლების პროცენტული წილი, სხვა წყაროების შეფასებით მიღებული საშუალო მაჩვენებლის 88 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, გამოდის, რომ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებიდან მიღებული შობადობის კოჰორტული კოეფიციენტები 12 პროცენტით ჩამოუვარდება სხვა წყაროების შეფასებით მიღებულ ანალოგურ მაჩვენებლებს. აღნიშნული სხვაობა მუდმივად ფიქსირდება 18 წლის განმავლობაში და წლიდან წლამდე მერყეობს 10-სა და 14 პროცენტს შორის.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების შეფასებით მიღებულ შობადობის კოჰორტულ კოეფიციენტებსა და დაბადების რეგისტრის ანალოგურ მონაცემებს შორის არსებული სხვაობის დადგენა შესაძლებელია თვიური მონაცემების ერთმანეთთან შედარებით, ვინაიდან ზემოთხსენებული ორივე წყარო გვაწვდის თვეების მიხედვით შობადობის მონაცემებს. ორივე წყარო გვაწვდის მონაცემებს დაბადებულთა რაოდენობის შესახებ 118 თვის თვის განმავლობაში,

რომელთა შორისაც კორელაცია მაღალია (r^2=.93). *გრაფიკზე 3.2*, ორ სხვადასხვა შკალაზე ერთმანეთთან შედარებისას, ორივე წყაროდან მიღებული ყოველთვიური მონაცემები დაბადებულთა რაოდენობების შესახებ თანაბარ ცვლილებას განიცდის. ყოველი წლის შუა პერიოდში ფიქსირდება მაჩვენებელთა მკვეთრი ზრდა, ყველაზე დაბალი მაჩვენებლები კი, ჩვეულებრივ, ფიქსირდება ყოველი წლის დეკემბერში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე წყაროდან მიღებული მაჩვენებლები თითქმის პარალელურ რეჟიმში იცვლება, გრაფიკზე ნაჩვენებია, რომ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ყოველთვიურად, დაახლ. 500 ახალშობილით უფრო ნაკლები ფიქსირდება, ვიდრე დაბადების რეგისტრის მონაცემებით. სხვაობამ 11 პროცენტი შეადგინა 2005-2014 წლების პერიოდში, ანუ პერიოდში, რომლისთვისაც ჩვენ ხელთ გვაქვს, როგორც მოსახლეობის აღწერის, ასევე დაბადების რეგისტრის შედეგებზე დაყრდნობით წარმოებული თვეების მიხედვით დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები.

მოცემული ანალიზის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე 10 წლის პერიოდში, მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გამოთვლები და დაბადების რეგისტრის მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. თვეებს შორის სხვაობის თვალსაზრისით, ორივე წყაროდან მიღებული მონაცემები თანაბარია. თუმცა იგივე ანალიზის ფარგლებში, იკვეთება სხვაობა მოსახლეობის აღწერიდან მიღებულ მონაცემებსა და დაბადების რეგისტრის მონაცემებს შორის, კერძოდ, დაბადების რეგისტრის მონაცემებით, ყოველთვიურად, დაახლ. 500 დაბადებულით მეტი ფიქსირდება. მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ქვეყანაში რეგისტრირებულ დაბადებულთა რაოდენობა 15-20 პროცენტით ჩამოუვარდება დაბადების რეგისტრის მონაცემებს. აღნიშნული სხვაობა არ შეიძლება უკავშირდებოდეს მოკვდაობის მაჩვენებელს, ვინაიდან მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებული მონაცემები კორექტირებულია მოკვდაობის მაჩვენებლის მიხედვით. ასევე არ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის აღწერის დროს სრულად არ იქნა წარმოებული საქართველოში მცხოვრები ბავშვების აღწერა. შობადობის მაჩვენებლები (იხ. თავი 4) ემთხვევა მოსახლეობის აღწერის პერიოდისათვის ხელმისაწვდომ ანალოგურ

გრაფიკი 3.2: დაბადებულთა თვიური რაოდენობა საქართველოში, 2002-2014 წწ.



წყაროები: დაბადების რეგისტრი და მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული შეფასებები

მაჩვენებლებს. გარდა ამისა, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებული შობადობის კოჰორტული კოეფიციენტები, სხვა წყაროებიდან მიღებულ ანალოგურ მონაცემებზე დაბალია უფროსი თაობის მოსახლეობის შემთხვევაშიც, რასაც *გრაფიკზე 3.1* მოცემული სურათი ადასტურებს.

აღნიშნული საკითხი დეტალურად არის განხილული მონოგრაფიაში, რომელიც მოსახლეობის დინამიკას ეძღვნება (Hakkert, 2017). მიუხედავად იმისა, თუ რა წარმოადგენს აღნიშნული სხვაობის მიზეზს, უნდა აღინიშნოს, რომ შობადობის კოჰორტული კოეფიციენტების შესწავლის შედეგად მნიშვნელოვანი სხვაობა იკვეთება მოსახლეობის აღწერიდან მიღებულ მაჩვენებლებსა და რეგისტრირებულ დაბადებულთა რაოდენობების შესახებ არსებულ მონაცემებს შორის. შესაბამისად, ჩვენ მიერ წარმოებულ კვლევაში შევეცდებით გამოვიყენოთ საკვლევი პერიოდისათვის ხელმისაწვდომი ყველაზე თანმიმდევრული დემოგრაფიული მაჩვენებლები.

3.3 სხვა წყაროები

საქსტატისა და სტატისტიკის საკითხებზე მომუშავე სხვა დაწესებულებების მიერ მოწოდებული რაოდენობრივი მონაცემების გარდა, ჩვენ შევეცადეთ მოგვეპოვებინა ინფორმაცია გასული თხუთმეტი წლის მანძილზე განხორციელებულ ძირეულ გარდაქმნებზე, რომლებმაც გავლენა იქონია საქართველოს საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, რა მიზნითაც, 2016 წლის ნოემბერში, ჩავატარეთ მცირემასშტაბიანი თვისებრივი კვლევა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ქ. თბილისში, გაიმართა შეხვედრები მთელ რიგ თანამდებობის პირებთან, რათა მათგან მიგვეღო ინფორმაცია უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განხორციელებული ინსტიტუციური და სოციალური პოლიტიკის ცვლილებების შესახებ. ასევე, სპეციალისტებთან გასაუბრების საშუალებით, ჩვენ შევისწავლეთ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მიმდინარე სოციალური და დემოგრაფიული გარდაქმნების მახასიათებლები. ზოგადად, ჩვენ მიერ წარმოებული სამუშაო ემსახურებოდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან ინფორმაციის მიღებასა და მათი მოსაზრებების გაცნობას იმ პროცესების თაობაზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ გენდერულ ურთიერთობებზე, კერძოდ, მიგრაციის, შობადობის ზრდის, ღირებულებათა სისტემებში ცვლილებებისა და სამთავრობო რეფორმების თაობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული.

ჩვენ ასევე ვაწარმოეთ ერთკვირიანი თვისებრივი კვლევა კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული რეგიონის შერჩევა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ აქ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის საგრძნობლად მაღალი კოეფიციენტი და მოსახლეობაში უმცირესობების შედარებით ნაკლები პროცენტული წილი ფიქსირდებოდა, საქართველოს იმ რეგიონებთან შედარებით, რომლებშიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ასევე მაღალი კოეფიციენტი შეინიშნებოდა. კვლევა ძირითადად ჩატარდა სასოფლო დასახლებებში, რის მიზანსაც წარმოადგენდა კოსმოპოლიტური თბილისის რეგიონიდან რაც შეიძლება განსხვავებული სიტუაციის შესწავლა. სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით, ჩვენ შევისწავლეთ, როგორც შინამეურნეობის წევრთა, ასევე სხვადასხვა სოციალური პროფილის მქონე საჯარო მოხელეთა და კერძო პირთა მოსაზრებები და გამოცდილება. ჩვენს უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის მოპოვება (1) სქესთა შერჩევის (ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების) თვალსაზრისით არსებულ სიტუაციასა და მის განმაპირობებელ ფაქტორებზე და (2) ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ ასპექტებზე, რომლებიც სავარაუდოდ ზემოქმედებს ოჯახურ ნორმებსა და რეპროდუქციულ ქცევაზე, რომელიც ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებას გულისხმობს. უფრო კონკრეტულად, კვლევაში მონაწილე ჯგუფში წარმოდგენილი იყვნენ ადგილობრივი

სპეციალისტები და საჯარო მოხელეები, ჯანდაცვის, საქმიანი წრეებისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი და სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის მქონე მამაკაცები და ქალები.

ასევე, საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლობისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, შევისწავლეთ 2014 წელს წარმოებული კვლევის (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ა) ფარგლებში გამართული ინტერვიუები და დისკუსიები და ვაწარმოეთ მათი თეორიული ანალიზი. აღნიშნული კვლევა მოიცავდა სიღრმისეულ ინტერვიუებს ქვეყნისა და ადგილობრივ სპეციალისტებთან და დისკუსიებს სამიზნე ჯგუფთან, რომელშიც წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფს მიკუთვნებული და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან წარმოდგენილი მამაკაცები და ქალები.

სხვა სტატისტიკური მონაცემების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს საქსტატის მიერ წარმოებული კვლევები. გარდა ამისა გამოყენებული იქნა მსოფლიო ბანკის, გაეროს მოსახლეობის განყოფილებისა (2017 წ.) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ წარმოებული შეფასებები. სამწუხაროდ, უახლოეს წარსულში, საქართველოში არ წარმოებულა ფართომასშტაბიანი დემოგრაფიული კვლევა (როგორიცაა, დემოგრაფიული და ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა (DHS), რეპროდუქციული და ბავშვთა ჯანმრთელობის კვლევა (RCH), მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) და ა. შ.).[11]

11 უკანასკნელი დემოგრაფიული კვლევა საქართველოში ჩატარდა 2010 წელს და წარმოადგენდა რეპროდუქციული და ბავშვთა ჯანმრთელობის კვლევას (RCH).

4. დემოგრაფიული და ოჯახის კონტექსტი

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შედეგები გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას საქართველოში გენდერული ტენდენციურობის ძირითადი კონტექსტუალური მონაცემების შესახებ. წინამდებარე თავში ჩვენ ძირითადად გთავაზობთ, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა საფუძველზე, ჩვენ მიერ წარმოებულ კვლევას, რომელიც ოჯახისა და ქორწინების სისტემებსა და რეპროდუქციული ქცევის ტენდენციებს ეხება.

4.1 თანამედროვე ქართული ოჯახი

ოჯახის სისტემა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს რეპროდუქციული სტრატეგიების განსაზღვრასა და გენდერული ტენდენციურობის გამოვლენის კუთხით. გარდა იმისა, რომ ოჯახებში, სქესთა შორის როლები ხშირად მკაცრად არის განაწილებული, რასაც ვხვდებით საქართველოში, ოჯახებში გამოვლენილი ქცევა და დემოგრაფიული ქცევა მჭიდროდ უკავშირდება კონტექსტუალურ ცვლილებებსა და ინსტიტუტებს საზოგადოებაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის დამცავი ფუნქცია, რომელიც ქართულმა ოჯახმა იტვირთა სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ. 1991 წლამდე მოქმედებდა კომუნისტური რეჟიმის მიერ შექმნილი საკმაოდ ძლიერი საჯარო ხელისუფლება და სოციალური უსაფრთხოების ინსტიტუტების მთელი რიგი, რომლებიც კონკურენციას უწევდა ოჯახს, მოსახლეობის განათლებით, საცხოვრისით, დასაქმებითა და, ზოგადად, დაცვით უზრუნველყოფის საქმეში. აღნიშნული ინსტიტუტების ჩამოშლის შემდეგ, მოსახლეობა საკმაოდ არასახარბიელო ეკონომიკური პერსპექტივებისა და არასტაბილური სოციალური და პოლიტიკური რეალობის პირისპირ აღმოჩნდა, რის შედეგადაც მოხდა ოჯახის ინსტიტუტის დაცვის ფუნქციის წინა პლანზე გამოტანა. ოჯახებმა, მაგ., საკუთარი წევრების რესურსების მობილიზების ხარჯზე, იტვირთეს ის საქმე, რომელსაც მანამდე სახელმწიფო ინსტიტუტები სთავაზობდა მოსახლეობას.

სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პარალელურად ხდება, ზოგადად, ოჯახის სტრუქტურისა და სისტემის ადაპტირება და მორგება შექმნილ ვითარებაზე. საქართველოში ოჯახის სისტემის ეტაპობრივი გარდაქმნის მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს შინამეურნეობათა საშუალო ზომის და შემადგენლობის ცვლილება. საქართველოში შინამეურნეობების საშუალო მოცულობა 2002 წელს შეადგენდა 3,5 წევრს, რომელიც დროთა განმავლობაში უმნიშვნელოდ შემცირდა და 2014 წლისთვის შეადგინა 3,3 წევრი. შინამეურნეობათა ზომას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ბავშვების საშუალო რაოდენობა, თანამცხოვრები თაობების რაოდენობა და შინამეურნეობის წევრთა მიგრაცია. თუმცა მოსახლეობის წინა აღწერის მონაცემებთან შედარებისას არ იკვეთება მკვეთრი ცვლილებები შობადობის (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვევით) და მიგრაციის მაჩვენებლების თვალსაზრისით. ფაქტობრივად, გარე მიგრაციაში წასული პირების დიდი ნაწილი, იურიდიულად, კვლავ შინამეურნეობის წევრებად ირიცხება და, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მათზე ინფორმაცია შესულია ჩვენ მიერ დამუშავებულ მონაცემებში. შედეგად, შინამეურნეობის ტიპი დიდწილად ხსნის შინამეურნეობათა ზომებს შორის არსებულ განსხვავებას. ქართულ საზოგადოებაში ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ტიპის შინამეურნეობების არსებობის ფონზე, ზოგადი სურათი უჩვეულოდ არაერთგვაროვნად გამოიყურება. მცირერიცხოვანი – ერთი ან ორი წევრისაგან შემდგარი – შინამეურნეობები საკმაოდ მომრავლდა, ასევე ფართოდ არის გავრცელებული უფრო

რთული შინამეურნეობები, რომლებშიც ორზე მეტი თაობაა წარმოდგენილი. ზოგადად, შეგვიძლია გამოვყოთ სამი ტიპის შინამეურნეობა: ერთსულიანი (18 პროცენტი), ნუკლეარული (55 პროცენტი) და რთული შინამეურნეობები (27 პროცენტი). ამ უკანასკნელ კატეგორიაში იგულისხმება ყველა ის შინამეურნეობა, რომელთა წევრებიც სამ ან მეტ თაობას წარმოადგენენ (რთულ შინამეურნეობათა განმარტება შეგიძლიათ იხილოთ მონაცემებისადმი მიძღვნილ ნაწილში).

მაგ., შეგვიძლია გამოვყოთ და ვისაუბროთ ერთსულიანი შინამეურნეობების მნიშვნელობაზე, რომლებმაც 2014 წელს აღწერილი ყველა შინამეურნეობის 18 პროცენტი შეადგინა და ეს წილი თითქმის არ შეცვლილა 2002 წლის შემდეგ. მსოფლიოს შედარებით მდიდარ ქვეყნებში, ერთსულიანი შინამეურნეობები საკმაოდ ხშირია და ძირითადად წარმოადგენილია „ახალგაზრდა ზრდასრულებით“ (“young adults” ანუ 20–39 წლის პირები), რომლებიც სწავლობენ ან მუშაობენ. საქართველოში კი ერთსულიანი შინამეურნეობების პროცენტული წილი შედარებით ნაკლებია: 40 წლამდე ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 14,5 პროცენტი ცხოვრობს ერთსულიან შინამეურნეობებში, ამასთან, საქალაქო დასახლებებში აღნიშნული პროცენტი მცირედით მაღალია და შეადგენს 19 პროცენტს. საქართველოში, ყველაზე ხშირია ერთსულიანი შინამეურნეობები, სადაც 50 წელზე უფროსი ასაკის პირები ცხოვრობენ (75,2 პროცენტი); 60 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 56,5 პროცენტი და 70 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 24 პროცენტი ცხოვრობს ერთსულიან შინამეურნეობებში. ვინაიდან ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა აღემატება მამაკაცებისას და ის ფაქტი, რომ ქალები უფრო ხშირად ქვრივდებიან განაპირობებს იმას, რომ ისინი უფრო ხშირად ცხოვრობენ მარტო. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი 60 წლის ასაკის ქალებში 13 პროცენტს, ხოლო 80 წელზე უფროს ასაკში – 21 პროცენტს შეადგენს.

ერთსულიანი შინამეურნეობებისაგან განსხვავებით, მრავალსულიანი შინამეურნეობები კვლავაც ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. შინამეურნეობების ერთი მეოთხედი ხუთი ან მეტი წევრისაგან შედგება და საქართველოს მოსახლეობის 43 პროცენტი მრავალსულიან შინამეურნეობებში ცხოვრობს. რაც შეეხება 15 წლამდე ასაკის ბავშვებს, მათი 62 პროცენტი მრავალსულიან შინამეურნეობებში ცხოვრობს, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მცხოვრები ბავშვების დიდი უმრავლესობა მრავალსულიან ოჯახებში იზრდება. ლოგიკურია, რომ მრავალსულიანი შინამეურნეობები, უფრო ხშირად, რთულ შინამეურნეობებს წარმოადგენენ, ვიდრე ნუკლეარულს. იმ შინამეურნეობების უმრავლესობაში, რომლებშიც ხუთი ან მეტი წევრი ცხოვრობს, ჩვეულებრივ, სამი თაობაა წარმოდგენილი. რთული შინამეურნეობების წევრების საშუალო რაოდენობა შეადგენს 5,3 წევრს მაშინ, როცა ნუკლეარული ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა 3,1 წევრს შეადგენს. საქართველოში მცხოვრები 0–14 წლის ასაკის ბავშვების 56 პროცენტი და საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 43 პროცენტი ცხოვრობს რთულ შინამეურნეობებში. აქედან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრები ბავშვების ნახევარზე მეტი დედის ან მამის მშობლებთან ერთად ცხოვრობს (ყველაზე ხშირად, მამის მხრიდან ბაბუასთან ერთად, რაზეც შემდეგ გვექნება საუბარი): რაც მათ პიროვნულ ფორმირებაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს.

რთულ შინამეურნეობებში მცხოვრებთა წილი ეტაპობრივად იკლებს, ასაკის მატებასთან ერთად. ქორწინების ასაკის, ე.ი. 25-დან 34 წლამდე ასაკის მოსახლეობის 47 პროცენტზე მეტი ცხოვრობს შინამეურნეობებში, სადაც სამი თაობაა წარმოდგენილი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული ვითარებისაგან განსხვავებით, საქართველოში, ქორწინება არ წარმოადგენს ოჯახის დატოვების მიზეზს და ქორწინების შემდგომ ადრეულ ეტაპზე, მშობლებთან თანაცხოვრება ჩვეულებრივი მოვლენაა. რთულ შინამეურნეობებში მცხოვრებთა რიცხვი იკლებს 35 წელზე უფროსი ასაკის დაქორწინებული პირების შემთხვევაში: 34 წლის დაქორწინებული პირების 50 პროცენტი და 42 წლის დაქორწინებული პირების 40 პროცენტი ცხოვრობს რთულ შინამეურნეობებში.

საქართველოში, სხვადასხვა ტიპის ოჯახებში ცხოვრების მიხედვით მოსახლეობის განაწილების დეტალური სურათის მისაღებად, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების საფუძველზე (10-პროცენტიანი შერჩევის გამოყენებით), ჩვენ შევქმენით შინამეურნეობის წევრთა ბავშობიდან სიბერემდე სიტუაციის ამსახველი სურათი. ქვემოთ მოცემულ *გრაფიკზე 4.1* ცალცალკე არის წარმოდგენილი ქალებისა და მამაკაცების განაწილება, შინამეურნეობის ტიპებისა და 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 75 წლის ასაკამდე მოსახლეობისათვის.

ბავშვების 60 პროცენტზე მეტი იბადება გარემოში, სადაც მრავალი თაობაა წარმოდგენილი, ჩვეულებრივ, მათი მშობლები და მამის მხრიდან ბებია-ბაბუა (იხ. Eelens, 2017). ბავშვების ასაკის და დედმამიშვილების რაოდენობის მატების პარალელურად, ეტაპობრივად იზრდება ბავშვების ნუკლეარულ ოჯახში ცხოვრების ალბათობა და 15 წელზე უფროსი ასაკის პირების უმრავლესობა ნუკლეარულ ოჯახებში ცხოვრობს, თუმცა 25-34 წლის ასაკის მოსახლეობის უმრავლესობა ისევ რთულ შინამეურნეობებში ცხოვრობს, ვინაიდან ეს არის ასაკი, როდესაც ეს პირები ქორწინდებიან და აჩენენ პირველ ბავშვებს. ხანდაზმულობის ასაკში ნუკლეარული ოჯახი ეტაპობრივად იწყებს დაშლას, ვინაიდან ზრდასრული შვილები ოჯახს ტოვებენ და მატულობს დაქვრივების ალბათობა. როგორც მოსალოდნელია, დაქვრივების გავლენა უფრო მკაფიოდ აისახება ქალებზე. ხანდაზმულობის ასაკში ზოგიერთი ქალი რთულ შინამეურნეობაში იწყებს ცხოვრებას. ფაქტობრივად, როგორც *გრაფიკზე 4.1* არის ნაჩვენები, 50 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში იზრდება რთულ შინამეურნეობებში მცხოვრებ პირთა პროცენტული წილი. დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, ბებია-ბაბუასთან მცხოვრები ბავშვების წილი უმნიშვნელოდ შემცირდა, რაც გვაძლევს

გრაფიკი 4.1: ოჯახის ტიპები საქართველოში, მოსახლეობის ასაკისა და სქესის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

იმის ვარაუდის საშუალებას, რომ, 2002 წლის შემდგომ, საქართველოში ოჯახების მნიშვნელოვან ნუკლეარიზაციას არ ჰქონია ადგილი, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს საქალაქო დასახლებები.

თუმცა ქვეყნის მასშტაბით, მნიშვნელოვანი სხვაობები არსებობს საცხოვრებელი პირობების თვალსაზრისით. შინამეურნეობების განაწილების[12] ანალიზი აჩვენებს, რომ რთული შინამეურნეობები ყველაზე ხშირია აჭარაში (37 პროცენტი), ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში (40 პროცენტი) და შინამეურნეობებში, სადაც პირველად ჩაწერილი პირი პენსიონერია (35 პროცენტი). გენდერული ტენდენციურობა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება, სავარაუდოდ, უფრო ხშირია ტრადიციულ ოჯახებში, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს რთული შინამეურნეობები, რომელთა წევრებიც მრავალი თაობის წარმომადგენლები არიან. თუმცა ამგვარი კავშირის დასადასტურებლად საჭიროა თვისებრივი კვლევების შედეგად მიღებული დამატებითი მტკიცებულებები. საქალაქო დასახლებებში, ნუკლეარული ოჯახები ორჯერ უფრო ხშირია, ვიდრე რთული შინამეურნეობები, განსაკუთრებით ქ. თბილისში, ასევე მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, სხვაობა არ იკვეთება შინამეურნეობების ტიპებს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხედველობაში ვიღებთ შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირის არსებობის საშუალებათა ძირითად წყაროებს. ნუკლეარული ოჯახები სამჯერ უფრო ხშირია შინამეურნეობის იმ პირველად ჩაწერილ პირთა შორის, რომელთა არსებობის საშუალებას წარმოადგენს ხელფასი, საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი ან სოციალური დახმარება. როგორც ჩანს, კულტურული ფაქტორები, როგორიცაა მაგ. აღმსარებლობა და კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, გარკვეულ როლს თამაშობს საცხოვრებელი პირობების თვალსაზრისით.

წინამდებარე ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რთული შინამეურნეობების ფუნქციონირების საკითხები ოჯახის დინამიკის შესწავლის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, ვინაიდან ქართველთა დიდ უმრავლესობას, რაღაც ეტაპზე, უცხოვრია მრავალი თაობის წარმომადგენლებისაგან შემდგარ შინამეურნეობაში. გარდა ამისა, წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა საქართველოში გავრცელებული რთული შინამეურნეობების ტიპების შესწავლა. ყველაზე ხშირად საქართველოში ვხვდებით შინამეურნეობებს, რომლებშიც ორი წყვილია წარმოდგენილი, კერძოდ, დაქორწინებული შვილი (მეუღლითა და შვილებით) და მისი მშობლები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი თაობის ერთად თანაცხოვრებას საფუძვლად უდევს ქვეყანაში გაბატონებული პატრილინეალური წესი. ტრადიციული „პატრილინეალური სისტემა“[13], გულისხმობს იმას, რომ ქორწინების შემდეგ ქალი ტოვებს მშობლების ოჯახს და საცხოვრებლად გადადის მეუღლის ოჯახში (Dragadze, 2003). მოსახლეობის აღწერის შედეგები საშუალებას გვაძლევს დეტალურად გამოვიკვლიოთ საქართველოს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები ქორწინების შემდეგ.

ამ მიზნით, ყურადღებას გავამახვილებთ ქორწინებაში მყოფ ახალგაზრდებზე. 30 წლამდე პირების 60 პროცენტზე მეტი ცხოვრობს მათზე უფროსი ასაკის დაქორწინებულ წყვილთან ერთად და წარმოადგენს ამ წყვილის „შვილს“,

12 შინამეურნეობების განაწილება უნდა განვასხვავოთ კონკრეტული ტიპის შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის განაწილებისაგან. მრავალრიცხოვან შინამეურნეობებში მაცხოვრებელი მოსახლეობის პროცენტული წილი ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე თავად მრავალრიცხოვანი შინამეურნეობების პროცენტული წილი.

13 გამარტივების მიზნით, გამოვიყენეთ ტერმინი „პატრიარქალურ სისტემა“, რომელიც გულისხმობს ნათესაურ სისტემას, რომელიც თავის თავში აერთიანებს პატრილოკალურ სისტემას (როდესაც ახლად დაქორწინებული წყვილი ცხოვრობს ქმრის მშობლებთან ან მათ ახლოს) და პატრილინეალურ სისტემას (როდესაც ნათესაური კავშირი გრძელდება მამის ან ქმრის ხაზით). ბილატერალური/ორმხრივი სისტემა გულისხმობს იმას, რომ დედისა და მამის ხაზს თანაბარი დატვირთვა აქვს და დაქორწინების შემდეგ წყვილი შესაძლებელია ცხოვრობდეს, როგორც ქმრის, ასევე ცოლის მშობლებთან. მატრილატერალურ სისტემაში დომინირებს დედის ხაზი და, ხშირად, დაქორწინების შემდეგ წყვილი ცხოვრობს ცოლის მშობლებთან.

„შვილიშვილს“, „რძალს“ ან „სიძეს“.[14] ასაკის მატებასთან ერთად მცირდება აღნიშნული პროცენტული წილი და 40–49 წლის ასაკში მხოლოდ 26 პროცენტი ცხოვრობს მათზე უფროსი ასაკის დაქორწინებულ წყვილთან ერთად.

მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ პატრილოკალური და მატრილოკალური თანაცხოვრების პრაქტიკა. ამ შემთხვევაშიც, ყურადღებას შევაჩერებთ 50 წლამდე ასაკის „ქორწინებაში მყოფ შვილებზე“, რომლებიც საკუთარი მშობლების შინამეურნეობებში ცხოვრობენ. ამ კატეგორიაში მამაკაცების პროცენტული წილი, რომელიც 2014 წელს 82 პროცენტს შეადგენდა, პირდაპირ მიანიშნებს საქართველოში გაბატონებულ ნათესაურ სისტემაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხუთიდან მინიმუმ ოთხ შემთხვევაში, დაქორწინებული წყვილი ცხოვრებას აგრძელებს ქმრის მშობლების შინამეურნეობაში. ამგვარი ცხოვრების პირობები დამახასიათებელია პატრიარქალური სისტემისათვის და 2014 წლის მონაცემები, 2002 წლის ანალოგური მონაცემებისაგან თითქმის არ განსხვავდება.

სასოფლო დასახლებებში არსებულ შინამეურნეობებში, რეკორდული წილი პატრილოკალურ შინამეურნეობებზე მოდის, სადაც მშობლებთან ერთად მცხოვრებ ქორწინებაში მყოფ შვილებს შორის მამაკაცების პროცენტული წილი 90 პროცენტს აჭარბებს. საქართველოს ორი რეგიონი – სამცხე-ჯავახეთი და კახეთი – პატრილოკალური შინამეურნეობების ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა. კულტურულ ჭრილში განხილვისას, მუსლიმებსა და აზერბაიჯანელებში ყველაზე ხშირია პატრილოკალური თანაცხოვრება (ქორწინებაში მყოფი შვილების 94 პროცენტი). თუმცა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პროფილიც პატრილოკალური თანაცხოვრების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს, რადგან იმ შინამეურნეობების 90 პროცენტზე მეტი, რომელთა წევრებიც სოფლის მეურნეობაში არიან დასაქმებული, პატრილოკალურ შინამეურნეობებს წარმოადგენს; იგივე ითქმის შედარებით ღარიბ შინამეურნეობებზეც.

საქალაქო დასახლებებში, პატრილოკალური შინამეურნეობები ნაკლები პროცენტული წილით არის წარმოდგენილი და საქალაქო დასახლებების შინამეურნეობების 75 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება ქ. თბილისში, სადაც ის 69 პროცენტს უტოლდება. საქართველოს დედაქალაქში, მშობლებთან ერთად მცხოვრები ქორწინებაში მყოფი წყვილების დაახლ. ერთი მესამედი ცოლის ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ზოგადად, მატრილოკალური ქორწინებების წილი მატულობს ოჯახის სოციალური სტატუსის ზრდის პარალელურად, მიუხედავად იმისა, რომ პატრილოკალური ქორწინებების პროცენტული წილი იშვიათად თუ ჩამოუვარდება 75 პროცენტს.

საქართველოს შინამეურნეობების სტრუქტურის ზემოთ მოცემული დახასიათება გავლენას ახდენს სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის შესახებ ჩვენ მიერ წარმოებულ კვლევაზე. ქორწინების შემდგომ მშობლებთან თანაცხოვრების პრაქტიკა მყარად არის დამკვიდრებული ქართულ საზოგადოებაში. აღნიშნული პრაქტიკა, რომელიც აშკარად იხრება მამაკაცის ნათესაური ხაზისკენ, არსებითად განაპირობებს საქართველოში დღესდღეობით არსებულ ოჯახურ გამოცდილებას და აკნინებს ქალისა და მისი ნათესაური ხაზის როლს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პრაქტიკა დომინირებს ქორწინების ადრეულ სტადიაზე და ბავშვების გაჩენის ეტაპზე, საჭიროა მისი გათვალისწინება ჩვენ მიერ წარმოებულ რეპროდუქციული ქცევის კვლევაში.

14 მოცემული პროცენტული წილი სრულად არ ასახავს რეალურ სურათს, ვინაიდან ქორწინებაში მყოფი პირი შესაძლებელია წარმოადგენდეს შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირს და ცხოვრობდეს საკუთარ მშობლებთან ერთად, შედეგად მათი აღწერა არ წარმოებს, როგორც შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირის „შვილი“.

4.2 შობადობის მიმდინარე ტენდენციები

მონოგრაფიის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებული იქნება ოჯახის ფორმირებასა და ქართველი წყვილების რეპროდუქციულ სტრატეგიებზე, მოცემულ დემოგრაფიულ და კულტურულ კონტექსტში, რომელიც ხასიათდება შობადობის დაბალი მაჩვენებლითა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებით. პირველ რიგში მიმოვიხილავთ ქორწინებისა და შობადობის ტენდენციებს, რის შემდეგაც სიღრმისეულად გამოვიკვლევთ ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების გამოვლინებებს. სიღრმისეული დემოგრაფიული კვლევებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის აღწერა არ წარმოადგენს რეპროდუქციული ქცევის კვლევის საუკეთესო წყაროს. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერას, რომლის კითხვარშიც არ იყო დასმული ბოლო 12 თვის მანძილზე ბავშვების გაჩენასთან დაკავშირებული შეკითხვა, რომელზე გაცემული პასუხებიც უმნიშვნელოვანეს რესურს წარმოადგენს შობადობის მაჩვენებლის პირდაპირი წესით გამოთვლისას. გარდა ამისა, გაურკვეველი რჩება ის, თუ რამდენად ასახავს რეალობას მოსახლეობის 2014 აღწერის შემდგომ პერიოდში საქართველოში დაფიქსირებული შობადობის მაჩვენებლები. დემოგრაფიული წყაროების მიერ მოწოდებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობების არსებობის გამო, შობადობის მაჩვენებლის გამოთვლა დიდი ხანია პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში (Hakkert, 2017).

ოჯახის ფორმირების პროცესების კვლევა საჭიროა დავიწყოთ საქართველოში პირველი ქორწინებების მაჩვენებლის მოკლე მიმოხილვით. ქორწინებათა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა 1991 წლიდან მოყოლებული და ამავე პერიოდში ქორწინებათა დიდი რაოდენობა არ იყო ოფიციალურად რეგისტრირებული. 2010 წელს, ქორწინებათა რაოდენობა გაუთანაბრდა 1990 წლისას ანუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე დაფიქსირებულ მაჩვენებელს. აღნიშნულ წლებს შორის ორი ათწლეულის მანძილზე, პირველი ქორწინების საშუალო ასაკი სამი წლით გაიზარდა და მამაკაცების შემთხვევაში შეადგინა 30 წელი, ხოლო ქალების შემთხვევაში 27 წელი (საქსტატის მონაცემები, 2015 წ.). თუმცა აღნიშნული მონაცემები, შესაძლოა, არ ასახავდეს რეალობას. ამ თვალსაზრისით, მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები გაცილებით ზუსტ ინფორმაციას იძლევა, ვინაიდან ის მოიცავს ყველა ტიპის კავშირს, მათ შორის არარეგისტრირებულ ქორწინებებს, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ახალგაზრდებში. ასევე ფართოდ არის გავრცელებული ქორწინებათა რეგისტრაციის გადავადება, რაც ქორწინების ასაკის ხელოვნურ ზრდას იწვევს. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის თანახმად, ქორწინების საშუალო ასაკი გაცილებით დაბალია და ქალების შემთხვევაში შეადგენს 22 წელს, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში – 26 წელს.[15] ფაქტობრივად, საქართველოში, ქალების 35 პროცენტი 20 წლის ასაკში უკვე იმყოფებოდა ქორწინებაში (იხ. Eelens, 2017).

მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენება ასევე შესაძლებელია ქორწინების ასაკის განმაპირობებელი ზოგიერთი ფაქტორის კვლევაში. ქორწინება, რა თქმა უნდა რჩება ბავშვის გაჩენის უდავო წინაპირობად, ისეთ ქვეყანაში, სადაც ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დაურეგისტრირებელი კავშირების შედეგად ჩნდება. გარდა ამისა, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევაში წყვილების დიდი უმრავლესობა ქმრის მშობლებთან აგრძელებს ცხოვრებას, ტრადიციულ ოჯახურ გარემოში. ამისაგან განსხვავებით, გვიან ასაკში ქორწინება ასოცირდება უფრო ხანგრძლივ ავტონომიასთან, თუმცა ეს, ამავე დროს, ქალების რეპროდუქციული პერიოდის შემცირებასაც გულისხმობს, რის გამოც, საკარაუდოდ ქალები ვერ უზრუნველყოფენ ოჯახის მათთვის სასურველ შემადგენლობას.

15 ქორწინების მედიანური ასაკის გამოთვლა აქ წარმოებულია იმ ასაკის გათვალისწინებით, რა ასაკშიც 2014 წელს აღწერილი მოსახლეობის 50 პროცენტი უკვე დაქორწინებული იყო.

ქორწინების კორელაციების სისტემატური შესწავლისას დგინდება, რომ ქართველი ქალების ქორწინების ასაკში სხვაობას საფუძვლად უდევს სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების კომბინაცია. ჩვენი ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა ადრეულ ასაკში ქორწინება, ვინაიდან ის ჩვეულებრივ უკავშირდება ქალების მოქმედების თავისუფლების შეზღუდვას და ტრადიციული და განათლების დაბალი დონის მქონე ოჯახის კონტექსტს და შესაძლებელია იყოს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის მომასწავებელი ფაქტორი. ადრეულ ასაკში ქორწინება დამახასიათებელია ზოგიერთი სასოფლო დასახლებისათვის კახეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში. ადრეულ ასაკში ქორწინება ასევე ფართოდ არის გავრცელებული ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებში, ვისი ქორწინების საშუალო ასაკიც 18 წელს შეადგენს; ამ ფენომენს ვხვდებით ასევე განათლების დაბალი დონის მქონე ქალებში და ყველაზე დაბალი სოციალურ-ეკონომიკურ კვინტილს მიკუთვნებულ ქალებში. ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, გვიანდელ ასაკში ქორწინება საკმაოდ არის გავრცელებული ქ. თბილისში და ხშირია უმაღლესი განათლების მქონე ქალებს შორის,16 ან ქალებში, რომლებიც ნუკლეარული შინამეურნეობის წევრები არიან. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მასშტაბით დადგენილია კავშირი ადრეულ ასაკში ქორწინებასა და ქორწინების შემდგომ მშობლებთან თანაცხოვრების მახასიათებლებს შორის.

ქორწინების უახლესი ტენდენციების განხილვის შემდეგ, დროა გადავიდეთ რეპროდუქციული ქცევის განხილვაზე. მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველო ხასიათდება შობადობის შესაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისათვის, როდესაც საქართველოში შობადობის მაჩვენებელმა, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, სერიოზული ვარდნა განიცადა. 1991 წლამდე, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები აღწარმოების დონეს უთანაბრდებოდა, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა. სამი წლის განმავლობაში, ერთ ქალზე ბავშვების საშუალო რაოდენობა 2,1-დან 1,5 ბავშვამდე შემცირდა. ამის შემდეგ შობადობა ძალიან დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა, რამდენიმე წლის განმავლობაში და ზრდა დაიწყო მხოლოდ 2006 წლის შემდეგ პერიოდში (იხ. Hakkert, 2017). 1991 წლის შემდეგ შობადობის მკვეთრი შემცირება უკავშირდება იმ პოლიტიკურ არეულობასა და ეკონომიკურ არასტაბილურობას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ოჯახმა მიიღო გადაწყვეტილება გადაევადებინათ ბავშვის გაჩენა, რითაც აიხსნება რამდენიმე წელიწადში შობადობის მაჩვენებლის მცირედი ზრდა, შობადობის მაჩვენებლის ზრდა არ იყო საკმარისი და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი აღწარმოების დონეზე დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა თითქმის ოცი წლის მანძილზე.

1995-დან 2005 წლებს შორის პერიოდში, საკმაოდ დიდი პრობლემები შეექმნა დაბადების რეგისტრაციის სისტემას. შობადობისა და მოკვდაობის სარწმუნო წლიური მონაცემების არარსებობის გამო, საქსტატის ხელთ არსებული ძირითადი მაჩვენებლები არაპირდაპირი გამოთვლის შედეგად არის მიღებული. სამწუხაროდ, წინამდებარე მონოგრაფიის მომზადების დროს, ქვეყნის მასშტაბით შობადობის უახლესი მონაცემები ჯერ კიდევ არ იყო ხელმისაწვდომი. 2014 წელს აღწერილი მოსახლეობის დაბალმა რიცხოვნობამ იმოქმედა საქსტატის მიერ გამოთვლილ წლიურ მოკვდაობისა და შობადობის მაჩვენებლებზე. მოსახლეობის რიცხოვნობის სიმცირის გამო, მოკვდაობისა და შობადობის მაჩვენებლები გადაჭარბებული აღმოჩნდა, ვინაიდან 2014 წლამდე პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა, მაგ. რეპროდუქციული ასაკის ქალების რიცხოვნობა. შედეგად, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მკვეთრად გაიზარდა; თუ 2013 წლის გაანგარიშებით იგი შეადგენდა

16 აღნიშნული ფაქტორების იდენტიფიცირება განხორციელდა 20-24 წლის ასაკის ქალების ქორწინების სტატუსის ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზის შედეგად.

1,7 ბავშვს ერთ ქალზე, 2014 წელს იგივე მაჩვენებელმა შეადგინა 2,2 ბავშვი ერთ ქალზე.[17] მოცემული სტატისტიკური ზრდა, აბსოლუტურად ხელოვნურია და რეალური სიტუაციის შესაფასებლად საჭიროა კონსოლიდირებული სტატისტიკური მონაცემები.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები შობადობის ტენდენციების წინასწარი კვლევის საშუალებას იძლევა. ჩვენ შეგვიძლია მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე შევაფასოთ შობადობის არსებული დონე, მოსახლეობაში წარმოდგენილი ბავშვების რიცხოვნობის დადგენის საშუალებით და, მიღებული მონაცემების საფუძველზე, განვსაზღვროთ დაბადებულთა კოჰორტები. ჩვენ გამოვიყენეთ 5 წლამდე მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებელი და მოვახდინეთ მისი კორექტირება მოკვდაობის მაჩვენებლის გამოყენებით, როგორც ეს აღწერილია მე-2 თავში. ანალიზის შემდეგ ეტაპზე, მოსახლეობის აღნიშნული ჯგუფი დავახარისხეთ დედის ასაკის მიხედვით და გამოვითვალეთ შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მოსახლეობის აღწერამდე 12 თვის პერიოდისათვის. *გრაფიკზე 4.2* მოცემულია შობადობის მაჩვენებლები, ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2014 წლის მდგომარეობით, სადაც შობადობის მაჩვენებლის ზრდა ფიქსირდება 25-29 წლის ასაკის ქალებში.[18] შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, მოსახლეობის აღწერამდე ერთი წლით ადრე შეადგენს 2,0 ბავშვს ერთ ქალზე. აღნიშნული მაჩვენებელი, უკვე აღნიშნული 2013 და 2014 წლებისათვის საქსტატის მიერ მოწოდებული მონაცემების საშუალო არითმეტიკულს უტოლდება. ჩვენ მიერ გამოთვლილი მაჩვენებელი საქართველოსათვის გაეროს მოსახლეობის განყოფილების უახლესი შეფასებით (2017 წლის გადახედვა.) მიღებული მონაცემის იდენტურია და, ასევე, შესაბამისობაშია 2014 წლის შობადობის წლიურ მაჩვენებელთან, რომელიც 14,2-ს შეადგენს და შეესაბამება

გრაფიკი 4.2: შობადობის კოეფიციენტები საქართველოში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2014 წლის მდგომარეობით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

17 ანალოგიურად, 2013-2014 წლებში, საქსტატის წლიური შეფასებით მიღებული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელი ორ წელზე მეტით შემცირდა.

18 გამოთვლის აღნიშნული პროცედურისას მიჩნეულია, რომ მოსახლეობის აღწერისას დაფიქსირებული ნაკლებობა თანაბრად ვრცელდება აღწერის შედეგად მიღებულ ყველა მონაცემზე, ყველა ასაკობრივ ჯგუფზე და ქორწინებაში მყოფ თუ ქორწინებაში არმყოფ ქალებზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რეალურია მონაცემი. მსგავსი შედეგები იხილეთ ჰაკერტისა და სუმბაძის ანგარიშში (2017 წ.).

გრაფიკი 4.3: დაბადებულთა კოჰორტების ზომა საქართველოში, 2000–2013 წწ.



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გამოთვლა

საქსტატის მიერ გამოთვლილ 2013–14 წლების შობადობის საშუალო მაჩვენებელს.

ჩვენ არ გვიწარმოებია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტებისა და შობადობის მაჩვენებელთა გადაანგარიშება აღწერათაშორის პერიოდისთვის, ვინაიდან მსგავსი გადაანგარიშება საჭიროებს მთელ რიგ გამოთვლებს, რაც წინამდებარე მონოგრაფიის მიზნებს სცილდება. თუმცა შეგვიძლია 2014 წლის აღწერის მონაცემების საფუძველზე წინა 15 წლის მონაცემები გადავიანგარიშოთ და მოკვდაობის კორექტირების შემდეგ, დავადგინოთ წლიური დაბადების კოჰორტები.

გრაფიკზე 4.3 ნაჩვენებია 2000 წლიდან შობადობის კოჰორტული კოეფიციენტები, 2014 წელს აღწერილი მოსახლეობის ასაკის მიხედვით. გრაფიკზე არ არის წარმოდგენილი 2014 წლის მონაცემები, ვინაიდან მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა წლის დასრულებამდე ჩატარდა. 2000-დან 2003 წლამდე მონაცემები თითქმის უცვლელი რჩება, რის შემდეგაც აღინიშნება მცირედი მატება – წელიწადში 2,5 პროცენტით, 2007 წლამდე. 2008-დან 2010 წლამდე პერიოდში, შობადობის კოჰორტული კოეფიციენტი მკვეთრად იზრდება, კერძოდ 22 პროცენტით, რის შემდეგაც აღნიშნული მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება, სამი წლის განმავლობაში, მოსახლეობის აღწერის პერიოდამდე. აღნიშნული ტენდენცია თითქმის ზუსტად ემთხვევა საქსტატის მიერ მოწოდებულ დაბადებულთა წლიურ რაოდენობებს, რომლებიც შობადობის შესახებ ჩანაწერებს ეყრდნობა და რომლის თანახმადაც, დაბადებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა ფიქსირდება 2008-2010 წლებში. საქსტატის მონაცემები, ასევე, მიანიშნებს დაბადებულთა რაოდენობის კლებაზე 2016 წელს.

აღნიშნული მონაცემების შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტებად ასახვა მარტივი არ არის, თუმცა შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში შობადობის დაბალი მაჩვენებელი შენარჩუნდა 2007 წლამდე, რა დროსაც ერთ ქალზე დაახლ. 1,7 ბავშვი მოდიოდა, რაც მცირედით აღემატება საქსტატის გამოთვლებს. შობადობის თვალსაზრისით გარდამტეხი პერიოდი დადგა 2008 წელს, რაც საქართველოს კათალიკოს პატრიარქის – ილია მეორის მოწოდებას მოჰყვა. კონკრეტულად, პატრიარქმა განაცხადა, რომ მონათლავდა მართლმადიდებელ ოჯახში დაბადებულ მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვებს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში დაბადებულთა ყველაზე მაღალი რაოდენობა დაფიქსირდა 2010 წელს, როდესაც ამ უკანასკნელმა, მცირე დროით, ერთ ქალზე საშუალოდ 2,1 ბავშვზე მეტი

შეადგინა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2002 წელს ერთ ქალზე მოდიოდა 1,6 ბავშვი, ხოლო 2014 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა და შეადგინა 1,8 ბავშვი ერთ ქალზე. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2005 წლის შემდეგ საქართველოში დაფიქსირებული შობადობის ზრდა რეკორდული იყო, სამხრეთ კავკასიის რეგიონში (*გრაფიკი 4.4*).

დაბადებულთა რაოდენობის ზრდამ ზემოქმედება იქონია საქართველოს დემოგრაფიაზე: გაიზარდა რიგით მესამე და მომდევნო ბავშვების შობადობის პროცენტული წილი. 1990 წელს, მესამე და მომდევნო ბავშვების რაოდენობამ ქვეყანაში სულ დაბადებული ბავშვების 21 პროცენტი შეადგინა, თუმცა აღნიშნული წილი მკვეთრად შემცირდა შემდგომი ათწლეულის განმავლობაში და ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია 2007 წელს – ქვეყანაში დაბადებულთა 11 პროცენტი. 2008 წელს დაფიქსირებული შობადობის მაჩვენებლის ზრდამ ხელი შეუწყო მესამე და მომდევნო ბავშვების პროცენტული წილის ზრდას, რომელმაც 15 პროცენტი შეადგინა 2010 წელს და 19 პროცენტი – 2015 წელს. პირველი ბავშვების დაბადების პროცენტულმა წილმა ყველაზე დაბალ ნიშნულს – 42 პროცენტზე ნაკლებს – მიაღწია 2015 წელს, რაც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ანუ 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე დაბალია. დაბადების რიგითობის მიხედვით დაბადებულთა განაწილება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე, ვინაიდან, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი მჭიდროდ უკავშირდება დაბადების რიგითობას.

მოსახლეობის აღწერის შედეგები არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას ქვეყანაში შობადობის მაჩვენებლებს შორის სხვაობის შესახებ, ვინაიდან მოსახლეობის აღწერისას გამოყენებულ კითხვარში არ ყოფილა შესული კითხვა ქალების მიერ ბოლო პერიოდში გაჩენილი ბავშვების შესახებ. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ შობადობის კოჰორტული მაჩვენებლები, საქართველოს მასშტაბით შობადობის ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლის შესაფასებლად. ჩვენ შევარჩიეთ 35-39 წლის ასაკის ქალების შემთხვევაში ერთ ქალზე ბავშვების რაოდენობის მაჩვენებელი, რომელიც 1,84 ბავშვს შეადგენდა, 2014 წლის მდგომარეობით. აღნიშნულ ასაკში ქალები კვლავ იმყოფებიან რეპროდუქციულ ასაკში, თუმცა შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების განაწილება, რომელიც *გრაფიკზე 4.2* არის მოცემული, გვიჩვენებს, რომ 40 წელზე უფროსი ასაკის ქალებში შობადობის მაჩვენებელი მცირეა

გრაფიკი 4.4: შობადობის მაჩვენებლები აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში, 1990–2014 წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები

და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მხოლოდ 6 პროცენტს შეადგენს. ამ ქალებს, სავარაუდოდ, ბავშვები გაჩენილი ჰყავთ მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე დაახლ. 10 წლით ადრე – 2004 წელს ანუ იმ პერიოდში, რომელიც ქვეყანაში ყველაზე დაბალი შობადობით ხასიათდება.

ისევე, როგორც ამ მონოგრაფიის ადრეულ თავებში, აქაც ქვეყნის მასშტაბით შობადობის მაჩვენებლებს შორის სხვაობას, პირველ რიგში, განვიხილავთ შინამეურნეობების ცვლადების და არა ინდივიდუალურ თუ დედათა მახასიათებლების მიხედვით. საქართველოს რეგიონებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის წარმოებული შედარების შედეგად შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება სამცხე-ჯავახეთში (2,2 ბავშვი ერთ ქალზე) და ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებში. გარდა ამისა, შობადობის მაღალი მაჩვენებელი მჭიდროდ უკავშირდება დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს (2,2 ბავშვი ერთ ქალზე – მოსახლეობის უღარიბესი კვინტილი), შინამეურნეობებს, რომელთა წევრთა განათლების მიღწეული დონე დაწყებითი განათლებით შემოიფარგლება (2,1 ბავშვი ერთ ქალზე) და, განსაკუთრებით, სოციალურ დახმარებაზე მყოფ შინამეურნეობებს (2,3 ბავშვი ერთ ქალზე).[19] 25–39 წლის ასაკის ქალებში ბავშვების ყველაზე დაბალი რაოდენობა შეადგენს 1,7 ბავშვს ერთ ქალზე და აღნიშნული მაჩვენებელი ფიქსირდება ქ. თბილისში (იხ. Hakkert, 2017). თუმცა შობადობის იგივე მაჩვენებელი ფიქსირდება სამეგრელო-ზემო სვანეთში და საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის. რეალურად, რამდენიმე სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებელი უკავშირდება შობადობის დაბალ მაჩვენებელს, როგორიცაა მაგ., იმ შინამეურნეობების წევრობა, რომელთა წევრებიც არ არიან დასაქმებული სოფლის მეურნეობის სექტორში, ან აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება, ან განეკუთვნებიან რიგით მეორე, უმაღლეს ქონებრივ კვინტილს. შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 1,7 ბავშვი ერთ ქალზე – ძალიან ხშირად ფიქსირდება იმ შინამეურნეობებში, რომელთა პირველად ჩაწერილი პირიც არის პენსიონერი ან ეკონომიკურად სხვებზე დამოკიდებული.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს ერთ მრავალწევრიან განტოლებად გავაერთიანებთ და მას ქალების მახასიათებლების დავამატებთ, თითოეული მახასიათებლის გავლენა უფრო თვალსაჩინო ხდება. კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გავლენა არასისტემატური ხდება, თუმცა შინამეურნეობაში სასოფლო სამეურნეო საქმიანობა მჭიდროდ რჩება დაკავშირებული ბავშვების დიდ რაოდენობასთან. საერთო ჯამში, საქართველოში, განათლების მაღალი დონე რჩება შობადობის დაბალი მაჩვენებლის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორად მაშინ, როცა შობადობის მაღალი მაჩვენებელი უკავშირდება განათლების დაბალ დონეს. შობადობის მაჩვენებლის თვალსაზრისით რეგიონებს შორის განსხვავება კვლავ შეინიშნება და დაბალი მაჩვენებელი ნარჩუნდება ქ. თბილისსა და სამეგრელოში და ასევე, ზოგადად, საქალაქო დასახლებებში. კულტურულ მახასიათებლებს შორის ისლამი გვევლინება შობადობის მაღალი დონის განმაპირობებელ ძლიერ ფაქტორად, ხოლო ეთნიკური წარმომავლობის ფაქტორი შედარებით სუსტია.

როგორც წინამდებარე მონოგრაფიის თავში 2 აღვნიშნეთ, შობადობის დაბალი მაჩვენებელი სქესის შერჩევის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან ამ შემთხვევაში, მშობლებს არ აქვთ შესაძლებლობა აჩინონ ბავშვები, ვიდრე ვაჟი არ გაუჩნდებათ. ფაქტობრივად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შობადობის მაჩვენებლის შემცირებას მალევე მოჰყვა დაბადებული ბიჭების წილის ზრდა, 1991 წლის აპრილში, საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გასვლის შემდეგ რამდენიმე თვეში. თუმცა შესაძლებელია თუ არა ვამტკიცოთ საპირისპირო, კერძოდ ის, რომ 2003 წლის შემდეგ შობადობის მაჩვენებლის ზრდამ გავლენა იქონია სქესის შერჩევის ტენდენციაზე? ამ ეტაპზე

19 ამ ასპექტში თავს იჩენს ენდოგენურობის პრობლემა, ვინაიდან მრავალშვილიანი ოჯახები სპეციალურ სოციალურ დახმარებას იღებენ სახელმწიფოსაგან.

საჭიროა ვიხელმძღვანელოთ კონკრეტული რიცხობრივი მონაცემებით. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტების გამოყენებით – რომლებიც 2014 წელს, მოსახლეობის აღწერის პერიოდამდე, შეადგენდა 2,0 ბავშვს ერთ ქალზე, ხოლო 2013 წელს 1,6 ბავშვს ერთ ქალზე (ე.ი. როდესაც დაბადებულთა რაოდენობა ყველაზე დაბალი იყო), ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ მათი გავლენა სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე. 2003 წელს, ალბათობა იმისა, რომ წყვილი ვერ შეძლებდა ვაჟის გაჩენას, სქესის შერჩევის პრაქტიკის გამოყენების გარეშე, 32 პროცენტს შეადგენდა.[20] იმ შემთხვევაში, თუ შობადობის მაჩვენებელი შეადგენს ერთ ქალზე ორ ბავშვს, წყვილების მხოლოდ 24 პროცენტს აქვს შანსი ჰყავდეს მხოლოდ გოგონები. მოცემული პროცენტული მაჩვენებლის აღნიშნული შემცირება თავისთავად მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა ის, სქესის შერჩევის პრაქტიკის გამოყენების გარეშე, მხოლოდ გოგონების გაჩენის რისკს 25 პროცენტით ამცირებს. სხვაგვარად რომ ჩამოვაყალიბოთ, 25 პროცენტით მცირდება იმ წყვილების პროცენტული წილი, რომლებსაც ჰყავთ ორი შვილი და აქედან არცერთი არ არის ბიჭი, რაც განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ შობადობის მაჩვენებლის ზრდით. აღნიშნული მაგალითი არ გულისხმობს რაიმე ტიპის ცვლილებას სქესის შერჩევის განმაპირობებელ სხვა ფაქტორებში, როგორიცაა მოთხოვნა ვაჟის გაჩენაზე ან სქესის შერჩევის ინფრასტრუქტურა, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დროის იგივე პერიოდში.

შობადობის დონესა და გენდერულ ტენდენციურობას შორის უფრო რთული კავშირი არსებობს, რომელშიც „შეზღუდვის“ ეფექტის გარდა სხვა მექანიზმებიც არის ჩართული. რეალურად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შობადობის დაბალი მაჩვენებელი დამატებით დაბრკოლებებს უქმნის წყვილებს, რომელთაც სურთ ჰყავდეთ ვაჟი, პატრიარქალური დამოკიდებულებები, პირიქით, ასოცირდება შობადობის მაღალ მაჩვენებელთან. ოჯახებში, სადაც ქალის უმთავრეს ფუნქციად რეპროდუქციული მოვალეობის შესრულება ითვლება, ბიჭის გაჩენა ქალებს პატრიარქალურ საზოგადოებაში გზას უხსნის და ქალები შვილებს აჩენენ მანამ, ვიდრე ვაჟი არ გაუჩნდებათ. შობადობის დაბალი მაჩვენებელი პატრიარქალური წესის დაგმობას გულისხმობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მცირერიცხოვანი ოჯახები სქესის პრენატალური შერჩევის მეთოდს მიმართავენ ვაჟის გაჩენის მიზნით. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას გავაგრძელებთ თავში 5.

4.3 გენდერული ტენდენციურობა შობადობაში

ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების შეფასება პრობლემატურია, ვინაიდან არ არსებობს სათანადო მაჩვენებელი. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ წარმოებულ წინა კვლევაში ფართოდ იქნა გამოყენებული თვისებრივი მონაცემები, რომლებიც 2014 წელს ჩატარებული გამოკითხვის დროს იქნა შეგროვილი (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ა). რაც შეეხება რაოდენობრივ მაჩვენებლებს, მათი გამოყვანა, ჩვეულებრივ, წარმოებს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ინტენსიურობის შესახებ მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა მოპოვებაც ხდება შესაბამის კითხვებზე პასუხების საშუალებით, მცირემასშტაბიანი საზოგადოებრივი აზრის კვლევისა ან დემოგრაფიული კვლევის ფარგლებში, თუმცა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა მსგავს ინსტრუმენტს ვერ გვაწვდის. ერთადერთი ზუსტი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გენდერული ტენდენციურობის განსაზღვრა, მოიცავს რეპროდუქციული ქცევის კვლევას. მოკლედ რომ ვთქვათ, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება აიძულებს მშობლებს, რომლებსაც არ ჰყავთ ვაჟი, გააჩინონ უფრო მეტი შვილი, ვიდრე მშობლებმა, რომლებსაც უკვე ჰყავთ ვაჟი. იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ ჯგუფს შორის ბავშვების რაოდენობის მიხედვით სხვაობა არ ფიქსირდება, ეს

20 აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი შეესაბამება გოგონების დაბადების ბუნებრივ ალბათობას (48,8 პროცენტი ერთ დაბადებულ ბავშვზე), რომელიც აყვანილია დაბადებულთა რაოდენობის ხარისხში(შობადობის ჯამობრივი მაჩვენებელი).

იმას ნიშნავს, რომ ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე არ ახდენს გავლენას უკვე გაჩენილი ბავშვების გენდერული შემადგენლობა. ამ მოსაზრებით, რეპროდუქციულ ქცევაში სხვაობას, უკვე გაჩენილი ბავშვების სქესის გათვალისწინებით, ვიყენებთ, როგორც საქართველოში მშობლების მიერ „გამოვლენილი გენდერული უპირატესობის" მაჩვენებელს. წინამდებარე ანალიზი არ ეფუძნება მშობლების მიერ გაცხადებულ უპირატესობებსა და მოსაზრებებს, არამედ მათ მიერ გამოვლენილ ფაქტობრივ რეპროდუქციულ ქცევას.

მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებული მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს აღვადგინოთ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში არსებული შობადობის ტენდენციები, ხელთ გვაქვს რა ინფორმაცია ბავშვებისა და მათი დედების შესახებ. მოსახლეობის აღწერისას გამოყენებულ კითხვარში შესულია შინამეურნეობის წევრთა ჩამონათვალი, შინამეურნეობის პირველად ჩაწერილ პირთან მათი კავშირების მითითებით. შესაბამისად, შეგვიძლია შინამეურნეობებში წარმოდგენილი ბავშვების დედების იდენტიფიცირება და მოსახლეობის აღწერის მომენტისთვის ოჯახის სრული შემადგენლობის აღდგენა. აღნიშნული აღდგენის მეთოდი უფრო დეტალურად არის განხილული თავში 3. ამჯერად, საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ ათიდან ცხრაზე მეტი ბავშვის შემთხვევაში შესაძლებელია ოჯახის სრული შემადგენლობის აღდგენა და შობადობის მაჩვენებლების განსაზღვრა დაბადების რიგითობისა და ოჯახის შემადგენლობის მაჩვენებელთა საფუძველზე. აქ გამოიყენება სტატისტიკური მაჩვენებელი „მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა" (PPR), რაც წარმოადგენს 0-დან 100 პროცენტამდე ალბათობას იმისა, რომ წყვილს ეყოლება კიდევ ერთი შვილი. პირველი ბავშვიდან მეორე ბავშვამდე ყველაზე მაღალია მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა და, ჩვეულებრივ, შეადგენს 75 პროცენტს, მომდევნო 10 წლის განმავლობაში. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ოთხიდან სამი მშობელი, რომელსაც მოსახლეობის აღწერამდე ათი წლის განმავლობაში გაჩენილი ჰყავს პირველი ბავშვი, მეორე ბავშვს გააჩენს მომდევნო 10 წლის განმავლობაში.[21] კაპლან-მეიერის მეთოდი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გაანგარიშებები მეტობით დათვლილი არასრული მონაცემებიდან, ე.ი. დაბადების ღია ინტერვალების გამოყენებით, რომლებიც 10 წელზე მცირე პერიოდს გულისხმობს მოსახლეობის აღწერის პერიოდიდან.

ამის შემდგომ, „მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობის" (PPR) გამოთვლა წარმოებს ბავშვების დაბადების რიგითობის მიხედვით. „მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა" მკვეთრად იკლებს ბავშვების რიგითობის ზრდის პარალელურად. მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს იმ მშობლების შემთხვევაში, რომლებსაც უკვე ჰყავთ ორი ბავშვი და აღნიშნული მაჩვენებელი 19 პროცეტამდე მცირდება იმ მშობლების შემთხვევაში, რომლებსაც უკვე ჰყავთ სამი შვილი. მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა პირდაპირ კავშირშია შობადობის საერთო მაჩვენებელთან, ვინაიდან თუ მაღალია მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა, ასევე მაღალია შობადობის კოჰორტული მაჩვენებელი. გარდა ამისა, მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა სრულყოფილად აღწერს საქართველოში წყვილების რეპროდუქციულ სტრატეგიებს, კერძოდ აღნიშნული მაჩვენებელი მიანიშნებს მასზედ, რომ პირველი და მეორე ბავშვების გაჩენის შემდეგ მკვეთრად იკლებს შობადობის მაჩვენებელი, დაახლ. სამჯერ მცირდება მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა. ორი ბავშვის შემდეგ მესამე ბავშვის გაჩენა გარდამტეხ მოვლენას წარმოადგენს. მართლაც, შობადობის ტენდენციების სიღრმისეული კვლევა გვიჩვენებს, რომ იმ მშობლების პროცენტული წილის მკვეთრმა ვარდნამ, ვისაც მესამე ბავშვის გაჩენა უნდოდათ, დააჩქარა ქვეყანაში შობადობის მაჩვენებლის შემცირება 1991 წლის შემდეგ. დღესდღეობით, მშობლების ძალიან მცირე

21 „მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობის" გამოთვლისას აღებული პერიოდი მოიცავს 10 წელს, ვინაიდან ბავშვების გაჩენას შორის ინტერვალი ძალიან იშვიათად აღემატება ათ წელს.

გრაფიკი 4.5: მომდევნო ბავშვის გაჩენის ტენდენციები, პირველი ბავშვის დაბადების შემდეგ, 2004–2014 წლებში, გენდერული შემადგენლობის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

ნაწილი იღებს გადაწყვეტილებას მესამე ბავშვის გაჩენის თაობაზე. მათ უწევთ ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინება, ვიდრე მომდევნო ბავშვის გაჩენას გადაწყვეტენ და ამ გადაწყვეტილებაზე, სავარაუდოდ, ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ის ფაქტი, უკვე ჰყავს თუ არა წყვილს ვაჟი.

ჩვენი ანალიზის საგანს წარმოადგენს ის გენდერული მოტივები, რომლებიც შობადობის მაჩვენებელზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, ჩვენ არ შევჩერდებით რეპროდუქციულ ქცევაში არსებულ აბსოლუტურ სხვაობებზე, არამედ ჩვენი ყურადღება მიმართული იქნება იმ სხვაობებზე, რომლებიც გენდერულ ტენდენციურობას უკავშირდება. *გრაფიკებზე 4.6* და *4.7* იმ მშობლების რეპროდუქციული ქცევა, ვისაც მხოლოდ ვაჟები ჰყავთ, აღნიშნულია ლურჯად, ხოლო მათ, ვისაც მხოლოდ გოგონები – წითლად. *გრაფიკზე 4.5* ნაჩვენებია, პირველი ბავშვის გაჩენის შემდეგ, ათი წლის პერიოდში, მეორე ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული ტენდენციები. როგორც გრაფიკიდან ჩანს, წყვილების უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას მეორე შვილის გაჩენის შესახებ, ვინაიდან იმ მშობლების წილი, რომლებიც მეორე შვილს აჩენენ, პირველი შვილის გაჩენიდან 10 წლის პერიოდში, 75 პროცენტს შეადგენს. თუმცა ჩვენ მიერ წარმოებული გამოთვლები აჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით მცირედი სხვაობა არსებობს ბიჭებისა და გოგონების მშობლებს შორის. შემდეგი ბავშვის გაჩენის ალბათობა უფრო მაღალია იმ მშობლებში, რომლებსაც პირველი გოგონა ჰყავთ, ვიდრე იმ მშობლებში, რომლებსაც პირველი ბიჭი ჰყავთ (76 და 73 პროცენტი, შესაბამისად). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სხვაობა მცირეა და მხოლოდ სამ პროცენტულ ერთეულს შეადგენს, ის ფაქტი, რომ შემდეგი ბავშვის გაჩენის ალბათობა მაღალია იმ მშობლებში, რომლებსაც არ ჰყავთ ბიჭი, სტატისტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და მიანიშნებს მასზედ, რომ ერთბავშვიანი ოჯახების სიმრავლე გამიზნული ქმედების შედეგია და უფრო გავრცელებულია იმ ოჯახებში, რომლებსაც პირველი შვილი ვაჟი ჰყავთ.[22]

გენდერული სხვაობა უფრო მკვეთრად არის გამოხატული რიგით მესამე და მომდევნო ბავშვების გაჩენის ალბათობის შემთხვევაში.

22 სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვაჟების მშობლების 27 პროცენტი აღარ აჩენს მეორე შვილს, ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი 10 პროცენტული ერთეულით უფრო ნაკლებია იმ მშობლების შემთხვევაში, რომლებსაც პირველი შვილი გოგონა ჰყავთ. ამ შემთხვევაში წარმოებს ლოგარითმული რიგობრივი კრიტერიუმი გამოყენება, შემდეგი ბავშვის გაჩენის ალბათობის პროცენტულ მაჩვენებლებს შორის სხვაობის სტატისტიკური მნიშვნელობის დასადგენად.

გრაფიკზე 4.6 მოცემულია ანალოგიური გამოთვლები, როგორც *გრაფიკზე 4.5*, მხოლოდ იმ მშობლების შემთხვევაში, რომლებსაც უკვე ჰყავთ ორი ბავშვი. ამ შემთხვევაში მშობლები დაყოფილია სამ კატეგორიად: მშობლები, რომლებსაც ჰყავთ ორი ვაჟი, მშობლები რომლებსაც ჰყავთ ორი გოგონა და მშობლები, რომლებსაც ჰყავთ ქალ-ვაჟი. მესამე ბავშვის გაჩენის შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია იმ მშობლების შემთხვევაში, რომლებსაც არ ჰყავთ ვაჟი, მათ შორის შემდეგი ბავშვის გაჩენის ალბათობა 50 პროცენტს აღწევს, 10 წლის განმავლობაში. დანარჩენ შემთხვევაში, მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა 30 პროცენტს არ აღემატება. ორი ვაჟის მშობლების მხოლოდ 28 პროცენტი აჩენს მესამე ბავშვს. მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა ყველაზე დაბალია და შეადგენს 23 პროცენტს იმ მშობლებს შორის, რომლებსაც ჰყავთ ქალ-ვაჟი.

მოცემულ გრაფიკზე აშკარად იკვეთება ორი განსხვავებული პრინციპი, რომლებიც მოქმედებს რეპროდუქციული ქცევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. ძირითადად იკვეთება მიზანი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახს სულ მცირე ერთი ვაჟი მაინც ჰყავდეს, რის შედეგადაც იმ ოჯახებში, რომლებსაც არ ჰყავთ ვაჟი, ორჯერ უფრო ხშირად აჩენენ მომდევნო ბავშვს, ვიდრე ოჯახებში, რომლებსაც უკვე ჰყავთ ვაჟი. ამისაგან განსხვავებით, იმ მშობელთა 75 პროცენტი, რომლებსაც უკვე ჰყავთ სულ მცირე ერთი ვაჟი, აღარ იღებს გადაწყვეტილებას მომდევნო ბავშვის გაჩენის თაობაზე, მაგრამ აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი 50 პროცენტამდე მცირდება იმ მშობლების შემთხვევაში, რომლებსაც უკვე ჰყავთ ვაჟი. აღნიშნული გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ საქართველოში, მშობლების ერთი მესამედისთვის იმდენად მნიშვნელოვანია ვაჟი, რომ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას მომდევნო ბავშვის გაჩენის თაობაზე, რაც ერთობ უჩვეულო გადაწყვეტილებაა შობადობის არსებული ტენდენციების გათვალისწინებით. გარდა ამისა, გრაფიკში შესული მონაცემებიდან დგინდება, რომ მშობლებში, რომლებსაც არ ჰყავთ გოგონა, საბოლოო ჯამში, შობადობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე იმ მშობლებში, რომლებსაც ქალ-ვაჟი ჰყავთ. სხვაობა მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს, თუმცა სტატისტიკურად ეს მაჩვენებელი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან შობადობის მაჩვენებელს 25 პროცენტით ზრდის.

გრაფიკი 4.6: მომდევნო ბავშვის გაჩენის ტენდენციები, მეორე ბავშვის დაბადების შემდეგ, 2004-2014 წლებში, გენდერული შემადგენლობის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

მსგავსი გენდერული ტენდენციურობა ვლინდება მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში. *გრაფიკზე 4.7* ნაჩვენებია იმ მშობლების მიერ მომდევნო ბავშვის გაჩენის ტენდენცია, რომლებსაც უკვე ჰყავთ სამი ან მეტი შვილი. ვინაიდან ამ მშობელთა რიცხვი ძალიან მცირეა, მოსახლეობის აღწერის სრული მონაცემების გამოყენება საკმაოდ მყარ შედეგებს იძლევა, რომელთა მიხედვითაც მკვეთრი სხვაობა ფიქსირდება უკვე გაჩენილი ბავშვების სხვადასხვა გენდერულ შემადგენლობებს შორის.

იმ ოჯახებში, რომლებსაც არ ჰყავთ ვაჟი, იკვეთება მომდევნო ბავშვის გაჩენის მაღალი ტენდენცია. იმ მშობლების 43 პროცენტი, რომლებსაც არ ჰყავთ ვაჟი, აჩენს მომდევნო შვილს მაშინ, როცა აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი ორჯერ ნაკლებია იმ მშობლებს შორის, რომლებსაც უკვე ჰყავთ ვაჟი. იმ ფონზე, როცა წყვილების აშკარა მიზანს წარმოადგენს სულ მცირე ერთი ვაჟის ყოლა, გრაფიკის მიხედვით ვლინდება, რომ მშობლებს, რომლებსაც არ ჰყავთ გოგონა, მეტ-ნაკლებად აქვთ სურვილი ჰყავდეთ ერთი გოგონა მაინც. შემდეგი ბავშვის გაჩენის მაჩვენებელი 21-დან 25 პროცენტამდე იზრდება იმ მშობლების შემთხვევაში, რომლებსაც არ ჰყავთ გოგონა, რომელიც, მართალია მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან სხვაობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები საქართველოში ერთგულად ზრუნავენ საკუთარ გოგონებზე, ქალიშვილის ყოლის სურვილი არ არის იმდენად გამოკვეთილი, როგორც ვაჟის ყოლის სურვილი.

რეპროდუქციული ქცევის მოცემული მოდელის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ბავშვების რა გენდერული შემადგენლობაა ყველაზე სასურველი საქართველოში მცხოვრები ქალებისათვის (პირველი ვაჟი, მეორე გოგონა და მესამე ბავშვის სქესს არ აქვს მნიშვნელობა) და ყველაზე ნაკლებ სასურველი (მხოლოდ გოგონები). მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობის (PPR) გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რამდენი შვილი შეიძლება ჰყავდეთ ამ ქალებს, უკვე დაბადებული ბავშვების სქესის მიხედვით. პირველ შემთხვევაში, ქალებს საშუალოდ ეყოლებათ 1,75 ბავშვი, ხოლო მეორე შემთხვევაში, თუ მათ არ ჰყავთ გოგონა, მათი შვილების რაოდენობა იქნება 2,15 ბავშვი, ე.ი. 23 პროცენტით უფრო მეტი ბავშვი, ვიდრე ყველაზე სასურველი გენდერული

გრაფიკი 4.7: მომდევნო ბავშვის გაჩენის ტენდენციები, მესამე და მომდევნო ბავშვის დაბადების შემდეგ, 2004–2014 წლებში, გენდერული შემადგენლობის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

შემადგენლობის შემთხვევაში.[23]

ამ ეტაპზე საჭიროა აღინიშნოს, რომ რეპროდუქციულ ქცევაში გენდერულ ტენდენციურობას არ აქვს გავლენა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე, ვინაიდან ბიჭის ან გოგონას გაჩენის ალბათობა თანაბარია, ბავშვების რიგითობის მიუხედავად.

დაბოლოს, იგივე მეთოდის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები და გავარკვიოთ ის, თუ ქვეყნის დონეზე დაფიქსირებული გენდერული ტენდენციურობა რამდენად თანაბრად ვრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. სამწუხაროდ, არ არსებობს პირდაპირი მეთოდი, რომელიც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის შედეგების ერთმანეთთან შედარების საშუალებას მოგვცემდა, ვინაიდან ქვეყნის მასშტაბით, შობადობის მაჩვენებლები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულია. შესაბამისად, პარალელურად იცვლება მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობის პროცენტული მაჩვენებლები და მომდევნო ბავშვის გაჩენის პროგრესული რაოდენობრივი თანაფარდობა – მიუხედავად ბავშვების რიგითობისა და გენდერული შემადგენლობისა – პირდაპირ გავლენას ახდენს შობადობის საერთო მაჩვენებლები.

ვაჟის არყოლის გავლენის შესასწავლად, ჩვენ გამოვითვლით მშობლების მიერ მომდევნო ბავშვის გაჩენის მაჩვენებელს, იმ მშობლებისათვის, რომელთაც უკვე ჰყავთ გაჩენილი ვაჟი და იმ მშობლებისათვის, რომელთაც არ ჰყავთ გაჩენილი ვაჟი, ბავშვების რიგითობის მიხედვით, მოსახლეობის აღწერამდე 15 წლის პერიოდისათვის. საშუალოდ, საქართველოში შობადობის მაჩვენებელი 2,2-ჯერ მაღალია იმ ოჯახებში, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟი. თუმცა იგივე მაჩვენებელი სამჯერ უფრო მაღალია ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ მოსახლეობაში და ასევე ოჯახებში, რომელთა არსებობის საშუალებათა წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ვაჟის არყოლის შემთხვევაში, მომდევნო ბავშვის გაჩენის მაჩვენებელი ძალიან მაღალია სასოფლო დასახლებებში, რელიგიურ უმცირესობათა შორის და იმ რეგიონებში, სადაც რელიგიური უმცირესობები ცხოვრობენ. სოფლის მეურნეობა და უმცირესობათა კულტურა რეპროდუქციულ ქცევაში ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების პრაქტიკის აშკარა და ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ვაჟის არყოლა მნიშვნელოვან ფაქტორს არ წარმოადგენს ქ. თბილისში და სხვა საქალაქო დასახლებებში, უმდიდრესი კვინტილის შიგნით და ოჯახებში, რომელთა არსებობის საშუალებათა წყაროს ხელფასი წარმოადგენს და რომლებიც არ არიან დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე. იგივე შეინიშნება ოჯახებში, რომლებიც სოციალური დახმარებით სარგებლობენ.

გენდერული ტენდენციურობის აღნიშნული სხვადასხვა მახასიათებელი მიანიშნებს მასზედ, რომ ადგილი აქვს რამდენიმე ფაქტორის – როგორიცაა გეოგრაფიული, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები – ერთობლივ მოქმედებას. ერთი მხრივ, შინამეურნეობებში, რომელთა არსებობის საშუალებათა წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებას განაპირობებს ის, რომ ვაჟები ეხმარებიან ოჯახს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, საკუთარ თავზე იღებენ ხანდაზმული მშობლების რჩენას და მშობლები მათ უტოვებენ კუთვნილი მიწის ნაკვეთს. ამისგან განსხვავებით, უფრო თანამედროვე და შეძლებულ საზოგადოებაში, აღარ არის ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების მკვეთრად გამოხატული ტენდენცია. ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა საქალაქო დასახლებებში ვხვდებით ახალ საშუალო ფენას, სადაც თანდათან იკლებს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენცია, ეკონომიკური სტაბილურობის, ქალების განათლებისა და დასაქმების ფაქტორების გავლენით. ილენსის მონოგრაფიაში (2017 წ.) აღწერილია ქალებისა და მამაკაცების განათლებისა და დასაქმების მაჩვენებლების თანამედროვე ტენდენციები. მეორე მხრივ, გარდა ეკონომიკური

23 შობადობის მოცემულ ჯამობრივი კოეფიციენტის გამოთვლისას მიჩნეულია, რომ ქალების 90 პროცენტი აჩენს პირველ ბავშვს, აღნიშნული პროცენტი ეფუძნება დასრულებული ნაყოფიერების მონაცემებს.

მოსაზრებებისა, კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ ჯგუფებში-ეთნიკურ თურელიგიურ უმცირესობებში - ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების მკვეთრად გამოვლენილი პრაქტიკა მეტყველებს ადგილობრივ საზოგადოებებში გენდერული ინსტიტუტების ღრმად გამჯდარ ბუნებაზე. ვინაიდან საქართველოში, სხვადასხვა უმცირესობები უმეტესად ნაკლებგანვითარებულ, სასოფლო დასახლებებში ცხოვრობენ, ჩვენი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კულტურული იდენტობა და იზოლირება, ეკონომიკურ მარგინალიზაციასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრადიციული პატრიარქალური ღირებულებების შენარჩუნების საქმეში, ზოგიერთ იზოლირებულ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ საზოგადოებაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების შემცირების ტენდენცია, რაც გამოხატულია მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობის (PPR) პროცენტული მაჩვენებლებით, შედარებით ზომიერად მიმდინარეობს უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. მოსახლეობის 2014 და 2002 წლების აღწერებიდან მიღებული მონაცემები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენი ანალიზი მოიცავს მოსახლეობის აღწერამდე ხუთი წლის პერიოდს, ე.ი. 2009-2014 წლების პერიოდს, რის მიზანსაც წარმოადგენს იმ პერიოდის ჩართვა კვლევაში, რომლის დროსაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა. მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობის (PPR) ყველა მაჩვენებელი გაიზარდა 2009-2014 წლებში, 2002-2012 წლების პერიოდთან შედარებით, რაც შობადობის საერთო მაჩვენებლის ზრდას უკავშირდება. ორივე პერიოდში, უკვე დაბადებულ ბავშვებს შორის ვაჟის ყოლა-არყოლა, მომდევნო ბავშვის გაჩენის მკვეთრად გამოხატულ წინაპირობას წარმოადგენს და გენდერული ტენდენციურობა მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირდა ბოლო პერიოდში. ქალებში, რომლებსაც არ ჰყავდათ ვაჟი, მესამე ბავშვების გაჩენის მაჩვენებელი 123 პროცენტამდე გაიზარდა 2002 წელს, ხოლო, 2014 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი 95 პროცენტამდე შემცირდა. მეოთხე და მომდევნო ბავშვების გაჩენის ზრდის მაჩვენებელმა 2002 წელს შეადგინა 116 პროცენტი და 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი 96 პროცენტამდე შემცირდა. აღწერათაშორის პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობის მიუხედავად, გენდერული ტენდენციურობის კლება მეტ-ნაკლებად ზომიერად მიმდინარეობს. ამ ტემპით, საქართველოს წლები დასჭირდება გენდერულად ნეიტრალური შობადობის მისაღწევად.

5. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები და მათი სიხშირე მხოლოდ ახლახანს იქნა აღიარებული, ქვეყანაში უკვე 25 წელზე მეტია აღნიშნული ვაჟების დაბადების ტენდენცია არსებობს. მთელი რიგ სტატისტიკურ წყაროებში, როგორიცაა დაბადების რეგისტრი, მოსახლეობის 2002 წლისა და 2014 წლის აღწერები, დემოგრაფიული კვლევები და ოფიციალური სტატისტიკა, აღწერილია ის ცვლილებები, რომლებიც ქვეყანაში დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით 1991 წლიდან მოყოლებული ფიქსირდება. ამ თვალსაზრისით საქართველოში შექმნილ სიტუაციას მიეძღვნა წინა კვლევა (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ა), რომელშიც შეჯამებულია აღნიშნული სტატისტიკური სიტუაცია. წინამდებარე მონოგრაფიაში ჩვენ მიერ წარმოებული კვლევა ძირითადად ეფუძნება ჩვენთვის ხელმისაწვდომ ახალ წყაროებს, როგორიცაა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა და სხვა.

5.1 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები და ბავშვების რიგითობაში დაფიქსირებული სხვაობები

საქართველოში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტთა უახლესი შეფასება ემყარება 2016 წლისათვის დაბადების რეგისტრიდან მოპოვებულ წინასწარ მონაცემებს. 2016 წელს რეგისტრირებულ 56 569 ახალშობილს შორის 28 887 ბიჭი და 27 682 გოგონა იყო. შესაბამისად, აღნიშნული განაწილების თანახმად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 104,4-ს. მიღებული შედეგი ერთგვარად უჩვეულოა, ვინაიდან იგი მიანიშნებს, რომ საქართველოში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ნორმის ფარგლებშია, მას შემდეგ რაც 25 წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ფიქსირდებოდა დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. 95 პროცენტიანი ნდობის ინტერვალის გათვალისწინებით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მოცემული კოეფიციენტი გულისხმობს იმას, რომ ყოველ 100 გოგონაზე მოდის 102,7-დან 106,1-მდე ვაჟი. მიღებული შეფასება არ არის მყარი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეფასება წარმოებს 2016 წელს დაბადებული 50 000-ზე მეტი ახალშობილის კვლევის საფუძველზე. რეალურად, სამოქალაქო რეესტრის მონაცემების საფუძველზე წარმოებული კვლევის თანახმად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი 2015 წელს, ანუ ერთი წლით ადრე, შეადგენდა 109-ს, ხოლო სულ რამდენიმე წლით ადრე – 110-საც კი აღწევდა. აღნიშნული გვიჩვენებს შობადობის მაჩვენებლებში ერთდროულად ორი ტენდენციის არსებობას: დაბადებულთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია (იხილეთ ქვემოთ) და არასისტემატური სხვაობები (± 1,7 ყოველ 100 შემთხვევაზე).

2010 წლიდან მოყოლებული, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი 105-სადა 110-ს შორის მერყეობს. შესაბამისად, უმჯობესი იქნება თუ პირველ რიგში განვიხილავთ მთლიან პერიოდს, 2010 წლიდან მოყოლებული, რათა შევზღუდოთ არასისტემატური წლიური ცვლილებების გავლენა. ჩვენ გამოვიყენებთ ორ წყაროს, 1) 2010-15 წლების დაბადების რეგისტრის მონაცემებს, დაბადების რიგითობისა და რეგიონების მიხედვით და 2) მოსახლეობის

აღწერის შედეგების საფუძველზე, 2010–14 წლებისათვის დაანგარიშებულ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს, რომლებიც მოიცავს, მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებულ მთელ რიგ სხვა ცვლადებს. დაბადების რეგისტრის მონაცემთა თანახმად, 2010–15 წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენდა 108,5–ს. მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გამოთვლებით, ეს მაჩვენებელი, 2010–2014 წლებში, შეადგენდა 109–ს (109,1–ს მოსახლეობიდან შერჩეული ჯგუფისათვის, ბავშვების რიგითობის მიხედვით დეტალური ინფორმაციის გათვალისწინებით).[24]

ცხრილში 5.1 შესულია დაბადების რიგითობის მიხედვით მიღებული მონაცემები. ორივე წყაროდან მიღებული მონაცემები მეტ-ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. როგორც მოსალოდნელი იყო, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ყველაზე მეტად დარღვეულია დაბადების რიგითობით მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში და შესაბამისი კოეფიციენტი 120–ს აღემატება. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი, ფაქტობრივად, ფიქსირდება მესამე ბავშვებში (მოსახლეობის აღწერის საფუძველზე წარმოებული გამოთვლებით – 127) და დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი მცირდება მეოთხე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში. მოცემული შედეგები მარტივად აიხსნება იმით, რომ იმ წყვილებისთვის, ვისაც არ ჰყავთ ვაჟი, მესამე ბავშვი ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, წყვილების ძალიან დიდი ნაწილის გადაწყვეტილებას იყოლიონ მესამე შვილი საფუძვლად უდევს გენდერული მოტივაცია, თუმცა აღნიშნული ქცევა პირდაპირ არ განაპირობებს დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალ მაჩვენებელს. *ცხრილი 5.1* გვიჩვენებს, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა სერიოზულად არის დარღვეული მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში, რაც მხოლოდ სქესის პრენატალური შერჩევის შედეგი შეიძლება იყოს. ქვევით მოცემული ანალიზი ადასტურებს, რომ დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებლის განმაპირობებელ უპირველეს ფაქტორს წარმოადგენს უკვე დაბადებულ ბავშვებში ვაჟის არარსებობა.

ცხრილში შესული მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მეტ-ნაკლებად ნორმის ფარგლებშია. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კოეფიციენტები სულ მცირედით აღემატება ბუნებრივ ნორმას (105 ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე) და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მცირედით უფრო მაღალია პირველი ბავშვების შემთხვევაში, რიგით მეორე ბავშვების მაჩვენებელთან შედარებით. შედეგად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში, მშობლების ძალიან მცირე პროცენტული წილი მიმართავს სქესის შერჩევას და იღებს გადაწყვეტილებას არ გააჩინოს გოგონა. თუ დავუშვებთ, რომ პირველი ბავშვების შემთხვევაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 107–ს, ნაცვლად ბუნებრივი ნორმისა, რომელიც 105–ს შეადგენს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველ ბავშვებს შორის გოგონების დაახლ. 2 პროცენტია გაუჩინარებული.

24 მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად მიღებული, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველა კოეფიციენტი კორექტირებულია მოკვდაობის მაჩვენებლებში სქესთა შორის სხვაობების მიხედვით, კონკრეტული კოჰორტისათვის.

ცხრილი 5.1: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, დაბადების რიგითობის მიხედვით

პერიოდი	დაბადების რიგითობა			სულ	წყარო
	1	2	3+		
2010–14	106,6	105,5	121,7	108,5	დაბადების რეგისტრი
2010–14	107,2	106,0	123,9	109,1	მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული შეფასება

სქესის შერჩევის პრაქტიკაში გენდერული თვალსაზრისით ტენდენციური მოტივების უკეთ შესწავლის მიზნით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მოსახლეობის აღწერის დიფერენცირებული მონაცემები, რომელთა საფუძველზეც გამოვიკვლევთ უკვე დაბადებულ ბავშვთა გენდერული შემადგენლობის გავლენას მომდევნო ბავშვის სქესზე. *ცხრილში 5.2* მოცემულია 2010–2014 წლების შობადობის მაჩვენებლები, ორი კატეგორიის ოჯახებისათვის, რომლებსაც: 1) უკვე ჰყავთ სულ მცირე ერთი ვაჟი და (2) მანამდე არ ჰყოლიათ ვაჟი. აღნიშნული გაანგარიშების წარმოება შეუძლებელია დაბადების რეგისტრის მონაცემების საფუძველზე, სადაც რეგისტრაციისას წარმოებს დაბადებული ბავშვის რიგითობის დაფიქსირება, თუმცა არა მისი დედმამიშვილების სქესის დაფიქსირება. ცხრილის პირველ მწკრივში მოცემულია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც უკვე ჰყავთ ვაჟი, ანუ მეორე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში. აქ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებშია და შეადგენს 105,1-ს, რაც სავარაუდოდ, მეორე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში, მოსალოდნელზე უფრო მაღალი მაჩვენებელია იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ ჰყავდეთ მეორე ვაჟი.

გენდერულ შემადგენლობასთან დაკავშირებული მიზნები თავს იჩენს იმ ოჯახებში, რომლებსაც არ ჰყავთ ბიჭი. პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა მცირეა, თუმცა მაინც შესამჩნევი და აღნიშნული თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 108-ს, იმ ოჯახებში დაბადებული მეორე ბავშვების შემთხვევაში, რომლებშიც პირველი შვილი გოგონაა. თუმცა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მკვეთრად იზრდება და 174-ს აღწევს იმ ოჯახებში დაბადებული მესამე ბავშვების შემთხვევაში, რომლებსაც მანამდე ორი გოგონა ჰყავთ. აღნიშნული კოეფიციენტი ნიშნავს იმას, რომ ყოველ დაბადებულ 174 ბიჭზე მოდის 100 გოგონა მაშინ, როცა ნორმის მიხედვით, დაბადებული გოგონების რაოდენობა 166-ს უნდა შეადგენდეს (=174/1,05). გამოდის, რომ, ამ შემთხვევაში, 66 გოგონაა გაუჩინარებული მოსალოდნელი 166 გოგონადან, რაც მესამე ბავშვებში გოგონების მოსალოდნელი რაოდენობის 40-პროცენტიან დეფიციტზე მიანიშნებს. გაუჩინარებული გოგონების აღნიშნული რეკორდული პროცენტული წილი კიდევ ერთი მაგალითია ჩვენს მიერ ადრე ჩამოყალიბებული მოსაზრებისა იმის თაობაზე, რომ მშობლებისათვის, რომელთაც არ ჰყავთ ვაჟი, შობადობა წარმოადგენს მათ მიერ „გენდერული დეფიციტის“ შევსების

ცხრილი 5.2: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ბავშვების რიგითობისა და გენდერული შემადგენლობის მიხედვით, 2010–2014 წლები

გენდერული შემადგენლობა	დაბადების რიგითობა			სულ
	1	2	3+	
უკვე ჰყავთ სულ მცირე ერთი ვაჟი	–	104,1	106,9	105,1
მანამდე არ ჰყოლიათ ვაჟი	107,2	108,1	173,8	110,9

წყარო: მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული შეფასება

სტრატეგიას და კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმას, თუ როგორ შეიძლება გამოიხატოს ვაჟის ყოლის სურვილი პრაქტიკულ ქცევაში.

დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობის დადგენა ხდება დაბადების რიგითობის მიხედვით რეგისტრირებული გოგონების რაოდენობის შედარებით გოგონების მოსალოდნელ რაოდენობასთან, იმ ვითარებაში, როცა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა არ არის დარღვეული; მიღებული მნიშვნელობა ასევე შეესაბამება დაბადებული ბიჭების რაოდენობას გამოკლებული 5 პროცენტი. *გრაფიკზე 5.1* მოცემულია დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების პროცენტული წილები ოთხ კატეგორიაში, რომლებიც დაანგარიშებულია *ცხრილში 5.2* მოცემული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებისა და 2010-2014 წლებში შობადობის მაჩვენებლების მიხედვით.

გრაფიკი 5.1: დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების პროცენტული წილები, დაბადების რიგითობისა და გენდერული შემადგენლობის მიხედვით, 2004–2014 წლებში



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

პირველი კატეგორია აერთიანებს ბავშვებს, რომლებიც დაბადებული არიან იმ ოჯახებში, რომლებსაც უკვე ჰყავთ ბიჭი. ამ კატეგორიაში, დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების წილი უმნიშვნელოა (1 პროცენტი). დანარჩენი კატეგორიები მოიცავს ოჯახებს, რომლებსაც მანამდე არ ჰყავდათ ბიჭი, დაწყებული პირველი ბავშვებიდან, რომელთა შემთხვევაშიც დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობა, გოგონების მთლიანი დეფიციტის მეოთხედს შეადგენს. აღნიშნული მონაცემი გასაოცრად მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ფიქსირდება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის (107,2) მოკრძალებული ზრდა: ეს განპირობებულია იმით, რომ პირველი ბავშვების რაოდენობა საქართველოში, სადაც შობადობის მაჩვენებელი დაბალია, დაბადებულთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია. მეორე ბავშვების შემთხვევაში გოგონების დეფიციტი გაცილებით მცირეა (14 პროცენტი), არა იმის გამო, რომ მეორე ბავშვებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი დაბალია (ფაქტობრივად ის შეადგენს 108,1-ს), არამედ იმის გამო, რომ გოგონას შემდეგ დაბადებული მეორე ბავშვები, სულ დაბადებული მეორე ბავშვების 50 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. იმ ოჯახებში დაბადებული მესამე ბავშვების რაოდენობა, რომელთაც მხოლოდ გოგონები ჰყავთ, კიდევ უფრო მცირეა, ვინაიდან მხოლოდ გოგონების ყოლის ალბათობა მკვეთრად მცირდება ბავშვების რიგითობის ზრდის პარალელურად. თუმცა ამ ოჯახების მიერ სქესის შერჩევის ინტენსიური გამოყენება - რაც განაპირობებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის 174-მდე ზრდას — ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ შეადგენს ამ კატეგორიაში დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობა, გოგონების მთლიანი დეფიციტის 60 პროცენტს.

5.2 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის სხვაობა, რეგიონებისა და სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით

შობადობის სტატისტიკის საფუძველზე, ასევე შეგვიძლია შევისწავლოთ ის სხვაობები, რომლებიც დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის თვალსაზრისით ფიქსირდება ქვეყნის მასშტაბით, დაწყებული საქალაქო და სასოფლო დასახლებებს შორის არსებული სხვაობით. 2010–14 წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი უფრო მაღალი იყო სასოფლო დასახლებებში, ვიდრე საქალაქო დასახლებებში და შეადგენდა 111,8–ს, რაც საგრძნობლად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. სრულებით განსხვავებული ვითარებაა ამ თვალსაზრისით საქალაქო დასახლებებში, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი სულ მცირედით აღემატება ნორმას და შეადგენს 107,1–ს.

ჩვენ ხელთ არ გვაქვს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების კლასიფიკაცია, ურბანული ცენტრების მოცულობების მიხედვით, თუმცა *გრაფიკზე 5.2* მოცემული ინფორმაციის თანახმად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ორ მაჩვენებელს შორის უკუპროპორციული კავშირი არსებობს. ქ. თბილისში, რომელიც ყველაზე მასშტაბურ ურბანულ ცენტრს წარმოადგენს საქართველოში, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი ძალიან დაბალია (105, 2010–2014 წლების პერიოდში). საინტერესოა, აგრეთვე ის, რომ საქართველოს დასავლეთით მდებარე ორ მომიჯნავე რეგიონშიც, კერძოდ, გურიასა და სამეგრელო–ზემო სვანეთში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ბუნებრივ დონეს უთანაბრდება. საქართველოს ეს რეგიონები, მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვითაც, გამოირჩეოდა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დაბალი კოეფიციენტებით (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ა), რაც შესაძლებელია აიხსნას იმ კულტურული სხვაობებით, რომლებიც საქართველოს რეგიონებს შორის არსებობს. სრულიად სხვაგვარი მდგომარეობაა საქართველოს სამხრეთ–აღმოსავლეთით მდებარე სამ რეგიონში, კერძოდ, ქვემო ქართლში, სამცხე–ჯავახეთსა და კახეთში, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები საგრძნობლად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. აღნიშნულ სამ რეგიონში ერთად, დაბადებამდე

გრაფიკი 5.2: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, რეგიონების მიხედვით, 2010–2014 წლებში



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

გაუჩინარებული გოგონების რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობის 57 პროცენტს შეადგენს. გაუჩინარებული გოგონების პროცენტული წილის თვალსაზრისით ლიდერობს ქვემო ქართლი. ამ რეგიონში დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობა, ქვეყნის მასშტაბით გოგონების დეფიციტის 29 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზეა კახეთი, სადაც ანალოგური მაჩვენებელი 19 პროცენტს უტოლდება.

ცხრილი 5.3: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, რეგიონების მიხედვით, 2010–2016 წლები

რეგიონი	**2010–2016**
თბილისი	105,3
აჭარა	107,9
გურია	106,3
იმერეთი	107,1
კახეთი	113,2
მცხეთა-მთიანეთი	108,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	107,1
სამეგრელო და ზემო სვანეთი	105,9
სამცხე-ჯავახეთი	111,5
ქვემო ქართლი	113,2
შიდა ქართლი	107,6
საქართველო	108,0

წყარო: დაბადების რეგისტრის მონაცემთა საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

ეს მონაცემები, დაბადების რეგისტრისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის რეგიონალური კოეფიციენტების ანალოგიურია (დაბადების რეგისტრის მონაცემები ნაჩვენებია *ცხრილში 5.3*). ძირითადი სხვაობა, რომელიც ფიქსირდება აღნიშნულ წყაროებს შორის, არის მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების შეფასებით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტი. დაბადების რეგისტრისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ამ რეგიონში არ არის მაღალი, კერძოდ 105-დან 107-მდე ფარგლებშია. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი პატარა რეგიონს წარმოადგენს, სადაც ყოველწლიურად მხოლოდ რამდენიმე ასეული ბავშვი იბადება და, შესაბამისად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ამ რეგიონში დაფიქსირებულ კოეფიციენტზე გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი არასისტემატური ცვლილებები. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის აღწერის მონაცემთა საფუძველზე გაკეთებული შეფასება შესაძლებელია გადაჭარბებული იყოს.

დაბადების რეგისტრი ასევე გვაწვდის მონაცემებს დაბადების რიგითობის მიხედვით. *ცხრილში 5.4* შესულია 2010-16 წლების მონაცემები, რომლებიც უფრო დეტალურ ინფორმაციას იძლევა თითოეულ რეგიონში არსებული სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის შესახებ. მაგ., ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონებში, რომლებშიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება (როგორიცაა, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი), დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა განსაკუთრებით არის დარღვეული მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში. აღნიშნულ სამ რეგიონში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ყოველ 100 გოგონაზე შეადგენს 134-დან 146-მდე ბიჭს. მესამე ბავშვების შემთხვევაში, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება საქართველოს ყველა სხვა რეგიონშიც და უტოლდება 109-დან 125-მდე ბიჭს 100 გოგონაზე.

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები ნაკლებად იკვეთება პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში, სადაც დაბადებისას ვაჟებისადმი

მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი 102-დან 111-მდე ფარგლებში მერყეობს. ამ კატეგორიაში, აღნიშნულ ფარგლებს მიღმა დაფიქსირებული მაჩვენებლები შესაძლებელია უკავშირდებოდეს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების გამოთვლისას გამოყენებული საკვლევი ჯგუფის მცირერიცხოვნობას. პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში, ქ. თბილისში დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ბუნებრივ დონეს არ სცდება, ხოლო მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში, აღნიშნული კოეფიციენტი, ქვეყნის მასშტაბით, ყველაზე დაბალია ქ. თბილისში.

დაფიქსირებულ ანალოგურ მაჩვენებელებს. რეგიონებს შორის სხვაობა, თავისთავად, რთულად ექვემდებარება ახსნას. კერძოდ,, რთული ასახსნელია განპირობებულია თუ არა დაფიქსირებული სხვაობა უნიკალური გეოგრაფიული მახასიათებლებით, თუ წარმოადგენს რეგიონებისათვის დამახასიათებელი სხვა ფაქტორების გავლენის შედეგს, როგორიცაა ურბანიზაცია, ეკონომიკა თუ მოსახლეობის განათლების დონე. ქვევით მოცემული მრავალფაქტორული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ამ ფაქტორთა ზემოქმედება.

გეოგრაფიული ფაქტორების გარდა, მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ცვლადები საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელთა შორის ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული სხვაობის განმაპირობებელი სხვადასხვა ფაქტორი. ამათგან ყველაზე მკვეთრად გამოკვეთილი ფაქტორები უკავშირდება ოჯახების კულტურულ მახასიათებლებს, რომელთა შორისაც ეთნიკური წარმომავლობა წარმოადგენს ყველაზე მძლავრ ფაქტორს,

ცხრილი 5.4: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, დაბადების რიგითობისა და რეგიონების მიხედვით, 2010–2016 წლები

	დაბადებულთა რიგითობა			სულ
	1	2	3+	
თბილისი	104,6	104,1	109,9	105,3
აჭარა	106,2	104,4	124,9	108,0
გურია	101,7	107,8	117,0	106,5
იმერეთი	106,6	103,9	116,6	107,1
კახეთი	109,8	108,7	133,6	113,2
მცხეთა-მთიანეთი	107,9	110,0	110,4	108,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	103,0	111,0	109,4	106,9
სამეგრელო და ზემო სვანეთი	104,0	105,7	113,5	105,9
სამცხე-ჯავახეთი	104,7	107,6	145,9	111,6
ქვემო ქართლი	106,0	108,4	145,5	113,2
შიდა ქართლი	108,3	104,1	114,3	107,6

წყარო: დაბადების რეგისტრის მონაცემთა საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

საერთო ჯამში, რეგიონებს შორის დაფიქსირებული სხვაობა მოულოდნელია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. 2010-2014 წლების მონაცემებით, საქართველოში ვხვდებით რეგიონებს, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები ბუნებრივ ნორმას არ აღემატება და, მეორე მხრივ, ასევე არის რეგიონები, სადაც აღნიშნული კოეფიციენტი 113-ზე მეტია, ანუ აღემატებოდა ინდოეთში

რომელიც განაპირობებს დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელთა თვალსაზრისით დაფიქსირებულ სხვაობას (*გრაფიკი 5.3*). ერთი მხრივ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გაცხადებული მაჩვენებელი შეადგენს 107,3-ს, რომელიც მცირედით ჩამოუვარდება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (109). მეორე მხრივ, უმცირესობებს შორის დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მკვეთრად მაღალია. ამას ვხვდებით მაგ., შერეულ ჯგუფში, რომელიც სხვადასხვა ეროვნების (რუსები, ოსები, იეზიდები და ა.შ.) წარმომადგენლებისაგან შედგება და რომელთა შორისაც აღნიშნული კოეფიციენტი 115-ს შეადგენს. ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში, აღნიშნული კოეფიციენტი 117-მდე იზრდება. თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში და ის 125-ს აღემატება. საქართველოში მცხოვრებ უმცირესობებს შორის დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების დაანგარიშება გარკვეულ რისკს უკავშირდება, ვინაიდან დიდია ცდომილების ალბათობა, საკვლევი ჯგუფების მცირერიცხოვნობის გამო. აქედან გამომდინარე, ჩვენ დაანგარიშების პროცედურა გავიმეორეთ უფრო მრავალრიცხოვანი საკვლევი ჯგუფების გამოყენებით, რომლებშიც ჩავრთეთ 2005-09 წელს დაბადებული თაობა, თუმცა შედეგებს შორის განსხვავება თითქმის არ დაფიქსირდა. საქართველოს მასშტაბით დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტები დაფიქსირდა სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობაში: 119 და 128, შესაბამისად. თუმცა საკვლევი ჯგუფების მცირერიცხოვნობა არ გვაძლევს დაბადების რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული კვლევის ჩატარების საშუალებას.

მსგავსი ანალიზის ჩატარება შესაძლებელია სხვა ტიპური კულტურული ცვლადების გამოყენებითაც, როგორიცაა რელიგიური ან ენობრივი ჯგუფები. რელიგიურ ჯგუფებს შორის საჭიროა გამოვყოთ სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები, რომელთა შორისაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი 116,5-ს აღწევს. აღნიშნული მაჩვენებელი ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში დაფიქსირებული ანალოგური კოეფიციენტის თითქმის იდენტურია. მუსლიმთა შორის დაბადებისას ვაჟებისადმი

გრაფიკი 5.3: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით, 2010–2014 წლებში



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი შეადგენს 120-ს. ეთნიკურად აზერბაიჯანელ მუსლიმთა შორის დაფიქსირებულ ანალოგურ მაჩვენებელთან შედარებისას ირკვევა, რომ ეთნიკურად ქართველ მუსლიმებს შორის, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი უფრო დაბალია. მსგავსი სხვაობები ფიქსირდება ენობრივ ჯგუფებს შორისაც: სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თითქმის ისეთივე მაღალი კოეფიციენტები ფიქსირდება, როგორც შესაბამის ეთნიკურ ჯგუფებში. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მაღალია რუსულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობაშიც და შეადგენს 115-ს, რაც მოულოდნელია, ვინაიდან რუსეთი არ განეკუთვნება ქვეყნების რიცხვს, სადაც გენდერული ტენდენციურობის პრობლემა დგას; აღნიშნულის სავარაუდო ახსნას წარმოადგენს ის, რომ საქართველოში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეებისაგან შემდგარ ერთობ ჰეტეროგენულ ჯგუფს წარმოადგენს და არა მხოლოდ ეთნიკური რუსებისაგან შემდგარ ჯგუფს.

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებსა და ეთნიკურ წარმომავლობას შორის კავშირის დადგენით სააშკარაოზე გამოდის იმ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობათა მიხედვით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების სხვაობას განაპირობებს და რომლებზეც ჩვენ ამ თავის დასაწყისში ვისაუბრეთ. საქართველოს სამხრეთით მდებარე რეგიონებში თავმოყრილია საქართველოს ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის დიდი ნაწილი და, როცა ეთნიკურობის ფაქტორს გავითვალისწინებთ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების თვალსაზრისით რეგიონებს შორის არსებული სხვაობები მნიშვნელოვნად მცირდება. გამონაკლისს წარმოადგენს დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების შედარებით მაღალი მაჩვენებელი, რომელსაც ვხვდებით ძირითადად ქართველებით დასახლებული კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.

სოციალურ-ეკონომიკური ცვლადები ისეთ ზეგავლენას არ ახდენს გენდერულ ტენდენციურობაზე, როგორც კულტურული მახასიათებლები: მაგ., ეთნიკური წარმომავლობა და აღმსარებლობა. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გავლენა, მაგ., შემოიფარგლება უღარიბესი კვინტილით, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი დაახლ. 112-ს შეადგენდა 2010-14 წლების კოჰორტისათვის. შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირის არსებობის საშუალებათა ძირითადი წყაროს მიხედვით წარმოებული კვლევის შედეგად, იკვეთება გარკვეული სხვაობა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის, რომელთა შორის ყველაზე დაბალი კოეფიციენტი შეადგენს 107-ს იმ შინამეურნეობებში, რომლის პირველად ჩაწერილი პირის არსებობის საშუალებათა ძირითად წყაროს ხელფასი წარმოადგენს, ხოლო ყველაზე მაღალი კოეფიციენტი შეადგენს 113-ს, იმ შინამეურნეობებში, რომლის პირველად ჩაწერილი პირის არსებობის საშუალებათა ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების დონეს განაპირობებს არის განათლების დონე: შინამეურნეობებში, რომელთა წევრების განათლების მიღწეული დონე არ აღემატება დაწყებით განათლებას, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი ძალიან მაღალია და შეადგენს 121 ბიჭს 100 გოგონაზე. პარადოქსულია ის, რომ ყველაზე დაბალი განათლების დონის მქონე შინამეურნეობსა და უმცირესობებს მიკუთვნებულ მოსახლეობაში, რომელთა შორისაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტები ფიქსირდება, მნიშვნელოვნად მაღალია შობადობის მაჩვენებელიც მაშინ, როცა ჩვეულებრივ, შობადობის მაჩვენებელსა და დაბადებისას

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. აღნიშნული გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ შობადობის დონე პირდაპირ არ უკავშირდება სქესის შერჩევის პრაქტიკას და მხოლოდ კონკრეტულ სოციალურ და კულტურულ ცვლადებთან კომბინაციაში განაპირობებს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენციებს.

აღსანიშნავია, რომ პრივილეგირებული სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ტიპიურ მახასიათებელთა უმრავლესობა – როგორიცაა უმაღლესი კვინტილი, უმაღლესი განათლება, თანამედროვე და მაღალანაზღაურებადი დასაქმების სფერო – განაპირობებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე დაბალ კოეფიციენტებს. თუმცა ამ ჯგუფებშიც, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი არც ერთ შემთხვევაში არ არის 107-ზე ნაკლები. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ბუნებრივ კოეფიციენტს უკავშირდება, არის ქ. თბილისში ან საქართველოს დასავლეთ რეგიონებში – გურიასა და სამეგრელოში ცხოვრება.

5.3 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტის განმაპირობებელ ფაქტორთა სტატისტიკური ანალიზი

ცხრილში 5.5 მოცემულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე, 10 წლის პერიოდში, საქართველოში დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მრავალფაქტორული ანალიზის შედეგები. ამ მაჩვენებლების ანალიზისას გამოყენებულია ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი. ჩვენ ვიყენებთ ყველა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და დემოგრაფიულ ცვლადს, რომლებზეც უკვე გვქონდა საუბარი ჩვენს ანალიზში, რათა გამოვყოთ დაბადებული ბიჭების მაღალი მაჩვენებლის განმაპირობებელი უძლიერესი ფაქტორები. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საკვლევ ჯგუფში ბავშვების უმრავლესობის სქესი არ არის შერჩევის გზით მიღებული, ვინაიდან საკვლევ პერიოდში დაბადებული ბავშვების მხოლოდ 3 პროცენტზე უფრო ნაკლები თუ იქნებოდა სქესის შერჩევის პრაქტიკის შედეგად დაბადებული.

დემოგრაფიული ცვლადები, უპირველეს ყოვლისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებთან. დაბადების რიგითობის თითოეული დონე შეესაბამება მეტობით დაბადებული დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მოცემულ დონეს, მეოთხე და მომდევნო ბავშვებში ყველაზე მაღალია შანსების შეფარდება (OR) და შეადგენს 1,71-ს. შესაბამისად, უფროსი ვაჟის ყოლა კიდევ ერთი ვაჟის ყოლის ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებს (OR=0,76). ანალიზში ასევე ჩავრთეთ ტენდენციის ცვლადი (ბავშვის დაბადების წელი). როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნულ ცვლადსა და დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება გამოვლინდა.

დემოგრაფიულ ცვლადებს თუ გამოვრიცხავთ, მახასიათებლების უმრავლესობის მნიშვნელობა მცირდება, როდესაც ხდება ამ ცვლადების კომბინირება სხვა ცვლადებთან, მრავალფაქტორული მოდელის ფარგლებში. მაგ., გეოგრაფიული ფაქტორი კარგავს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადის ფუნქციას აღნიშნულ მოდელში. მნიშვნელოვანი სხვაობა არ შეინიშნება საქალაქო და სასოფლო დასახლებებს შორის და არც რეგიონებს შორის. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ქ. თბილისი, სადაც სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ნაკლებად ავლენს გენდერული ტენდენციურობის ნიშნებს სხვა რეგიონებთან შედარებით.

განათლებისა და სხვა ეკონომიკური ცვლადების გავლენა უჩინარდება აღნიშნულ მოდელში და, ასევე, მოულოდნელია ის, რომ დაბადებული ბიჭების რაოდენობასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებული

ცხრილი 5.5: ბიჭების მაღალი შობადობის განმაპირობებელი ფაქტორები 2004–2014 წლებში

	შანსების შეფარდება	სტანდარტული ცდომილება	მნიშვნელობა
ბავშვების რაოდენობა (საბაზისო =1)			
2	1,20***	7,37	0
3	1,64***	12,91	0
4 და მეტი	1,71***	7,83	0
ოჯახში უფროსი ვაჟის არსებობა	0,76***	–10,36	0
დაბადების წელი	0,99*	–1,86	0,06
რეგიონი (საბაზისო=აჭარა)			
თბილისი	0,94*	–1,70	0,09
შინამეურნეობის არსებობის საშუალებათა წყარო (საბაზისო=ხელფასი)			
სოციალური დახმარება	0,91**	–2,32	0,02
ქონებრივი კვინტილი (საბაზისო=საშუალო კვინტილი)			
უმდიდრესი კვინტილი	1,06*	1,68	0,09
ეთნიკურობა (საბაზისო= ქართველი)			
აზერბაიჯანელი	1,13**	2,74	0,01
სომეხი	1,06	1,05	0,29
სხვა	1,15*	1,87	0,06
შინამეურნეობის შემადგენლობა	1,14***	4,38	0
შინამეურნეობის მოცულობა (საბაზისო= 4 წევრზე ნაკლები)			
4 წევრი	0,99	–0,38	0,70
5 წევრი	0,87***	–3,33	0
6 წევრი	0,81***	–4,75	0
7+ წევრი	0,76***	–6,02	0
მუდმივი	68,377*	1,87	0,06

- n = 49 384 ალბათობა = –34 048,156 (* p<.1, ** p<.05, *** p<.01)
- მონაცემები მიღებულია მოსახლეობის აღწერის ფარგლებში შერჩეული 10% ნიმუშიდან
- გამოყენებულია ვაჟის გაჩენის ალბათობის ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი
- მონაცემები, რომელთა მნიშვნელობაც ძალიან დაბალი იყო 10% ნიმუშში, არ არის შესული წინამდებარე ცხრილში. კონკრეტულად, ცხრილში არ არის შესული თბილისის გარდა არც ერთი რეგიონის მონაცემი, არც საქალაქო–სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის მონაცემები, შინამეურნეობის წევრების განათლების მიღწეული დონე, შინამეურნეობები, რომელთა წევრების სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწეობენ, არსებობის საშუალებათა ნებისმიერი წყარო გარდა სოციალური დახმარებისა, ნებისმიერი ქონებრივი კვინტილი, გარდა უმდიდრესი კვინტილისა.

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ნიმუშის საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

კავშირი საგრძნობლად მცირდება მრავალფაქტორულ მოდელში. თუმცა სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულება დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპიერ ფაქტორად გვევლინება. ამისაგან განსხვავებით, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უმდიდრესი კვინტილი, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალ კოეფიციენტებს უკავშირდება. კულტურულ ცვლადებს შორის, უმცირესობებში გაცილებით მეტი ვაჟი იბადება, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობაში. აღნიშნულ უმცირესობებს შორის ლიდერობს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა (შანსების შეფარდება (OR)=1,13). აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტი, რომელიც მოსახლეობის მოცემულ ჯგუფში ფიქსირდება, არ შეიძლება სრულად განპირობებული იყოს სოციალური და ეკონომიკური ცვლადებით. ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა კულტურული თავისებურებები, გეოგრაფიული იზოლაცია ან სოციალური გარიყულობა, შესაძლებელია წარმოადგენდეს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტის განმაპირობებელ ფაქტორებს (იხილეთ, ასევე, თვისებრივი ანალიზი).

მჭიდრო კორელაცია იჩენს თავს საცხოვრებელ პირობებსა და ოჯახის მოცულობასა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობას შორის. რთულ ოჯახებში მნიშვნელოვნად მაღალია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი (შანსების შეფარდება (OR)=1,14). აღნიშნული გარკვეულწილად მოსალოდნელია, ვინაიდან ოჯახები, რომლებშიც მრავალი თაობაა წარმოდგენილი, უფრო ტრადიციულია და, დიდი ალბათობით, მეტად არის ორიენტირებული პატრიარქალური ღირებულებების დაცვაზე. ამავე დროს, შინამეურნეობებში წევრთა სიმრავლე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელთან, მიუხედავად შინამეურნეობის ტიპისა. როგორც ნუკლეარულ, ასევე რთულ შინამეურნეობებში, ხუთ წევრზე მეტი წევრის არსებობა, ამცირებს დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭებას. ჩვენ მივიჩნევთ, რომ მიუხედავად იმისა, თუ რამდენი თაობაა წარმოდგენილი შინამეურნეობაში, მრავალრიცხოვან ოჯახებს ძირითადად ჰყავთ რამდენიმე შვილი და შესაბამისად, ამ ოჯახებში მაღალია შობადობა. ამგვარ მსჯელობას მივყავართ იქამდე, რომ აღნიშნულ ჯგუფში შემავალი ოჯახები არ მიმართავენ სქესის შერჩევის პრაქტიკას და ბავშვების სასურველი გენდერული შემადგენლობა მიიღწევა მომდევნო ბავშვების გაჩენის ხარჯზე.

5.4 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილება დროთა განმავლობაში

საქართველოში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილების შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი 2015 წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი. ეს მოიცავს არა მხოლოდ მოსახლეობის აღწერიდან მიღებულ დიფერენცირებულ მონაცემებს, რომელსაც ვიყენებთ სიღრმისეული ანალიზის საწარმოებლად, არამედ ასევე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეგისტრაციის მონაცემებს, საიდანაც ვიღებთ ინფორმაციას და ახალ მტკიცებულებებს, აღნიშნულ სფეროში 2005 წლამდე არსებული ტენდენციების შესახებ, ანუ იმ პერიოდისათვის, რომლის შესახებაც აქამდე ხელმისაწვდომი მონაცემთა წყაროები არასაიმედო და ბუნდოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ ყოველწლიური მონაცემების თანახმად, 2000 წლის შემდეგ აღნიშნული თანაფარდობის კოეფიციენტის რეკორდული ზრდა ფიქსირდება და აღწევს 115-ს, საქართველოში არ არსებობს წყაროები, რომელთა მონაცემების შედარებაც შესაძლებელი იქნებოდა მეზობელი ქვეყნების

მონაცემებთან. ძირითად პასუხგაუცემელ კითხვად რჩებოდა ის ცვლილებები, რომელიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა განიცადა 1990-იანი წლების შემდეგ, რა დროსაც მისი ზრდა ფიქსირდებოდა. გაურკვეველი რჩებოდა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა განაგრძო თუ არა ზრდა 2000 წლის შემდეგ და რა ნიშნულზე შეაჩერა საბოლოოდ ეს ზრდა. კვლევებისა და სკოლებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, წინა კვლევის ფარგლებში გამოითქვა ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა ზრდა შეწყვიტა 2003 წელს, რა დროსაც ყოველ 100 გოგონაზე მოდიოდა 114 ბიჭი (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ა). ახალი სტატისტიკური წყაროები ამ ჰიპოთეზის გადამოწმების საშუალებას იძლევა.

გრაფიკზე 5.4 პირველად არის თავმოყრილი ექვსი სხვადასხვა წყარო, რომლებიც აღწერს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით არსებულ ტენდენციებს საქართველოში, 1990 წლის შემდგომ. დაბადების რეგისტრის მონაცემები მოიცავს საქსტატის მიერ შეგროვილ მონაცემებს 1995 წლამდე პერიოდისათვის და 2005 წლის შემდგომი პერიოდისათვის; ასევე, ალტერნატიულ მონაცემებს 1995-2005 წლების პერიოდისათვის, რომლებიც ემყარება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ინვარიანტულ კოეფიციენტს, რომელიც შეადგენს 111 ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე. ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს მოსახლეობის ორი – 2002 წლისა და 2014 წლის აღწერების შედეგების საფუძველზე გამოთვლილი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია საქართველოს სამოქალაქო რეესტრის (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე შედგენილი მონაცემები, სქესისა და ასაკის მიხედვით დაბადებულთა განაწილების შესახებ. აღნიშნულ წყაროებს დავამატეთ სკოლებში ჩარიცხვის სტატისტიკა, რომლის საფუძველზეც ხელთ გაქვს 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებით კლასებში ჩარიცხული ბავშვების სქესის მიხედვით განაწილების მონაცემები.

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის დროთა განმავლობაში ცვლილების შესახებ ნათელი სურათი იქმნება კონკრეტული წყაროებიდან მიღებული მონაცემების საშუალებით; ეს წყაროებია მოსახლეობის აღწერა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. უფრო კონკრეტულად, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა, როგორც ინტენსიურობის, ასევე ცვლილებების თვალსაზრისით. ამ მონაცემებს შორის სხვაობა არ აღემატება 1,5 პროცენტს, ხოლო წლიდან წლამდე ცვლილებები, როგორიცაა მკვეთრი ცვლილებები 1999 წელსა და 2004 წელს, აბსოლუტურად იდენტურია. მოსახლეობის 2002 წლის აღწერიდან მიღებული მონაცემები ზედმიწევნით ზუსტია 1996 წლამდე პერიოდისათვის, თუმცა 1999-2001 წლების პერიოდისათვის განსაზღვრული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის სხვაობა, სხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან შედარებით, 2 პროცენტს შეადგენს. დამატებითი მონაცემები, რომლებიც სკოლებში ჩარიცხვის სტატისტიკის ბაზაზეა მიღებული, ასევე ზუსტად ასახავს სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მკვეთრ მატებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2004 წელს.

შედარებისას ირკვევა, რომ დაბადების რეგისტრის მონაცემები, რომლებიც უტყუარ წყაროს უნდა წარმოადგენდეს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის განსაზღვრისას, რიგ შემთხვევებში არასწორ ინფორმაციას შეიცავს. კერძოდ, დაბადების რეგისტრიდან მიღებული ინფორმაციით, 1995 წლისათვის, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი არარეალურად მაღალია, ასევე არარეალურ მონაცემებს გვაწვდის იგივე წყარო 1996-2005 წლების პერიოდზე. გარდა ამისა, დაბადების რეგისტრის მიერ მოწოდებული

გრაფიკი 5.4: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, 1990–2016 წლებში, სხვადასხვა წყაროების მიხედვით



წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, მოსახლეობის 2002 წლისა და 2014 წლის აღწერები, დაბადების რეგისტრი (დაკვირვებისა და შეფასების შედეგები), სკოლებში ჩარიცხვის სტატისტიკა

მონაცემი, 2008 წელს დაფიქსირებული ზრდის შესახებ, აშკარად გადაჭარბებულია. აღნიშნული წყაროს მიხედვით 2008 წელს დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის მკვეთრი ზრდა 128-მდე და მომდევნო წელს, ანუ 2009 წელს, აღნიშნული კოეფიციენტის ასეთივე მკვეთრი ვარდნა 104-მდე, დიდი ხანია დემოგრაფებისათვის თავსატეხს წარმოადგენს. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის წინა კვლევის ფარგლებში, აღნიშნული ცვლილების მიზეზად დასახელდა შობადობის სწრაფი მატება, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება საქართველოს პატრიარქის მოწოდებას. თუმცა, როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებიდან და, ასევე, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებიდან ირკვევა, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის აღნიშნულ მკვეთრ მატებას საერთოდ არ ჰქონია ადგილი. იგი წარმოადგენდა სრულებით ხელოვნურ ზრდას, რის შესახებაც მოკლედ ვისაუბრებთ შემდგომ, წინამდებარე მონოგრაფიის ამავე ნაწილში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2008-2009 წლების შემდგომი პერიოდისათვის, დაბადების რეგისტრიდან მიღებული მონაცემები ემთხვევა სხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებული მონაცემები და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები.

აღნიშნული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით დადგენილი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით არსებული ტენდენციები ნაჩვენებია *გრაფიკზე 5.5.* გრაფიკზე წარმოდგენილი მონაცემები ემყარება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ახალი წყაროებიდან მიღებულ წლიურ შეფასებას. დაბადებისას სქესთა

რაოდენობრივი თანაფარდობის თითოეული წლიური კოეფიციენტი წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდისათვის აღნიშნული წყაროებიდან მოპოვებული მონაცემების საშუალო არითმეტიკულს. წყაროები და შესაბამისი პერიოდებია: დაბადების რეგისტრი – 1996 წლამდე პერიოდი და 2009 წლის შემდგომი პერიოდი; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო – 1990–2016 წლების პერიოდი, მოსახლეობის 2002 წლის აღწერა – 1990–2001 წლების პერიოდი და მოსახლეობის 2014 წლის აღწერა – 1996–2014 წლების პერიოდი. თითოეული წყაროს შემთხვევაში პერიოდების შერჩევა წარმოებულია ხელმისაწვდომი მონაცემების ხარისხისა და უტყუარობის გათვალისწინებით.

გრაფიკზე 5.5 ნათლად ჩანს თითქმის 25 წლიანი ციკლი, რომელიც მოიცავს საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ზრდისა და კლების ტენდენციებს. აღნიშნული თანაფარდობის ზრდა დაიწყო 1991 წლიდან – საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, რა დროსაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ნორმალური დონიდან მაქსიმალურ ნიშნულამდე გაიზარდა. 1999 წელს ამ კოეფიციენტმა პირველად მიაღწია პიკს და შეადგინა 114 და განმეორებით 2004 წელს, რა დროსაც დაფიქსირდა კოეფიციენტი: 115. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ნორმალური დონიდან გადახრა დაფიქსირდა 1992–1998 წლებში, რის შემდეგაც, აღნიშნული კოეფიციენტი მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა. აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ და ქვეყნის მიერ უცაბედად მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ გამოიწვია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ნორმიდან ამგვარი გადახრა და უფრო ფართოდ, მთლიანად დემოგრაფიული რეჟიმის შეცვლა (ე.ი. შობადობის დონის, მიგრაციის და ა.შ. შეცვლა) საქართველოში. 1992 წლიდან 1998 წლამდე, საქართველოს რეგიონებსა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში, ეტაპობრივად, თუმცა უკიდურესად სწრაფად გავრცელდა სქესის შერჩევის პრაქტიკა. ახალი საუკუნის დასაწყისში, შერჩევითი აბორტი, რომლის დროსაც წარმოებდა არასასურველი მდედრობითი სქესის ნაყოფის შემთხვევაში ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, იმ ქართველი წყვილებისათვის ხელსაყრელ გამოსავლად იქცა, რომლებიც მანამდე, რეპროდუქციული ქცევის თვალსაზრისით, თავსატეხის წინაშე იდგნენ – სურდათ შეემცირებინათ ბავშვების რაოდენობა და, ამავდროულად, ჰყოლოდათ ვაჟი. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა 1999 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში არ ყოფილა სრულიად სტაბილური, რაზეც მეტყველებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის 1999 წელსა და 2004 წელს დაფიქსირებული კოეფიციენტები. არ არსებობს მიზეზი ვივარაუდოთ, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის აღნიშნულ წლებში დაფიქსირებული მკვეთრი ზრდა აბსოლუტურად ხელოვნური იყო, ვინაიდან სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები ერთი და იგივე სურათს აფიქსირებს ამ პერიოდებში.

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის სტაბილურად მაღალი კოეფიციენტი, რომელიც 112–155 ფარგლებში მერყეობდა, შენარჩუნდა 2005–2008 წლამდე, რასაც აღნიშნული კოეფიციენტის ეტაპობრივი შემცირება მოჰყვა. დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი საბოლოოდ ჩამოსცდა 110 ნიშნულს 2009 წელს და, როგორც დღევანდელი გადმოსახედიდან ჩანს, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კლების ტენდენცია შეუქცევადი გახდა. უკანასკნელმა მონაცემმა, 2016 წელს, შეადგინა 104,5. სწორედ 2016 წელი იყო პირველი წელი, 1992 წლიდან მოყოლებული, როდესაც დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი საქართველოში ნორმალურ დონეს დაუბრუნდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გასული 10 წლის განმავლობაში დაფიქსირებული დემოგრაფიული ტენდენციები, მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში ადგილი აქვს სქესის შერჩევის პრაქტიკის ეტაპობრივ განელებას. უცნობია მიანიშნებს

გრაფიკი 5.5: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, 1990–2016 წლებში



შენიშვნა: (იხილეთ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ტექსტი)

წყარო: დაბადების რეგისტრი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, მოსახლეობის 2002 და 2014 წლების აღწერები

თუ არა 2016 წლის მონაცემი იმაზე, რომ სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკა სამუდამოდ აღმოიფხვრება; მხოლოდ დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების შემდგომი წლების მონაცემების საფუძველზე გვექნება შესაძლებლობა პასუხი მივიღოთ ამ კითხვაზე. წლიური ცვლილებები, როგორიცაა, მაგ. 2015 წელს დაფიქსირებული პიკი, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის აშკარად გამოხატულ არასტაბილურობაზე მიანიშნებს. მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით სამხრეთ კორეის გამოცდილების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების შემცირების აღნიშნული ტენდენცია შეუქცევადი იქნება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილება ისევ დაფიქსირდება უახლოეს მომავალში, ნორმალური თანაფარდობა, სავარაუდოდ, ხანგრძლივი დროით აღდგება და ეს იქნება სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით მიმდინარე გარდამავალი პერიოდის დასასრული საქართველოში (გილმოტო, 2009 წ.).

საქართველოში, ჩვენი შეფასებით მიღებული, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის წლიური კოეფიციენტების (იხ. *გრაფიკი 5.5*) საფუძველზე შეგვიძლია გამოვთვალოთ დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების წლიური რაოდენობა. აღნიშნული რაოდენობის გამოთვლა წარმოებს გოგონების მოსალოდნელ რაოდენობასა (იმ შემთხვევაში, თუ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი იქნებოდა 105) და ფაქტობრივად დაბადებული გოგონების რაოდენობას შორის სხვაობის დადგენით. ჩვენი გამოთვლების შედეგები მოცემულია

გრაფიკი 5.6: დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების წლიური რაოდენობა, 1990–2016 წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ჩვენ მიერ გამოთვლილი კოეფიციენტების მიხედვით



შენიშვნა: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის წლიური კოეფიციენტები იხილეთ წინა გრაფიკში

წყარო: დაბადების რეგისტრი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, მოსახლეობის 2002 და 2014 წლების აღწერები

გრაფიკზე 5.6, რომელიც აღნიშნული მონაცემის სწრაფ ზრდას აჩვენებს, 2002 წლის შემდგომ. დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობა 0-ს შეადგენდა, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში, ხოლო, 1995 წელს, დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების წლიურმა რაოდენობამ 1 000 შეადგინა. მაღალი მაჩვენებელი შენარჩუნდა 1996 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში, რა დროსაც, დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების წლიური რაოდენობა 1 500-ს მიუახლოვდა. აღნიშნული 13 წლის პერიოდში, ორჯერ დაფიქსირდა დაბადებამდე გაუჩინარებული 2 000-ზე მეტი გოგონა (1999 წელსა და 2004 წელს). 2010 წლიდან მოცემულ პერიოდამდე, წლიური მაჩვენებელი კლების ტენდენციას ავლენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში დაბადებამდე გაუჩინარებული 1 000 გოგონაზე ნაკლები ფიქსირდება. თუმცა იგივე გრაფიკიდან ასევე ირკვევა, რომ დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობა ისეთი ტემპით არ მცირდება, როგორც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი. აღნიშნული უკავშირდება იმ ფაქტს, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლების პარალელურად ხდება შობადობის მაჩვენებლის ზრდა. დაბადებულთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა (იხ. *გრაფიკი 4.3*) იწვევს დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობის ზრდას, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილების გარეშე. დაბადების რეგისტრისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემების თანახმად, 2016 წელს დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 105-ზე ნაკლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყანაში პირველად ფიქსირდება დაბადებული ბიჭების ნორმალური მაჩვენებელი.

შემდეგი საკითხი ეხება აღნიშნული ცვლილების დემოგრაფიულ კომპონენტებს და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წვლილს ზემოაღნიშნული მაჩვენებლების კლების ტენდენციაში გასული ათი წლის განმავლობაში დაფიქსირებული. *გრაფიკზე*

გრაფიკი 5.7: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, დაბადების რიგითობის მიხედვით, 2002–2014 წლებში



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

5.7 წარმოდგენილი მონაცემები ამ კითხვაზე პასუხს იძლევა, თავს უყრის რა მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებულ მონაცემებს 2002–2014 წლებისათვის და აჩვენებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციებს, ბავშვების დაბადების რიგითობის მიხედვით.[25]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის 2004 წლიდან დაფიქსირებული შემცირება არ ვრცელდება დაბადების რიგითობის მიხედვით დახარისხებულ ყველა ჯგუფზე (იხ. *გრაფიკი 5.7*). დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება ფიქსირდება პირველ და მეორე ბავშვებში, 2005 წლიდან მოყოლებული, ანუ იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც, პირველ ბავშვებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის უჩვეულოდ მაღალი კოეფიციენტი – 112 – დაფიქსირდა, რაც მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ახალგაზრდა მშობლების მზარდი პროცენტული წილი არჩევდა არ ჰყოლოდა პირველი გოგონა. მეორე ბავშვების შემთხვევაში გენდერული ტენდენციურობა კიდევ უფრო მკვეთრად იყო გამოხატული. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა, მეორე ბავშვების შემთხვევაში, 117 შეადგინა 2004 წელს და იმავე წელს 135-ს მიაღწია იმ ოჯახების შემთხვევაში, რომლებსაც პირველი გოგონა ჰყავდათ. თუმცა 2004 წლის შემდეგ, პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა ეტაპობრივად იწყო კლება და ბუნებრივ ნორმას მიუახლოვდა. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში იყო 2009 წელს – პირველი ბავშვების შემთხვევაში და 2013 წელს – მეორე ბავშვების შემთხვევაში. გარკვეული ცვლილებები კვლავაც შეინიშნება, თუმცა დაბადების რეგისტრის უახლესი სტატისტიკის თანახმად, 2013 წლიდან, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში, დაახლ. 106 ბიჭს შეადგენს ყოველ 100 გოგონაზე და, შესაბამისად, მიიჩნევა, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ნორმის ფარგლებშია.

25 ჩვენ არ ვიყენებთ დაბადების რეგისტრის მონაცემებს, ვინაიდან მათში არაზუსტია 2008 წლის მონაცემები და ხელოვნურად არის გაზრდილი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი. აღნიშნული მკვეთრი ზრდა, სავარაუდოდ, უკავშირდება დაბადებისას ვაჟების ინტენსიურ რეგისტრაციას, იმ მიზნით, რომ მათ მონათლავდა საქართველოს პატრიარქი, რომლის დაპირებაც მდგომარეობდა იმაში, რომ იგი პირადად მონათლავდა მართლმადიდებელ ქრისტიანულ ოჯახში დაბადებულ ყოველ მესამე და მომდევნო ბავშვს.

ჩვენი დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ, მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი ზრდას განაგრძობდა 2007 წლამდე, როდესაც დაფიქსირდა კატასტროფულად მაღალი მაჩვენებელი – 150. დიფერენცირებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმ ოჯახების შემთხვევაში, რომლებსაც მანამდე არ ჰყავდათ ვაჟი, მესამე და მომდევნო ბავშვებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა 280 შეადგინა და ეს მაჩვენებელი შენარჩუნდა სამი წლის მანძილზე (2005 წლიდან 2007 წლის ჩათვლით). ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი წლის განმავლობაში „გოგონების მოსალოდნელი რაოდენობის“ 62 პროცენტი გაუჩინარდა. მიუხედავად ამისა, მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში, 2007 წლის შემდეგ დაფიქსირებული კლების შედეგად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი 150-დან 140-მდე შემცირდა 2008 წელს, 130-მდე 2010 წელს და 120-მდე 2014 წელს. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი კვლავაც განაგრძობს კლებას და დაბადების რეგისტრის უახლესი მონაცემებით, 120-ზე დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდა: დაბადების რეგისტრის მონაცემებით, 2016 წელს აღნიშნულმა კოეფიციენტმა შეადგინა 112. 2007 წლიდან მოყოლებული კლების ტენდენცია უწყვეტ რეჟიმში გრძელდება, რაც ერთობ იმედისმომცემია. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მესამე ბავშვის გაჩენა, ხშირად უკავშირდება ვაჟის არყოლას და, გამომდინარე აქედან, მათში მეტად არის გამოხატული სქესის შერჩევის ტენდენცია, ვიდრე რიგითობით სხვა ბავშვების შემთხვევაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის საერთო კოეფიციენტის კლება ფიქსირდება 2005 წლიდან მაშინ, როცა მესამე ბავშვების შემთხვევაში, იგივე კლების ტენდენცია მხოლოდ სამი წლის შემდეგ აღინიშნება. ამ შემთხვევაში, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ 2003 წელი იყო წელი, როდესაც საქართველოში შობადობის რეკორდულად დაბალი წლიური მაჩვენებელი დაფიქსირდა (იხ. *გრაფიკი 3.1*) და შობადობის მაჩვენებელმა ზრდა დაიწყო მხოლოდ 2007 წლის შემდეგ. 2003-დან 2007 წლამდე პერიოდში პირველი და მეორე ბავშვები საქართველოში დაბადებული ბავშვების ჯამური რაოდენობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ (მაგ., 2003 წელს, პირველი და მეორე ბავშვების რაოდენობამ, სულ დაბადებული ბავშვების 90 პროცენტი შეადგინა). დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობის თვალსაზრისით, პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში დაფიქსირებული დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონები, სულ გაუჩინარებული გოგონების რაოდენობის ორ მესამედს შეადგენდა; მაშინ, როცა მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში, დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონები, სულ გაუჩინარებული გოგონების რაოდენობის ერთ მესამედია. აღნიშნული ხსნის იმ ფაქტს, რომ 2005 წლიდან დაფიქსირებულმა სტაბილურმა შემცირებამ დაუყოვნებელი ზემოქმედება იქონია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ჯამურ კოეფიციენტზე, რითაც შეინიღბა მესამე ბავშვების შემთხვევაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა 2007 წლამდე. უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში გაიზარდა შობადობის მაჩვენებლები და ასევე გაიზარდა მესამე და მომდევნო ბავშვების პროცენტული წილი, რომელიც გაორმაგდა 2002 წელს დაფიქსირებულ ყველაზე დაბალ მაჩვენებელთან შედარებით (9 პროცენტი) და 2014 წელს შეადგინა 18 პროცენტი. მესამე ბავშვების წილი, დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების ჯამურ რაოდენობაში, რეგულარულად იზრდებოდა გასული 15 წლის განმავლობაში – 33 პროცენტიდან 90-ზე მეტ პროცენტამდე. ამავდროულად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მკვეთრად დაეცა და, როგორც პირველ, ასევე მეორე ბავშვებს შორის ვაჟების სიჭარბე თითქმის აღმოიფხვრა.

ასევე საინტერესოა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები, რომლებიც სოციალურ და ეკონომიკურ მახასიათებლებს უკავშირდება. წინამდებარე მონოგრაფიის წინა ნაწილში აღწერილმა, 2010–2014 წლების მონაცემების საფუძველზე წარმოებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნულმა კლების ტენდენციამ საქართველოს საზოგადოებაზე სხვადასხვაგვარი ზემოქმედება იქონია. მაგ., წინა ანალიზის შედეგად, საქალაქო დასახლებებში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის უფრო დაბალი კოეფიციენტი დაფიქსირდა, ვიდრე სასოფლო დასახლებებში. თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს ახალ მოვლენას, ვინაიდან მოსახლეობის 2002 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ზრდა გაცილებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სასოფლო დასახლებებში, ვიდრე საქალაქო დასახლებებში. 2000–2004 წლებში, ანუ პერიოდში, რომლის დროსაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე მასშტაბური დარღვევა აღინიშნა, აღნიშნული თანაფარდობის კოეფიციენტმა სასოფლო დასახლებებში შეადგინა – 118, მაშინ, როცა საქალაქო დასახლებებში დაბადებული ბიჭების თვალსაზრისით, 110–ზე მაღალი კოეფიციენტი არ დაფიქსირებულა. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შემცირება თითქმის პარალელურად მიმდინარეობდა სასოფლო და საქალაქო დასახლებებში, თუმცა მათ შორის მუდმივი სხვაობა წლების განმავლობაში უცვლელი იყო. ახლა, როდესაც საქალაქო დასახლებებში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი 105–ს მიუახლოვდა, საქალაქო და სასოფლო დასახლებებს შორის სხვაობა მცირდება და, 2016 წლის შეფასებით, რომელიც დაბადების რეგისტრის მონაცემებს ეფუძნება, საქართველოს სასოფლო დასახლებებში ყოველ 100 გოგონაზე მხოლოდ 108 ბიჭი მოდის.

მსგავსი ანალიზი შეიძლება ჩატარდეს საქართველოს რეგიონებშიც. ჯერ კიდევ მოსახლეობის 2002 წლის აღწერის პერიოდში, მნიშვნელოვანი სხვაობები ფიქსირდებოდა საქართველოს რეგიონებს შორის. 2000–2004 წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, ქ. თბილისსა და გურიაში დაფიქსირებული 110–დან, ქვემო ქართლსა და სამცხე–ჯავახეთში დაფიქსირებულ 118–ის ფარგლებში მერყეობდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული აღნიშნული კოეფიციენტის კლება პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს, ქვეყნის მასშტაბით. უფრო „განვითარებულ“ რეგიონებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა საბოლოოდ ნორმის ფარგლებს – 105 – მიაღწია, მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე რამდენიმე წლით ადრე მაშინ, როცა დანარჩენ რეგიონებში კლების ტენდენცია ჯერ კიდევ გრძელდება. ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა სამეგრელო და აჭარა, კლება საკმაოდ მკვეთრად მიმდინარეობს და შესაძლებელია, ამ რეგიონების მაჩვენებლები, მოცემულ მომენტში, ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე რეგიონების მონაცემებს უთანაბრდებოდეს. აღნიშნული რეგიონებისაგან განსხვავებით, კლება საკმაოდ ნელა მიმდინარეობს საქართველოს სამხრეთითა და სამხრეთ–აღმოსავლეთით მდებარე რეგიონებში, დაწყებული სამცხე–ჯავახეთიდან, დამთავრებული კახეთის რეგიონით, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, დღესაც საკმაოდ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (თითქმის 111 ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე).

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემების გამოყენებით, შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ როგორ განვითარდება მოვლენები გრძელვადიან პერსპექტივაში. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო წარმოადგენს ერთადერთ წყაროს, რომელიც დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების წლიური მაჩვენებლების უწყვეტ ჯაჭვს გვაწვდის 1990–იანი წლებიდან მოყოლებული.[26] აღნიშნული წყაროდან მოპო–

26 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები, რომელთა საფუძველზეც არის შედგენილი მოცემული რუკები, შესაძლებელია განსხვავდებოდეს სხვა წყაროების ანალოგური

ვებული მონაცემების ხარისხი უტყუარია, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ასახავს ქვეყნის მასშტაბით არსებულ სიტუაციას (იხ. *გრაფიკი 5.4*), თუმცა რეგიონების დონეზე წარმოებული გამოთვლები, შესაძლოა, ზუსტად არ ასახავდეს რეალურ სიტუაციას, საკვლევი კოჰორტის მცირერიცხოვნობის გამო. აღნიშნული მონაცემები ჩვენ ხუთწლიან პერიოდებად დავაჯგუფეთ. შედეგად მიღებული რუკები წარმოდგენილია *გრაფიკზე 5.8* და ქვეყანაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ციკლის გრაფიკულ აღწერას გვაწვდის.

პირველ რუკაზე ნაჩვენებია, რომ თავდაპირველი ზრდა, რომელიც 1990–94 წლებში დაფიქსირდა, უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. ქ. თბილისსა და სამხრეთ რეგიონებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ნორმის ფარგლებში დარჩა, თუმცა ერთ რეგიონში ამ კოეფიციენტმა 110-ს მიაღწია.

ხუთი წლის შემდეგ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებმა მოიცვა მთელი ქვეყანა. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებმა კახეთსა და ქვემო ქართლში 115-ს მიაღწია. 2000–2004 წლებში, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელმა პიკს მიაღწია და, ერთ რეგიონში, 120-ს გადააჭარბა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ შემცირდა და საქართველოს მხოლოდ რამდენიმე რეგიონი მოიცვა. შემცირების ტენდენცია მხოლოდ 2010 წლის შემდეგ დაფიქსირდა საქართველოს ყველა რეგიონში (გარდა სამისა) და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მეტ-ნაკლებად ნორმის ფარგლებში მოიქცა. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა მხოლოდ ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე იმ რეგიონებში შენარჩუნდა, რომლებიც აზერბაიჯანსა და სომხეთს ესაზღვრება.

აღნიშნული გარდამავალი ეტაპის შესწავლა შესაძლებელია იმ რეგიონების შესახებ მონაცემების საშუალებით, რომლებშიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი კოეფიციენტები ფიქსირდება. *გრაფიკზე 5.9* წარმოდგენილია მონაცემები რეგიონების ორი ჯგუფის შესახებ, რომლებიც მოიცავს პერიოდს 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული. რეგიონების პირველ ჯგუფში შესულია ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სამი რეგიონი – სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი – რომლებშიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება. რეგიონების მეორე ჯგუფში შესულია ქვეყნის სამი რეგიონი – ქ. თბილისი და ქვეყნის დასავლეთით მდებარე რეგიონები: გურია და სამეგრელო და ზემო სვანეთი – რომლებშიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყველაზე დაბალი კოეფიციენტი ფიქსირდება. რეგიონების ჯგუფების მონაცემები ჩასწორდა (მცოცავი საშუალო მაჩვენებლის გამოყენებით) წლიური ცვლილებების აღმოფხვრის მიზნით.

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის საშუალო მაჩვენებლებთან შედარება გარკვეულ ინფორმაციას იძლევა. საერთო ჯამში, აღნიშნული მონაცემები მსგავს ტენდენციას ავლენს: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ზრდას განიცდის 2000-იან წლებში, რის შემდეგაც მაღალი კოეფიციენტი ნარჩუნდება მცირე პერიოდით და საბოლოოდ კლებას განიცდის დღევანდელ დღემდე. თუმცა რეგიონებს შორის სხვაობა იკვეთება ისეთ პატარა ქვეყანაშიც, როგორიც საქართველოა და *გრაფიკზე 5.9* მოცემულია, თუ როგორ ნარჩუნდება აღნიშნული სხვაობა სრული საკვლევი პერიოდის განმავლობაში. რეგიონებში, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი დაბალია და რომელთა შორისაც წამყვანი ადგილი ქ.

მონაცემებისაგან, როგორიცაა მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებული მონაცემები ან დაბადების რეგისტრის მონაცემები, რომლებიც აქამდე გვქონდა გამოყენებული.

გრაფიკი 5.8: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, რეგიონების მიხედვით, 1990–2016 წლებში



წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

თბილისს უჭირავს, თავდაპირველი ზრდა ზომიერ ფარგლებში მიმდინარეობდა და 110 ნიშნულზე შეწყდა 2000 წელს, რის შემდეგაც დაიწყო ეტაპობრივი შემცირება და საბოლოოდ, 2014 წელს, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ნორმას დაუბრუნდა. ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებისას, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ზრდა, აღნიშნულ სამ რეგიონში, უფრო მცირე დროის მანძილზე გრძელდებოდა და ნაკლებად გამოკვეთილი იყო, ხოლო რაც შეეხება კლების ტენდენციას, ამ სამ რეგიონში აღნიშნული ტენდენცია რამდენიმე წლით ადრე დაიწყო.

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი

გრაფიკი 5.9: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები, საქართველოს რეგიონების ორი სხვადასხვა ჯგუფისათვის



წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა დამუშავების საფუძველზე მიღებული ჩასწორებული მონაცემები

თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტის მქონე რეგიონების ჯგუფში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ზრდა, 1990-იან წლებში, უფრო სწრაფად მიმდინარეობდა და ეს ტენდენცია მხოლოდ 2003 წლისთვის დასრულდა, რა დროსაც დაფიქსირდა დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების რეკორდული მაჩვენებელი: 120. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კლება მხოლოდ 2006 წლიდან იწყება, ე.ი. ქ. თბილისში და საქართველოს დასავლეთით მდებარე რეგიონებში აღნიშნული ტენდენციის დაფიქსირებიდან დაახლ. 5 წლის შემდეგ. გასული ათი წლის განმავლობაში კლება უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა. უახლესი მონაცემებით დგინდება, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე აღნიშნულ რეგიონებში კვლავ 112-ს შეადგენს, რომელიც არასდროს დაფიქსირებულა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დაბალი კოეფიციენტის მქონე ქვეყნებში. იმ შემთხვევაში, თუ კლების ტენდენცია ამავე ტემპით გაგრძელდება მომავალშიც, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში ნორმის ფარგლებს ვერ მიაღწევს 2020-იანი წლების შუა პერიოდამდე. ქვევით მოცემული ანალიზის შედეგად ვლინდება რეგიონებს შორის არსებული მკვეთრი სხვაობების მიღმა არსებული ტენდენციები, ეთნიკური ჯგუფების მიხედვით.

სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიებს შორის სხვაობები გაცილებით კომპლექსურია. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის დროს დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობის დონე მეტ-ნაკლებად უცვლელი რჩება, იმ გარემოშიც კი, რომელშიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის მასშტაბები მცირდება, რასაც დღესდღეობით აქვს ადგილი, ქვეყნის დონეზე ამ კოეფიციენტის შემცირების გავლენით. მაგ., 2002 წლის მონაცემებმა აჩვენა, რომ რაც უფრო დაბალია ქონებრივი კვინტილი, მით უფრო მაღალია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი: უმდიდრესი კვინტილის შემთხვევაში აღნიშნული კოეფიციენტი 109-ს შეადგენს, ხოლო უღარიბესი კვინტილის შემთხვევაში – 113-ს. დაბადებისას სქეს-

თა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირება დაიწყო 2004 წელს, რის შედეგადაც, 2014 წელს, სამი უმაღლესი კვინტილის შემთხვევაში აღნიშნული კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში დაბრუნდა. იგივე პერიოდში, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის შემცირება დაფიქსირდა ორ ყველაზე დაბალ ქონებრივ კვინტილში, კერძოდ, თუ 2000–2005 წლებში აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენდა 117-ს, ათი წლის შემდეგ ამ კოეფიციენტმა შეადგინა 112. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლება აღინიშნება ამ უღარიბესი კატეგორიების შემთხვევაშიც და, სავარაუდოდ, მოსახლეობის ამ კატეგორიებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებს დაუბრუნდება მომავალი ათი წლის განმავლობაში. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, მდიდარი და განათლების მაღალი დონის მქონე იმ ოჯახების შემთხვევაში, რომლებსაც სულ მცირე ორი გოგონა ჰყავთ და არც ერთი ვაჟი, ძალიან მაღალი იყო და შეადგენდა 190 ახალშობილ ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე. როგორც აღწერიდან დავინახეთ, დღესდღეობით ვითარება სხვაგვარად არის. იმ ოჯახების შემთხვევაშიც კი, რომლებსაც არ ჰყავთ ვაჟი, რაც უფრო მაღალია ქონებრივი კვინტილი ან შინამეურნეობის წევრთა განათლების დონე, მით უფრო დაბალია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი.

ყურადღებას იპყრობს ასევე სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა. მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ აჩვენა, რომ იმ შინამეურნეობებში, რომელთა წევრებიც სოფლის მეურნეობაში არიან დასაქმებული, უფრო მეტად არის დარღვეული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა. აღნიშნული ვითარებაა დღესდღეობითაც. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის სწრაფი კლების მიუხედავად, რომელიც 2003–2006 წლებში 128-ს შეადგენდა, ხოლო 2011–2014 წლებში 112-მდე ჩამოვიდა – იმ შინამეურნეობებში, სადაც პირველად ჩაწერილი პირი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა გაცილებით მეტად არის დარღვეული, ვიდრე სხვა ეკონომიკური პროფილის მქონე შინამეურნეობების შემთხვევაში. საპირისპირო ვითარებას ვხვდებით იმ შინამეურნეობებში, რომელთა პირველად ჩაწერილი პირის არსებობის საშუალებათა წყაროს ხელფასი წარმოადგენს და ასევე იმ შინამეურნეობებში, რომლებიც სოციალური დახმარებით სარგებლობენ. ამ ორი კატეგორიის შინამეურნეობებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ყველაზე დაბალია.[27] იმ შინამეურნეობების შემთხვევაში, რომლის პირველად ჩაწერილი პირიც სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის სწრაფ ზრდას ჰქონდა ადგილი 2005 წლამდე პერიოდში და ამ კოეფიციენტის ნორმიდან მნიშვნელოვანი გადახრა დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლებამ სისტემატური ხასიათი მიიღო, ზემოაღნიშნული შინამეურნეობები ამ თვალსაზრისით ჩამორჩებიან სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს, რომელთა შემთხვევაშიც, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლება შედარებით დაბალი ნიშნულიდან დაიწყო.

დაბოლოს, ჯეროვანი იქნება განვიხილოთ სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებში არსებული სიტუაცია. ამოცანის გამარტივების მიზნით ჩვენი ანალიზის საგანი იქნება ეთნიკურობა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობაში, ვიდრე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმრავლესობის შემთხვევაში.

27 უკანასკნელი მახასიათებელი ერთგვარ კითხვებს ბადებს, ვინაიდან, როგორც წესი, სოციალური დახმარებით სარგებლობენ ყველაზე დაბალი ქონებრივი კვინტილის შინამეურნეობები.

ცხრილში 5.6 მოცემულია ამ თვალსაზრისით არსებული ტენდენციების ანალიზი, რომელიც ემყარება მოსახლეობის 2014 წლის შედეგების საფუძველზე მიღებულ მონაცემებს.

ცხრილი 5.6: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ეთნიკურობისა და პერიოდების მიხედვით, 1995–2014 წლები

	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	სხვა	საქართველო
1995–99	110,4	125,0	113,5	116,0	111,6
2000–04	112,1	126,6	122,7	108,8	113,6
2005–09	110,2	127,7	118,1	111,7	111,9
2010–14	107,3	125,5	117,4	115,1	109,0

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშება

ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის შემთხვევაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის უმაღლესი კოეფიციენტი დაფიქსირდა 2000–2004 წლებში. ამ პერიოდის შემდეგაც აღნიშნულმა კოეფიციენტმა კლება განიცადა და, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მომენტისთვის, შეადგინა 117. თუმცა, ამავე პერიოდში, სხვა ეთნიკურ ჯგუფებში განსხვავებული ტენდენცია შეინიშნებოდა.[28] ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის შემთხვევაში, 2000–2004 წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა მიაღწია პიკს და შეადგინა 123, ხოლო ამ წლების შემდგომ პერიოდში, აღნიშნული კოეფიციენტის კლება ნაკლები ინტენსიურობით წარიმართა და ამჟამადაც ნარჩუნდება ძალიან მაღალ ნიშნულზე, ანუ 117-ზე. ფაქტობრივად, დღესაც დავის საგანია, რეალურად განიცადა თუ არა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა კლება ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში. რაც შეეხება ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას, მათ შემთხვევაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლებას, საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ფაქტობრივად არ ჰქონია ადგილი. ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა ყველაზე ადრე განიცადა ზრდა და მიაღწია ყველაზე მაღალ ნიშნულს – 125 ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე – რის შემდეგაც აღნიშნულ ნიშნულზე შენარჩუნდა 2010–2014 წლებამდე. მოსახლეობის აღნიშნულ ჯგუფში, მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე 20 წლით წინმსწრებ პერიოდში, ამ თვალსაზრისით გარდატეხის ნიშნები არ იკვეთება. დამატებითი მონაცემების მიხედვით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლება მართლაც აღინიშნება მუსლიმ მოსახლეობაში, თუმცა აღნიშნული ტენდენცია მუსლიმ ქართველებს – შორის დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლების ხარჯზე ხორციელდება და არა ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში ამ კოეფიციენტის კლების ხარჯზე. ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით გაცილებით უფრო მკვეთრი სხვაობა არსებობს, ვიდრე საქართველოს რეგიონებს შორის.

5.5 დასკვნითი შენიშვნები

როგორც დავინახეთ, საქართველოში, შთამომავლობის გენდერული შემადგენლობა გადამწყვეტ როლს თამაშობს წყვილების რეპროდუქციული სტრატეგიების განსაზღვრაში, ვინაიდან მათ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სულ მცირე ერთი ვაჟის ყოლა. აღნიშნული მიზანი განაპირობებს აქტიურ დისკრიმინაციულ ქცევას და, საბოლოო ჯამში,

28 დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები გაერთიანებულია „სხვა ეთნიკური ჯგუფების“ კატეგორიაში, რათა თავიდან ავიცილოთ საკვლევი ჯგუფების მცირერიცხოვნობით გამოწვეული არასისტემატური წლიური ცვლილებების გავლენა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის გამოთვლაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსულენოვან მოსახლეობაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის აშკარა ზრდა შეინიშნება 2005 წლის შემდგომ პერიოდში.

ქვეყნის მასშტაბით, ისეთი დემოგრაფიული მაჩვენებლის დარღვევას იწვევს, როგორიცაა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა. მიუხედავად იმისა, რომ სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკა საქართველოში არ არის ისე გავრცელებული, როგორც აზერბაიჯანსა თუ ჩინეთში, ჩვენი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული პრაქტიკა საქართველოში იმაზე მეტად ფეხმოკიდებულია, ვიდრე თავიდან ვივარაუდეთ. სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკა საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული და ვხვდებით სასოფლო და საქალაქო დასახლებებში, განათლების, როგორც მაღალი ასევე დაბალი დონის მქონე მოსახლეობაში, პირველი ბავშვებისა და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად არის თუ არა ცდომილება ჩვენ მიერ წარმოებულ გამოთვლებში. საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის ეს უკანასკნელი ასპექტი ერთობ უჩვეულოა, ვინაიდან მსგავსი პრობლემის მქონე სხვა ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, როგორც წესი, ნორმის ფარგლებში რჩება პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში და მხოლოდ მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში ავლენს ზრდის ტენდენციას.

უნდა აღინიშნოს, რომ სქესის პრენატალური შერჩევა არ წარმოადგენს ვაჟის ყოლის უზრუნველყოფის ერთადერთ გზას. მიუხედავად იმისა, რომ, ამჟამად, საქართველოში შობადობის დონე აღწარმოების დონეზე დაბალია, ზოგიერთი ოჯახის შემთხვევაში ვაჟის ყოლის მიზანი მიიღწევა მომდევნო ბავშვების გაჩენის საშუალებით. ეს მეთოდი არ საჭიროებს სქესის პრენატალურ დიაგნოსტიკას ან შერჩევით აბორტს და არ ახდენს გავლენას დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელზე, არამედ გულისხმობს კონტრაცეპციის გამოყენებას მას შემდეგ, რაც ბავშვების სქესის სასურველი შემადგენლობა მიიღწევა. თუმცა კიდევ ერთხელ დაორსულება, ვაჟის გაჩენის იმედით, პანაცეას არ წარმოადგენს. ამ მეთოდს ფაქტობრივად, რამდენიმე უარყოფითი მხარე აქვს: მაგ., 50 პროცენტიანი ალბათობა იმისა, რომ შეიძლება დაიბადოს გოგონა, აღნიშნულ სტრატეგიას არასაიმედოს ხდის. გარდა ამისა, ქალებს დამატებითი ორსულობა მძიმე ტვირთად აწვებათ, მოქმედებს რა მათ ჯანმრთელობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და, არცთუ იშვიათად, ზემოქმედებას ახდენს უკვე გაჩენილ ბავშვებსა და ოჯახზე.

მიუხედავად იმისა, რომ შერჩევითი აბორტების რაოდენობამ იკლო, რაზეც მეტყველებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის მკვეთრი შემცირება, ჩვენ მიერ წარმოებული კვლევა გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ საქართველოში ჯერ კიდევ უპირატესობას ვაჟებს ანიჭებენ. შერჩევითი აბორტები, ოჯახების ნაწილის შემთხვევაში, მომდევნო ბავშვების გაჩენით არის ჩანაცვლებული, ანუ სტრატეგიით, რომელსაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ და რომელიც ემსახურება ბავშვების სასურველი გენდერული შემადგენლობის მიღწევას. საქართველოში გენდერული ტენდენციურობის ზემოთ აღნიშნული და, ასევე, სხვა პოტენციური მიზეზები განხილულია შემდეგ თავში.

6. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების პოტენციური ფაქტორები - თვისებრივი შეფასება

როგორც წინა თავში მოცემული კვლევა ადასტურებს, საქართველოში, გასული 15 წლის განმავლობაში, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის კლება აღინიშნებოდა. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, რომელიც საკმაოდ მაღალ ნიშნულს აღწევდა (115), დღეს ბუნებრივ დონეს უახლოვდება. როგორც აღვნიშნეთ, სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, 1990-იანი წლების დასაწყისიდან დამკვიდრდა, ღრმად გამჯდარი პატრიარქალური ტრადიციებისა და არასტაბილურობის ერთობლივი მოქმედების შედეგად. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ზრდა იმ ღრმა კრიზისის შედეგია, რომელმაც მოიცვა ინსტიტუტები, ღირებულებები და სოციალური მოლოდინები და რომელიც საბჭოთა სისტემის მოშლისა და თანმდევი პოლიტიკური არეულობისა და ეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად წარმოიქმნა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში, ოჯახმა თავის თავზე იტვირთა დაცვის ფუნქცია, იმ საზოგადოებაში, რომელიც რეგულარულად განიცდიდა არეულობას და სადაც ოჯახში ვაჟების ყოლა იმაზე სასურველი გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

ადგილობრივი მახასიათებლების გარდა, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც, რომლებშიც მსგავსი პრობლემა არსებობს, მათ შორის საქართველოსაგან სრულებით განსხვავებული კულტურისა და გეოგრაფიული მდებარეობის ქვეყნებში, სქესის შერჩევის თვალსაზრისით არსებული ტენდენციების შესწავლა შესაძლებელია არა მხოლოდ ადგილობრივი მახასიათებლების გამოყენებით, არამედ უფრო ზოგად თეორიულ ჭრილში. ერთადერთი ზოგადი თეორია, რომელიც სქესის შერჩევის საკითხებს ესადაგება, გამოყოფს სამ აუცილებელ ფაქტორს; ეს ფაქტორებია: მაღალი მოთხოვნა ვაჟებზე, შობადობის დაბალი დონე და სქესის შერჩევისთვის საჭირო რეპროდუქციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა. თუმცა სქესის შერჩევა რთული ფენომენია და სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს, ფაქტორებისა, რომლებიც შესაძლებელია არ უკავშირდებოდეს მხოლოდ რეპროდუქციულ პრაქტიკასა და ოჯახების გენდერულ ნორმებს.

რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გამოსწორების ტენდენცია 2005 წლიდან იღებს სათავეს. 2000-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, საქართველომ რადიკალური გარდაქმნის პერიოდი გამოიარა, რომელმაც მოიცვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული სფეროები. აღნიშნულმა ცვლილებებმა, დიდი ალბათობით, ზემოქმედება იქონია საქართველოში არსებულ ღირებულებათა სისტემაზე და შეასუსტა ადგილობრივ კულტურაში ფესვგადგმული ტრადიციები. გენდერულ ტენდენციურობაზე აღნიშნული პროცესების გავლენა შესწავლას საჭიროებს.

6 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების პოტენციური ფაქტორები - თვისებრივი შეფასება

გრაფიკი 6.1: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები და დაბადებულთა რაოდენობა,[29] 1990–2016 წლებში



წყარო: დაბადების რეგისტრი; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; მოსახლეობის 2002 წლისა და 2014 წლის აღწერების შედეგების საფუძველზე მიღებული მონაცემები

წინამდებარე თავში განვიხილავთ საქართველოში 2000-იან წლებში განვითარებულ პროცესებს და შევეცდებით გამოვყოთ ის შესაძლო ფაქტორები, რომლებმაც სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის შესუსტებას შეუწყო ხელი. კონკრეტულად, ჩვენი კვლევა მოიცავს პრენატალური დისკრიმინაციის ხელშემწყობ სამ ფაქტორსა და იმ ცვლილებებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ ფაქტორებმა განიცადა საქართველოს უახლოეს წარსულში.

6.1 „შეზღუდვის" ფაქტორი: შობადობა

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საქართველოში შობადობის თვალსაზრისით არსებულ ტენდენციებზე და აღვნიშნეთ, რომ შობადობის მაჩვენებლის ზრდა საქართველოში 2005 წლიდან ფიქსირდება (იხ. *გრაფიკი 3.1*). მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში შობადობის ზუსტ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ერთგვარი გაურკვევლობა არსებობს, დანამდვილებით არის ცნობილი, რომ დაბადებულთა ყველაზე დაბალი რაოდენობა საქართველოში 2003 წელს დაფიქსირდა. მას მოყვა ჯერ 6 პროცენტიანი მატება 2007 წლამდე პერიოდში, ხოლო 2008 წლიდან მოყოლებული, ანუ პერიოდში, რომელიც მოჰყვა საქართველოს პატრიარქის მოწოდებას, რომელიც მრავალშვილიანი ოჯახების წახალისებას ემსახურებოდა, შობადობის მაჩვენებელი გაიზარდა და 2009–10 წლებში 34 პროცენტით გადააჭარბა 2003 წლის ანალოგურ მაჩვენებელს.[30] ამ პერიოდიდან მოყოლებული, შობადობის მაჩვენებელმა უმნიშვნელო კლება განიცადა, თუმცა მომდევნო წლებში, 2003

29 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებისა და შობადობის მაჩვენებელთა განსაზღვრა წარმოებს ხელმისაწვდომ მონაცემთა საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით (იხილეთ ტექსტი)

30 გაეროს 2017 წლის 5 წლიანი პერიოდის შეფასების თანახმად, შობადობის მაჩვენებელი 2000–2005 წელს დაფიქსირებული 1,58 მაჩვენებლიდან 27 პროცენტით გაიზარდა და 2010–15 წლებში შეადგინა 2,0.

წლის მაჩვენებელს 25 პროცენტით მაინც აღემატებოდა.

შობადობის მაჩვენებელსა და დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელს შორის არსებული კავშირი მოცემულია *გრაფიკზე 6.1.* გრაფიკზე წარმოდგენილი მონაცემები ეყრდნობა დაბადების რეგისტრისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ და, ასევე, მოსახლეობის 2002 წლისა და 2014 წლის აღწერების შედეგების საფუძველზე მიღებულ მონაცემებს და, როგორც შობადობის, ასევე დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლები წარმოადგენს ამ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული მონაცემების საშუალო არითმეტიკულს.

ზოგადად, დაბადებულთა რაოდენობა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობ ის თვალსაზრისით არსებული ტენდენციები უდავოდ კავშირშია ერთმანეთთან. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ზრდა დაფიქსირდა 1992 წლის შემდგომ პერიოდში, რა დროსაც ქვეყანაში მკვეთრად იკლო დაბადებულთა რაოდენობამ. მოგვიანებით, 1999–2005 წლებში, როდესაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობამ პიკს მიაღწია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საქართველოში შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება. თვალსაჩინოა, რომ შობადობის მკვეთრმა შემცირებამ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლასა და მის შემდეგ პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას მოჰყვა, განაპირობა ქართველი წყვილების გადაწყვეტილება, გამოეყენებინათ სქესის შერჩევის მეთოდი, არასასურველი სქესის ბავშვის გაჩენის თავიდან ასარიდებლად.

2005 წლის შემდეგ, შობადობის მაჩვენებლის ზრდის პარალელურად იკლო დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა: დაბადებისას ვაჟებისადმი მცირეუპირატესობისმინიჭებისმაჩვენებელმა პიკს მიაღწია 2004 წელს და შეადგინა 115, მას შემდეგ დაიწყო აღნიშნული მაჩვენებლის სისტემატური კლება და, 2010 წელს, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენდა 108-ს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული. გარდა ამისა, კვლევის შედეგად ვლინდება, რომ დაბადებულთა რაოდენობამ მცირედით დაიკლო 2009–2010 წლებში დაფიქსირებულ მაღალ მაჩვენებელთან შედარებით. ამის პარალელურად მცირდება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილების ტემპიც: დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელმა შეწყვიტა კლება 2010 წლის შემდეგ და მცირედით მოიმატა 2011–2012 წლებში, რა დროსაც აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 110. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობისა და შობადობის ტენდენციებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირიდან მცირედი გადახრა ფიქსირდება 2016 წელს, როდესაც, როგორც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის, ასევე დაბადებულთა რაოდენობის წინა მაჩვენებლებთან შედარებით შემცირების ტენდენცია გამოვლინდა.

ამ ეტაპზე, საჭიროა ხელახლა განვმარტოთ შობადობისა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. სქესის შერჩევის პრაქტიკის არასებობის შემთხვევაში, რაც უფრო მაღალია შობადობის მაჩვენებელი, მით უფრო დაბალია ვაჟის გარეშე დარჩენის ალბათობა. 2003–2010 წლების პერიოდში, პოტენციურად ვაჟის გარეშე დარჩენილი წყვილების პროცენტული წილი, სავარაუდოდ, დაახლ. ერთი მესამედით შემცირდა – 34 პროცენტიდან 24 პროცენტამდე. 2003 წლის შემდგომ პერიოდში შობადობის ზრდის ტენდენციამ განაპირობა მხოლოდ გოგონების ამარა დარჩენის ალბათობის შემცირება. თუმცა აღნიშნული ალბათობის სრულად გამორიცხვა არ ხდება: წყვილების მნიშვნელოვანი პროცენტული წილის შემთხვევაში, ფაქტობრივად არსებობს ვაჟის გარეშე დარჩენის ალბათობა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთ ქალზე ბავშვების საშუალო რაოდენობა აღწარმოების დონეს

უახლოვდება.[31] აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შობადობის ზრდა სქესის შერჩევის მეთოდის გამოყენების შემცირებას განაპირობებს, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება იყოს საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში დაფიქსირებული დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის შემცირების ერთადერთი მიზეზი. იგივე შეიძლება ითქვას 1990–იანი წლების საწყის პერიოდზე: საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, შობადობის მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალი იყო ანუ მცირედით აღემატებოდა აღწარმოების დონეს. თუმცა მხოლოდ აღნიშნული ტენდენცია არ განაპირობებდა სქესის შერჩევის პრაქტიკის არარსებობას, ვინაიდან შობადობის მოცემული დონის პირობებში და სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის არარსებობის პირობებში, ბევრი წყვილი მაინც ვაჟის გარეშე დარჩა.

აშკარა სხვაობა არსებობს შობადობისა და სქესის შერჩევის ქცევაში ცვლილებების მასშტაბებს შორის. ეკონომიკურ ჭრილში, აღნიშნული ორი მიმართულებით მიმდინარე ცვლილებებს შორის ურთიერთდამოკიდებულება შეგვიძლია განვიხილოთ ზემოქმედების ხარისხის კუთხით. შობადობის ზემოქმედების ხარისხი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე ძალიან მაღალია: შობადობის მაჩვენებლის შედარებით ზომიერი ცვლილებაც კი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს წყვილების გადაწყვეტილებაზე მიმართონ სქესის შერჩევის მეთოდს. მაგ., 1990–იან წლებში შობადობის შემცირებამ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის სწრაფი ზრდა გამოიწვია, რაც შემდგომი 10 წლის მანძილზე გაგრძელდა. და პირიქით, 2003 წლის შემდეგ პერიოდში, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ზრდამ, რომელმაც, არსებული შეფასებით, 2010 წლისთვის, 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით 30 პროცენტით მოიმატა, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის ერთი შეხედვით შეუქცევადი კლება გამოიწვია. რატომ არის ასეთი მაღალი შობადობის ზემოქმედების ხარისხი და რატომ იწვევს დაბადებულთა რაოდენობის მცირედი მერყეობა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მასშტაბურ დარღვევას? წარსულში და დღესდღეობით მიმდინარე პროცესები, სადაც ერთ შემთხვევაში, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი აღწარმოების დონეს მცირედით აღემატება და, მეორე შემთხვევაში, მცირედით ჩამოუვარდება – აღნიშნული პარადოქსის ილუსტრირებას წარმოადგენს. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები ფაქტობრივად არ ფიქსირდებოდა 1991 წელს და არც 2016 წელს, თუმცა ორივე პერიოდში დაფიქსირებული შობადობის დონე ნიშნავდა იმას, რომ წყვილების 20–24 პროცენტი ვაჟის გარეშე დარჩებოდა, თუ ისინი არ მიმართავდნენ სქესის შერჩევის მეთოდს. ამ ეტაპზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სქესის შერჩევის პრაქტიკაზე შობადობის მაღალი ან დაბალი მაჩვენებლის გავლენას, როგორც ჩანს, სხვა პროცესები აძლიერებს.

6.2 მიწოდების ფაქტორი: ტექნოლოგია

მოცემული თავის წინა ნაწილში ვისაუბრეთ იმ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობს შერჩევითი აბორტების სიხშირესა და შობადობის ტენდენციებში ცვლილებებს შორის. თუმცა ასევე აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ შობადობის ტენდენციებით შეუძლებელია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილების ახსნა და, რომ საჭიროა სხვა კონტექსტუალური პროცესების გათვალისწინება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1990–იან წლების დასაწყისში შექმნილ ვითარებაში იკვეთება ის როლი, რომელიც ახალი ულტრაბგერითი გამოკვლევების უცაბედმა ხელმისაწვდომობამ ითამაშა. ქვეყნის მასშტაბით, სქესის შერჩევის ახალი ტექნოლოგიების შემოტანამ და ჯანდაცვის

31 იმ შემთხვევაში, თუ წყვილები არ მიმართავენ სქესის შერჩევის პრაქტიკას, მათ 22 პროცენტს არ ეყოლება ვაჟი, თუ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შეადგენს 2.1 ბავშვს ერთ ქალზე.

კერძო ერთეულების ჩამოყალიბებამ, რომლებიც სქესის შერჩევის მომსახურებას სთავაზობდა მოსახლეობას, გარდამტეხი როლი ითამაშა 1990–იანი წლების დასაწყისში მიმდინარე მოვლენებში. რეპროდუქციულ ტექნოლოგიებში განხორციელებულმა რევოლუციურმა ცვლილებებმა მოვლენების განვითარების მიმართულება შეცვალა, იმ გაგებით, რომ პრენატალური დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომობამ პირველად მისცა საშუალება წყვილებს თავად განესაზღვრათ შვილების სქესი და ემართათ საკუთარი ოჯახების გენდერული შემადგენლობა. 2005 წლის შემდეგ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლება, უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის დამსახურებაა.

გასული 20 წლის განმავლობაში, თითქმის არანაირი ცვლილება არ მომხდარა ულტრაბგერითი კვლევის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. სხვადასხვა ტიპის რეპროდუქციული მომსახურება, რომელსაც საქართველოში არსებული ჯანდაცვის ცენტრები სთავაზობდა მოსახლეობას, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. ქვეყანაში არსებული რეპროდუქციული პროფილის კლინიკები მსოფლიოში ცნობილი გახდა, მომსახურების ფართო არჩევანს სთავაზობდა რა საზღვარგარეთიდან ჩამოსულ პაციენტებს. დღესდღეობით ულტრაბგერითი კვლევის ღირებულება ხელმისაწვდომია და ამგვარი მომსახურების მიმწოდებელი კლინიკები და სამედიცინო დაწესებულებები – რომელთა 80 პროცენტი კერძო დაწესებულებას წარმოადგენს – საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა ქალაქში მდებარეობს. გარდა ამისა, საქართველოში არ მოქმედებს კანონი, რომელიც პრენატალურ დიაგნოსტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. აზიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ხელისუფლებები შეეცადნენ მონიტორინგი დაეწესებინათ ან აეკრძალათ სქესის დადგენა ორსულობის პერიოდში, საქართველოს არ შემოუღია მსგავსი კანონმდებლობა. შესაბამისად, ორსულებს თავისუფლად მიუწვდებათ ხელი აღნიშნულ მომსახურებაზე. დამატებით, აბორტის[32] წინააღმდეგ, საქართველოში, არანაირი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბერკეტი არ არის შემოღებული. მიუხედავად იმისა, რომ არ წყდება მოთხოვნა რელიგიური ორგანიზაციების მხრიდან, აბორტების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით,[33] ქალებისათვის აბორტი მარტივად ხელმისაწვდომია და გადამწყვეტ როლს თამაშობს შობადობის კონტროლის საქმეში.

თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდები დაიხვეწა და შედეგად შემცირდა ხელოვნური აბორტების სიხშირე, ერთ–ერთი კვლევის მონაცემების თანახმად (Serbanescu, Stupp & Westoff, 2010). ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკით, ქვეყანაში არ დასტურდება აბორტების წლიური რაოდენობის კლების ტენდენცია. ნაცვლად ამისა იგივე მონაცემები, გასული 10 წლის განმავლობაში, აბორტების წლიური რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდაზე მიანიშნებს – წლიურად საშუალოდ 23 000–დან 35 000 აბორტამდე. აღნიშნული ტენდენცია შესაძლებელია ასევე ასახავდეს აბორტების რეგისტრაციის თვალსაზრისით ვითარების გაუმჯობესებას.

მიუხედავად იმისა, რომ შერჩევითი აბორტების რაოდენობა რეალურად შემცირდა, რასაც ადასტურებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნორმის ფარგლებში შენარჩუნებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, არ არსებობს მიზეზი ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ტენდენცია, თუნდაც ნაწილობრივ, უკავშირდება ტექნოლოგიებისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შემცირებულ დონეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება მესამე ფაქტორის – მოთხოვნის ფაქტორის შესწავლის აუცილებლობა.

32 საჭიროა აღინიშნოს, რომ შერჩევითი აბორტები საქართველოში არასასურველი ორსულობის შეწყვეტის მიზნით წარმოებული აბორტების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ მცირე პროცენტულ წილს შეადგენს.

33 მაგალითად, საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ 2013 წლის სააღდგომო ეპისტოლეში დაგმო აბორტი და უწოდა მას „უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა“. აბორტი აიკრძალა აფხაზეთში, საქართველო, 2016 წელს, შობადობის მაჩვენებლის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

6.3 მოთხოვნის ფაქტორი: ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება

შერჩევითი აბორტების რაოდენობის კლება, გარდა იმისა, რომ უკავშირდება შობადობის მაჩვენებლის ცვლილებას, შესაძლებელია, საბოლოო ჯამში, იყოს ვაჟებზე მოთხოვნის შემცირების, ან, სულ მცირე, კულტურით განპირობებული, ვაჟის გაჩენის აუცილებლობის მოხსნის შედეგი. ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება საკმაოდ რთული კულტურული ინსტიტუტის ნაწილია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკასა და მოლოდინებს. ის კონტექსტუალური ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიონ მასზე, არ შემოიფარგლება მხოლოდ გენდერული დისკრიმინაციის სფეროთი. ფაქტობრივად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების ანალიზი შეუძლებელია სრულყოფილად წარიმართოს იმ ღრმა ინსტიტუციური ცვლილებების გათვალისწინების გარეშე, რომელსაც განიცდის ქვეყანა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ დონეებზე. გამოცდილებით დგინდება, რომ ამგვარი ტრანსფორმაციების პერიოდში, ადგილი აქვს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირებას. ამგვარი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა კულტურული პროფილი და სოციალური დამოკიდებულებები და ამან გრძელვადიანი გავლენა იქონია ქართველთა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაზე. ამავდროულად, გასული 15 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანად შეიცვალა სქესთა შორის ურთიერთობებიც, როგორც ოჯახებში, ასევე მათ ფარგლებს გარეთ, რამაც სავარაუდოდ გოგონებისა და ბიჭების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებებს შორის ზღვარი წაშალა. შესაბამისად, საჭიროა ამ ორივე პროცესის მიმოხილვა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს, ჩვენი კვლევის გამარტივების მიზნით მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ინსტიტუციური ცვლილებები

2000-იანი წლების დასაწყისში, ქვეყანაში ინიცირებულ მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცვლილებებს საფუძვლად დაედო უაღრესად სიმბოლური მოვლენა – ვარდების რევოლუცია. ვარდების რევოლუცია ცნობილია იმით, რომ მის შედეგად მშვიდობიანი გზით განხორციელდა იმ ხელისუფლების დამხობა, რომლის რეპუტაციაც განუწყვეტლივ ეცემოდა და რომელიც დღითიდღე კარგავდა ხალხის მხარდაჭერას. ის ნომენკლატურა, რომელიც დიდწილად საბჭოთა რეჟიმის გადმონაშთს წარმოადგენდა, ერთდროულად იყო არაეფექტური, კორუმპირებული და არ შეეძლო რეაგირება ქვეყნის წინაშე მდგარ ეკონომიკურ გამოწვევებზე, რომლებიც მოიცავდა მზარდ სიღარიბეს, ფართოდ გავრცელებულ უმუშევრობას, სახელმწიფოს მიერ სოციალური მომსახურების გაწევის შეფერხებას და ა.შ.[34] პროტესტის ტალღა აგორდა 2003 წლის ნოემბერში გამართული არჩევნების გაყალბების ფაქტების გამო, რაც საბოლოოდ მთავრობის დამხობით დამთავრდა. ახალი პრეზიდენტი წარმოადგენდა საზოგადოების ყველაზე პროდასავლურ ნაწილს (Sayin & Modebadze, 2014), რომელმაც მიზნად დაისახა ქვეყნის დემოკრატიზაცია და მოდერნიზაცია (Jones, 2006; Gilauri, 2017).

ძველი რეჟიმის დამხობის შემდგომ წლებში გატარებულმა პოლიტიკამ და განხორციელებულმა რეფორმებმა, ძირეულად შეცვალა საქართველოში არსებული ინსტიტუტები და ამ ინსტიტუტების მიმართ ჩვეულებრივი მოქალაქეების დამოკიდებულება. წარმოუდგენელია იმ კავშირის უგულებელყოფა, რომელიც 2003-2005 წლების შემდეგ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლებასა და რეჟიმის ცვლილებას შორის არსებობს. ინსტიტუციური გარდაქმნების გავლენა ღირებულებათა სისტემებზე დადასტურებულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, თუმცა ჩვენი ანალიზის ფარგლებში განვიხილავთ

34 საქართველოში აღნიშნული გარდამავალი პერიოდის მარცხის დეტალური აღწერა შეგიძლიათ იხილოთ სპეციალურ ნაშრომში (Wheatley, 2017).

ინსტიტუციური გარდაქმნების პოტენციურ გავლენას ოჯახის დინამიკასა და ოჯახებში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე. შესაბამისად, წინამდებარე ნაწილში მოკლედ განვიხილავთ 2000-იანი წლების დასაწყისიდან განხორციელებული ინსტიტუციური გარდაქმნების ძირითად კომპონენტებს, რომლებმაც, სავარაუდოდ, გავლენა იქონია გენდერულ ტენდენციურობაზე. კონკრეტულად, ჩვენი ანალიზი ეფუძნება სამ ძირითად კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ტენდენციას, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა 2000-იანი წლების დასაწყისში; ეს ტენდენციებია: 1) ახალი კულტურის, ძირითადად დასავლური კულტურის გავლენა; 2) საჯარო ინსტიტუტების გაძლიერება და კორუფციისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; და 3) სოციალურ-ეკონომიკური დაუცველობის დონის შემცირება.

ახალი კულტურული გავლენის შემოდინება გარდამავალ პერიოდში

2000-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველში ახალი კულტურის გავლენა აღინიშნება, რომელიც ძირითადად ევროპიდან და ა.შ.შ.-დან შემოვიდა და რომელმაც საგრძნობი გავლენა იქონია საქართველოში დამკვიდრებულ ცხოვრების წესზე. უფრო ფართო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სპექტრში, ქვეყნის ხელმძღვანელობის შეცვლის პარალელურად, ფუნდამენტული გარდატეხა მოხდა დიპლომატიურ და საგარეო ურთიერთობებში. რუსეთთან წლობით ნაშენები კავშირების შემდეგ, 2000-იან წლებში საქართველომ კავშირები გაამყარა დასავლეთთან – მაგ., წამოიწყო ევროკავშირსა და ნატოში გაერთიანების პროცესები.[35] დღესდღეობით, საქართველოს, კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის ყველაზე ახლო კავშირები აქვს დასავლეთთან (Sayin & Modebadze, 2014). იმ ექსპერტების თანახმად, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ, აღნიშნულ პროცესს თან ახლდა მედიის მხარდაჭერა და ენთუზიაზმით აღსავსე ნახევარ-პროპაგანდისტული მოწოდებები, რის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს წარმოჩენა ქვეყანად, რომელიც ღიაა მთელი მსოფლიოსათვის და რომელშიც დასავლეთ ევროპული შეხედულებები და ცხოვრების წესია დამკვიდრებული.

2000-იანი წლების დასაწყისიდან, ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ ქვეყანაში დასავლეთიდან წამოსულ სამომხმარებლო საქონელს გაუხსნა გზა, ამავდროულად, მიგრაციამ, ტურიზმის აყვავებამ და კულტურული პროდუქციისა და კომუნიკაციის ტრანსნაციონალურმა ნაკადმა ახალი სოციალური ნორმებისა და ღირებულებების გავრცელებას შეუწყო ხელი. ამ ყველაფერმა ზეგავლენა იქონია მოსახლეობის მოლოდინებსა და დამოკიდებულებებზე, ისევე, როგორც ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე. დღესდღეობით, სასოფლო დასახლებებშიც კი ფართოდ გამოიყენება სოციალური მედია და ინტერნეტ პლატფორმები, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიერ. 30 წლის ქალმა, ქ. თელავიდან, ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თავის მომავალი მეუღლე ინტერნეტის საშუალებით გაიცნო, კერძოდ, YouTube-ზე განთავსებული ვიდეოს დახმარებით. ახალგაზრდების გემოვნება და არჩევანი დასვენებისა და გართობის საშუალებებთან დაკავშირებით ემთხვევა მათი დასავლელი თანატოლების გემოვნებასა და არჩევანს. ქ. თბილისი წარმოადგენს ქალაქს, სადაც ახალი ტენდენციები იბადება, აქტიური ღამის ცხოვრებითა და კულტურული ღონისძიებებით, რომლებშიც მონაწილეობენ ახალგაზრდა ქალები და მამაკაცები. გარდა ამისა, საქართველოს დედაქალაქში წარმოდგენილია მოდის, სწრაფი კვებისა და ა.შ. ყველა ძირითადი საერთაშორისო ბრენდი.

თეორიულად, ახალი კულტურის გავლენას ხელი უნდა შეეწყო სქესის შერჩევის ტენდენციის მინელებისთვის, იმ ტრადიციებისა და ღირებულებების შესუსტებით, რომლებიც საფუძვლად უდევს პატრიარქალურ ოჯახს. ერთ-ერთმა სოციოლოგმა,

35 ამ მიზნით, 2014 წელს შეიქმნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტრო და ევროკავშირთან პარტნიორული ურთიერთობა ხორციელდებოდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მეშვეობით. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.eu-nato.gov.ge/

ვისაც ჩვენ ქ. თბილისში ვესაუბრეთ, განაცხადა, რომ ახალი კულტურის გავლენამ, ნაწილობრივ მაინც, განაპირობა ზოგადად გენდერული ურთიერთობების გაუმჯობესება. უფრო კონკრეტულად, გავრცელდა უფრო მოქნილი და გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული იდეები ინტიმური ურთიერთობების შესახებ, ასევე დამკვიდრდა ახალი სოციალური როლები და ინდივიდუალობის გრძნობა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ტრადიციული ოჯახის ზოგ პრინციპს. თუმცა ზოგიერთი პრაქტიკა, ისევე, როგორც ზოგი ტაბუირებული საკითხი თუ სოციალური შეზღუდვა ცვლილებებისადმი შეუვალი აღმოჩნდა და, შესაბამისად, უცვლელი დარჩა, მიუხედავად ახალი ცხოვრების წესს დამკვიდრებისა და ახალი კულტურის გავლენისა, განსაკუთრებით ოჯახის შიგნით. ერთ-ერთმა სოციოლოგმა, რომელსაც ჩვენ ინტერვიუ ჩამოვართვით ქ. თბილისში, დაადასტურა ზემოთქმული და განაცხადა, რომ: *„ევროპა მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს საქართველოსთვის, თითქმის ყველა ასპექტში გარდა ორისა: ესენია ოჯახი და სქესობრივი ქცევა“*. კულტურის სფეროში განხორციელებული აღნიშნული ცვლილებების საბოლოო გავლენა ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენციაზე რთული შესაფასებელია, თუმცა ეს ცვლილებები უდავოდ აისახა ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისკენ მიმართულ უფრო ზოგად პროცესზე, რის შესახებაც ამავე თავში გვექნება საუბარი, ცოტა მოგვიანებით.

საჯარო დაწესებულებების გაძლიერება და მოდერნიზაცია

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც პოტენციურად ხელი შეუწყო პატრიარქალური ოჯახის ნორმებისა და ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების შემსუბუქებას, არის ის გარდაქმნები, რომლებიც საჯარო სფეროში განხორციელდა. იმ საპროტესტო აქციების დროს, რომლებიც ვარდების რევოლუციის ფარგლებში იმართებოდა, გამოიკვეთა ხალხის უკმაყოფილება საქართველოში არსებული საჯარო დაწესებულებებით მისამართით, რომლებიც, ხალხის აზრით, არასამართლიანი და არაეფექტიანი იყო. 2000-იანი წლების დასაწყისისთვის, საჯარო სამსახურებში – განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, მართლმსაჯულება და ა.შ. – არა მხოლოდ ხარისხის, არამედ სამართლიანობისა და ხელმისაწვდომობის დეფიციტი შეინიშნებოდა. ქრთამის გადახდა ნორმას წარმოადგენდა, მეგობრობა და პირადი კეთილგანწყობა იყო ხშირად სავიზიტო ბარათი, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო ხარისხიანი მომსახურების მიღება. საბჭოთა სისტემის მოშლიდან ათზე მეტი წლის შემდეგ, 2004 წელს წარმოებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩამოშლის პირას მყოფ ჯანდაცვის სექტორში არ მოქმედებდა წესები: სამედიცინო მომსახურების მიწოდება არ წარმოებდა, ვიდრე პაციენტი ხელზე არ გადაიხდიდა ამ მომსახურების საფასურს, რომელთა ოფიციალურად აღრიცხვაც ხშირად არც კი ხდებოდა. აღნიშნულმა პრაქტიკამ *„ძძიმე შედეგები გამოიღო, როგორც სამართლიანობის, ასევე ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით და მომსახურება აღარ იყო ხელმისაწვდომი მოსახლეობის უმრავლესობისათვის”* (Belli, Gotsadze & Shahriari, 2004).

შესაბამის ლიტერატურაში აღწერილია კავშირი საქართველოში არსებულ საჯარო დაწესებულებებში დანერგილ არაფორმალურ პრაქტიკასა და ადგილობრივი კულტურის ზოგიერთ მახასიათებელს შორის, განსაკუთრებით სოციალური კავშირების მნიშვნელობას შორის (ნაცნობობა, მეგობრობა, ნათესაობა და ა.შ.) (Mars & Altman, 1983). საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, საქართველოს „ჩრდილოვანი ეკონომიკა“, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველაზე ფართომასშტაბიანად მიიჩნეოდა, თუმცა ამ საკითხს მოგვიანებით შევეხებით ამავე თავის შემდეგ ნაწილში. ასეა თუ ისე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილმა არეულობამ და შედეგად მიღებულმა ინსტიტუციურმა ვაკუუმმა გააძლიერა არაფორმალური მექანიზმები, რომელთა მოქმედება ხშირად მექრთამეობასა და კორუფციას მოიცავდა. საჯარო სექტორში დასაქმებულთა შორის და, ასევე, პოლიტიკურ

ელიტაში, კორუფცია დიდ პრობლემად იქცა და სახიფათო მასშტაბები მიიღო: 2003 წელს, ვარდების რევოლუციამდე, საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველოს, მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უკანასკნელი – 124-ე ადგილი ეკავა (Aliyev, 2014).

შესაბამისად, ახალი მთავრობის სათავეში მოსვლის პირველსავე წელს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შორის დამკვიდრდა საჯარო დაწესებულებებში არაეფექტურობის აღმოფხვრის და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიმართულება. ახალი მთავრობის მიერ გატარებულმა რეფორმებმა და პოლიტიკამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო დროის მცირე პერიოდში და საქართველო, ამ თვალსაზრისით, კვლავ რჩება სამაგალითო ქვეყანად მსოფლიო მასშტაბით. საქართველოში შემცირდა კორუფციის მაჩვენებელი: 2016 წლისათვის, საერთაშორისო გამჭვირვალობის ზემოხსენებული ინდექსის მიხედვით, 44-ე ადგილზე აღმოჩნდა და მნიშვნელოვნად გაუსწრო კავკასიის რეგიონისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიზარდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამაც, სხვა შედეგებთან ერთად მოიტანა ის, რომ გაქრა ადგილობრივი მაფია (Shelley, 2007; Kukhianidze, 2009). ეფექტიანი რეფორმები გატარდა საჯარო მომსახურების სფეროში ფესვგადგმული არაფორმალური გადახდებისა და პრაქტიკის შემცირების მიმართულებით. დღესდღეობით, მსგავსი შემთხვევების რაოდენობა ძალიან მცირეა (Aliyev, 2014). ქ. თელავის ერთ-ერთ საავადმყოფოში მომუშავე გინეკოლოგმა ჩვენთვის საუბრისას, პაციენტებისაგან მიღებული ქრთამების შესახებ კითხვაზე პასუხად განაცხადა: „ჩვენ გვეკრძალება მათგან რაიმე სახის საჩუქრის მიღება. ეს კანონით არის აკრძალული“. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რეფორმების საშუალებით გაიზარდა საჯარო სამსახურებისადმი მოსახლეობის ნდობა. კავკასიის ბარომეტრის გამოკითხვის თანახმად, იმ რესპოდენტთა წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მთავრობა მათ სამართლიანად ეპყრობა, გასულ 10 წელზე ნაკლებ პერიოდში (2008 წლიდან 2015 წლამდე), 39-დან 54 პროცენტამდე გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი კავშირი გატარებულ რეფორმებსა და ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებას შორის არ არსებობს, ეჭვს არ იწვევს ის, რომ საჯარო დაწესებულებების გაძლიერებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობა, საჯარო სამსახურებისა და საჯარო მოხელეთა მიმართ მოსახლეობისა და ოჯახების ნდობის გაზრდის ხარჯზე. კომუნისტური რეჟიმის შემდგომ გარდამავალ პერიოდში, ოჯახი იქცა დაცვისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ფუნქციის მატარებელ ინსტიტუტად, სადაც აღნიშნული ფუნქცია ვაჟების საშუალებით ხორციელდებოდა. ოჯახის აღნიშნული ფუნქცია, დროთა განმავლობაში, სახელმწიფომ გადაიბარა, საჯარო ინსტიტუტების გაძლიერებისა და მოწესრიგების საშუალებით, რამაც, სავარაუდოდ, შეამცირა ოჯახში ვაჟის ყოლის აუცილებლობა.

გაუმჯობესებული ეკონომიკური სტაბილურობა და სოციალური უსაფრთხოება

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სოციალური კავშირები, ტრადიციულად, მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა საქართველოში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი არეულობის დროს. ეკონომიკურ ასპექტებში, სოციალური და ოჯახური კავშირები გადამწყვეტ როლს თამაშობდა სამუშაოს ძიების, ჯანმრთელობისა და უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭირო ფულადი სახსრების მოპოვების, ხანდაზმულობაში მუდმივი დახმარების უზრუნველყოფისა და ა.შ. საქმეში. აღნიშნული სოციალური კავშირები წარმოადგენდა მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა აგვარებდა დაუცველობასა და ფინანსურ არასტაბილურობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. სოლიდარობის დემონსტრირება წარმოებდა „ნდობაზე და

ღირსებაზე დაფუძნებული ვალდებულებების შესრულების“ საშუალებით (Mars & Altman, 1983). ერთ-ერთი კვლევის თანახმად, არასაკმარისი სოციალური კავშირები, განსაკუთრებით არასაკმარისი ოჯახური კავშირები, მნიშვნელოვნად განაპირობებდა პირების დაუცველობას, საკვებით, ეკონომიკური და საცხოვრისით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა საქართველოში (Dershem & Gzirishvili, 1998).

უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, ყველაზე მნიშვნელოვანი როლს ოჯახი თამაშობდა, რომელთა წევრები ერთმანეთს ფინანსურ დახმარებას უწევდნენ. ოჯახში მრავალი თაობის წარმომადგენლების ერთად თანაცხოვრება, თაობათაშორისი ურთიერთდახმარების სისტემის საუკეთესო მაგალითია. პატრილოკალურ გარემოში, უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ვაჟებს ეკისრებოდათ.

მშობლების ეკონომიკური უზრუნველყოფის საქმეში ვაჟების როლთან დაკავშირებით, 2014 წელს ფოკუს-ჯგუფთან წარმოებული საუბრებისას, შემდეგი მოსაზრებები იქნა გამოთქმული:

“ვფიქრობ, მაღალი პენსია ბევრ ადამიანს მისცემს საშუალებას ხანდაზმულობის ასაკში არ იყოს დამოკიდებული შვილებზე; არც ქალიშვილებსა და რძლებზე. ეს დიდი ალბათობით შეცვლის არსებულ სიტუაციას. ოჯახები აღარ იზრუნებენ ბევრს იმაზე, რომ ვაჟი ჰყავდეთ, იმ იმედით, რომ იგი ოჯახში დარჩება [გოგონებისაგან განსხვავებით]”. შუახნის ქალბატონი აჭარიდან.

“პენსია თუ მაღალი იქნება, მშობლებისათვის აღარ ექნება მნიშვნელობა გოგონა ეყოლებათ მათ თუ ვაჟი. ქალიშვილს არ აქვს საშუალება ფინანსურად დაეხმაროს საკუთარ მშობლებს, რადგან იგი საკუთარი ქმრის კმაყოფაზე იმყოფება და ქმარი, რაღაც ეტაპზე, აუცილებლად წავა ამის წინააღმდეგ და განაცხადებს: „რამდენ ხანს უნდა ვარჩინო დედაშენი?“ რადგან ვაჟი საკუთარი მშობლების რჩენაზეა პასუხისმგებელი, რაც ზოგ შემთხვევაში 20 წელზე მეტ ხანს გრძელდება”. ხანდაზმული ქალბატონი აჭარიდან.

არაფორმალური დახმარებისა და სოციალური უსაფრთხოების ქსელის არსებობა აუცილებელია ფორმალურ ალტერნატივათა არარსებობის პირობებში, როგორიცაა სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ უსაფრთხოებას, საბანკო სესხების გაცემას, სახელშეკრულებო დასაქმებას, უძრავი ქონების ბაზარზე წვდომას და ა.შ. საქართველოში 2000-იანი წლების დასაწყისიდან შეიქმნა – ან აღდგა – ის მექანიზმები, რომლებმაც ხელი შეუწყო შინამეურნეობების უზრუნველყოფას შედარებით სტაბილური შემოსავლებით და შეამცირა მათი დაუცველობის დონე. დაცულობის აღდგენის მიმართულებით განვითარებული მოვლენების ზოგიერთი ძირითადი ასპექტი საინტერესოა წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე:

- 2004 წელს, მთავრობამ გაატარა საპენსიო სისტემის რეფორმა, რომელიც მანამდე მეტად არაეფექტური იყო და შემოიღო ახალი ერთიანი საპენსიო სისტემა, რომელიც გაიცემოდა ყველა პირზე, რომლებიც საპენსიო კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ (იხ. აგრეთვე: De Bruijn & Chitanava, 2017). აღნიშნული პენსია მოიცავდა მინიმალურ საყოველთაო ნაწილს და დამატებით სადაზღვევო კომპონენტს (Gugushvili, 2012). ერთ-ერთმა სოციოლოგმა, რომელსაც ვესაუბრეთ ქ. თბილისში, განაცხადა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არსებული პენსიები არასაკმარისია საყოფაცხოვრებო ხარჯების დასაფარად, ის ეფექტურია ხანდაზმულთა შორის უკიდურესი სიღარიბის დაძლევის და შვილებზე მათი დამოკიდებლობის განცდის შემსუბუქების თვალსაზრისით. 40 წელს გადაცილებულმა ქალბატონმა, ქ. თელავიდან, ჩვენთან საუბარში განაცხადა: *“ჩვენ ვალდებული ვართ დავეხმაროთ ჩემს დედამთილს, რადგან მას მაღალი პენსია არ აქვს, თუმცა მისი მცირე პენსიიდანაც კი იგი ახერხებს რაღაც დანაზოგის გაკეთებას, რომლითაც ჩვენი ბავშვებისათვის პატარ-პატარა საჩუქრებს ყიდულობს და ამით ბედნიერია“.*

- საპენსიო რეფორმის გარდა, 2000–იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, საქართველოში განხორციელდა საზოგადოების დაცვის სხვა სქემებიც, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა საზოგადოების დაცვა სიღარიბისაგან და ფინანსური დანაკარგებით მიყენებული ზარალისაგან. მათგან აღსანიშნავია ორი სქემა: 1) მიზნობრივი სოციალური დახმარება, რომელიც 2005 წელს იქნა შემოღებული მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად; ის გულისხმობს ღარიბი მოსახლეობისთვის განკუთვნილ ფულად დახმარებას, რითიც სარგებლობს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი (Baumann, 2012); 2) ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმა, რომელიც მოიცავდა რამდენიმე სქემას, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ფულადი ხარჯების შემცირება. აღნიშნულ სქემებში შედიოდა კონკრეტული სოციალური ჯგუფების დაზღვევა (ამუშავდა 2007 წელს) და საყოველთაო დაზღვევის გეგმა, რომელიც ცოტა მოგვიანებით – 2013 წელს ამუშავდა (Hohmann & Lefèvre 2014; Gzirishvili 2012). დღესდღეობით, აღნიშნულ სქემებზე ეროვნული ბიუჯეტის ხარჯების დიდ წილი მოდის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ, ჩვენი რესპოდენტების თანახმად, ჯანდაცვის აღნიშნული პოლიტიკა ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა დაუცველობის განცდის შემცირების მიმართულებით.
- სიცოცხლის მანძილზე მოხმარების გათანაბრებისა და რესურსების გადანაწილების სხვა ფორმალური საშუალებები საქართველოში ხელმისაწვდომი გახდა საბანკო და სადაზღვევო სექტორების საშუალებით. საქართველოს საბანკო სისტემა, დღეს, ყველაზე სოლიდურია კავკასიის რეგიონში. მისი განვითარება დაიწყო 1990–იანი წლების ბოლოსა და 2000–იანი წლების დასაწყისში. ბანკები ჩამოყალიბდა მიკროსაკრედიტო დაწესებულებების ბაზაზე (რომლებიც წარსულში არასამთავრობო ორგანიზაციებს განეკუთვნებოდა), რომლებიც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კრედიტების მიმწოდებელ ერთადერთ დაწესებულებებს წარმოადგენდა36. ქ. თელავის ერთ–ერთი ბანკის თანამშრომლის განცხადებით, დღესდღეობით ძირითადი სესხები ყველასთვის ხელმისაწვდომია. მაგ., თვითდასაქმებულებს – რომლებიც საქართველოში არსებული სამუშაო ძალის უმსხვილეს წილს შეადგენს და რომლებზეც, როგორც წესი, არ გაიცემა რეგულარული სესხები – შეუძლიათ ისარგებლონ მიკროსაკრედიტო სქემებით და მიიღონ სესხი საქართველოს ცენტრიდან ყველაზე მოშორებულ დასახლებებშიც კი: *„ბანკის თანამშრომლები, თავიანთი ლეპტოპებით მიდიან მთიან რეგიონებში და კლიენტებს საკრედიტო ბარათებს ურიგებენ, რომლებზეც ფულია დარიცხული“.* ერთ–ერთმა ეკონომისტმა ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ არაფორმალური სესხების აღება ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოში, თუმცა, ამ თვალსაზრისით, სიტუაცია სწრაფად იცვლება.
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, არა მხოლოდ დაუცველობის განცდის გადალახვის საქმეში გაწეული დახმარებით, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრებს შორის კავშირის შენარჩუნების თვალსაზრისით, საზოგადოების დაცვის პოლიტიკის გატარებაში (მაგ., სოციალური დახმარების მიმღებ პირებთან დაკავშირების საქმეში). განსაკუთრებით აღსანიშნავია არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის, 2000–იანი წლების დასაწყისში. ხელსაყრელი კანონმდებლობისა და უცხოურ ფონდებზე ხელმისაწვდომობის საშუალებით, მათი რიცხვი საკმაოდ სწრაფად გაიზარდა და მათ

36 ქ. თელავის ერთ–ერთი ბანკის თანამშრომელმა, რომელსაც ვესაუბრეთ , აგვიხსნა, რომ მიკრო სესხების დანიშნულებას ბიზნეს საქმიანობების დაფინანსება წარმოადგენდა, თუმცა ამ სესხების მიმღები პირები ხშირად იყენებენ მათ აუცილებელი და სასწრაფო ხარჯების დასაფარად, როგორიცაა სამედიცინო ხარჯები. იმ წლებში არსებული დაუცველობის განცდის ხარისხი ძალიან მაღალი იყო, და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოში განვითარებულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებშიც კი (Wheatley, 2017).

საზოგადოების დაცვის ფორმალური ინსტიტუტების ეტაპობრივი განვითარება და გაძლიერება შემოსავლების უზრუნველყოფისა და ქრონიკული სიღარიბისაგან მოსახლეობის დაცვის ეფექტური საწინდარი გახდა. 2000-იანი წლების დასაწყისში, სიღარიბის დონე საქართველოში ჯერ ისევ საკმაოდ მაღალი რჩებოდა და მოსახლეობის დაახლ. ერთი მესამედი ამ კატეგორიაში მიეკუთვნებოდა, თუმცა მას შემდეგ, სიღარიბის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. საინტერესოა, რომ რაოდენობრივი ანალიზის ლოგისტიკური რეგრესიის პრინციპით ანალიზისას (იხ. *ცხრილი 5.5*) ირკვევა, რომ ის შინამეურნეობები, რომლებიც ყველაზე დაბალშემოსავლიან ჯგუფს განეკუთვნებიან, ყველაზე აქტიურად ცდილობენ ჰყავდეთ ვაჟი. თუმცა იმ შინამეურნეობებს შორის, რომლებიც სახელმწიფო დახმარების რაიმე ფორმით სარგებლობენ, ნაკლებად არის გავრცელებული სქესის შერჩევის პრაქტიკა. შინამეურნეობები, რომლებიც თავს მეტ-ნაკლებად დაცულად გრძნობენ იმის გამო, რომ სახელმწიფოსაგან დახმარებას იღებენ, სავარაუდოდ, ნაკლებად განიცდიან ახლობლების დახმარების აუცილებლობას და თაობათაშორის სოლიდარობის საჭიროებას, მათ შორის, საკუთარი ვაჟების მხრიდან.

უფრო მეტიც, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გარდა, ახალი სქემების დანერგვამ, სავარაუდოდ, მდგრადი ზემოქმედება იქონია მოსახლეობის კოლექტიურ წარმოდგენებსა და პერსპექტივათა აღქმაზე. როგორც ერთ-ერთმა ეკონომისტმა ქ. თბილისში გამართული ინტერვიუს დროს განაცხადა: *„სოციალური დაცვის ახალმა პოლიტიკამ, გარდა იმისა, რომ აღმოჩნდა ეფექტური, საფუძვლიანად შეცვალა მოსახლეობის მიერ საკუთარი მომავლის ხედვა“.* გარდა ამისა, დაცვის მექანიზმებს — განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ დაცვის მექანიზმებს — საფუძვლად უნდა ედოს შესაბამისი ინსტიტუტებისადმი ნდობა. როგორც მოცემული თავის წინა ნაწილში განვაცხადეთ, ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით 2000-იან წლებში გატარებული რეფორმები საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით. ჩვენ მიერ საველე სამუშაოების ჩატარების დროს მიღებული გამოცდილება ამის ნათელი მაგალითი შეიძლება გახდეს. საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ სახალხო დამცველის აპარატს (ომბუდსმენს), იმ შემთხვევაში, თუ ისინი გრძნობენ, რომ სახელმწიფო უგულებელყოფს მათ უფლებებსა და არ უწევს მათ იმ მომსახურებას, რომელიც მათ ეკუთვნით, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს რესპოდენტმა განაცხადა, რომ სახალხო დამცველის აპარატის ქ. თელავის რეგიონალურ ოფისში, სადაც თავად არის დასაქმებული, შემოსული განცხადებების უმრავლესობა უკავშირდება სოციალური დაცვის სამსახურების მიერ გაწეულ მომსახურებას; ამ საქმეთა უმრავლესობა წარმატებით სრულდება და განმცხადებელთა სასარგებლოდ კმაყოფილდება, ომბუდსმენის შუამდგომლობით. აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ გაუმჯობესდა საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების ხარისხი და მოქალაქეებს შორის გაიზარდა განცდა იმისა, რომ მათი უფლებები დაცულია.

შევაჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სქემების გამყარებამ და გაუმჯობესებამ გარკვეული როლი ითამაშა დაუცველობისა და ვაჟზე დამოკიდებულების განცდის შემცირებაში. კონკრეტული ოჯახური ნორმებისადმი დამოკიდებულება, სავარაუდოდ, შეიცვალა, ვინაიდან თაობებს შორის ურთიერთდახმარება აღარ აღიქმება სოციალური და ფინანსური სირთულეების დაძლევის ერთადერთ სტრატეგიად.

ცვლილებები გენდერის სფეროში

ამ ეტაპზე ჩვენი ანალიზის საგანს წარმოადგენს ვაჟებზე მოთხოვნა, ოჯახი და გენდერული განზომილება და განსაკუთრებით ის ცვლილებები, რომლებიც ამ სფეროში განხორციელდა გასული 15 წლის პერიოდში. მოცემული ნაწილი

იწყება ანალიზით, რომელიც ეხება ოჯახში გოგონებისა და ბიჭების როლებსა და მათ ღირებულებას, საიდანაც სათავეს იღებს გენდერული ტენდენციურობა. შემდგომ ეტაპზე შესწავლილია ქალების არჩევანის თავისუფლებისა და საზოგადოების სხვა ასპარეზზე მათთვის რესურსების ხელმისაწვდომობის სფეროში მომხდარი ცვლილებები და ბოლოს, განხილულია საქართველოში გენდერთან დაკავშირებული სოციალური ნორმები და ღირებულებები.

გენდერული ტენდენციურობა ოჯახში

რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, პირველ რიგში წარმოებს ოჯახში. საქართველოში არსებული პატრიარქალური სტრუქტურების გავლენა საგრძნობია, როგორც საქალაქო, ასევე სასოფლო დასახლებებში (Gagoshashvili, 2008). რაოდენობრივი ანალიზი, რომელიც ამავე მონოგრაფიაშია მოცემული, ადასტურებს მოსახლეობის აღწერამდე 10 წლის განმავლობაში, რეპროდუქციული ქცევაში მნიშვნელოვანი გენდერული ტენდენციურობის არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტენდენციურობის ხარისხმა მცირედით იკლო 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენცია კვლავ იკვეთება, რაც დასტურდება იმით, რომ შობადობის მაჩვენებლის ზრდა ფიქსირდება მხოლოდ იმ წყვილებს შორის, რომლებსაც მხოლოდ გოგონები ჰყავთ. მიუხედავად ამისა, თვისებრივი კვლევის მონაცემები მიანიშნებს ეტაპობრივ სვლას იმ მიმართულებით, სადაც ვაჟები და გოგონები თანაბარად სასურველი არიან მშობლებისათვის. 2016 წელს გამოკითხულ რესპოდენტთაგან ყველამ განაცხადა, რომ ისინი მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ შვილების სქესს. ამას აცხადებდნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი, ქორწინების სხვადასხვა სტატუსის მქონე და განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური წარმოშობის როგორც მამაკაცები, ასევე ქალებიც. ექსპერტთა უმრავლესობა, რომლებთანაც ჩვენ გავიარეთ კონსულტაცია, მათ შორის სოციალურ მეცნიერებათა სპეციალისტები და საზოგადოების გამორჩეული წევრები, ნაკლებად ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენციის გაუჩინარებისადმი და ამტკიცებდნენ, რომ ვაჟების დაბადება ჯერ კიდევ უფრო სასურველია, ქართულ ოჯახებში, ვიდრე გოგონას დაბადება, რაც ესადაგება რეპროდუქციული ქცევის კვლევის შედეგებს. ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება შესაძლებელია ხშირად იყოს ფარული და გაუცნობიერებელი, რაც საქართველოში, რომელიც ბოლო დროს გენდერის საკითხებში გაცნობიერებულ საზოგადოებად იქცა, ერთგვარ ტაბუს წარმოადგენს. თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ ვაჟის გაჩენის მიზნით სქესის შერჩევის ტენდენცია თანდათან ნელდება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქ. თელავში, 25 წლის განმავლობაში გინეკოლოგად მომუშავე ქალბატონის განცხადება:

"ვაჟებს კვლავაც ანიჭებენ უპირატესობას. ხალხს ჯერ კიდევ ამოძრავებთ სურვილი წინასწარ შეიტყონ მომავალი ბავშვის სქესი. ისინი ყოველთვის გვეკითხებიან ამის შესახებ და როდესაც გაიგებენ, რომ მათი მომავალი ბავშვი ვაჟი იქნება, უფრო მეტ სიხარულს გამოხატავენ, განსაკუთრებით მამები. თუმცა ისინი აღარ მიმართავენ შერჩევით აბორტებს."

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, ოჯახები ვაჟებით ჯერ კიდევ უფრო ამაყობენ, ვიდრე გოგონებით და ოჯახი, რომელსაც ვაჟი ჰყავს უფრო სრულყოფილად მიიჩნევა, თუმცა აღნიშნული შეხედულებები აღარ არის ისე მკვეთრად გამოხატული და თანდათან უფრო კარგავს ძალას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. დღესდღეობით, ოჯახები ირჩევენ კიდევ ერთი ბავშვი გააჩინონ, ვიდრე სქესის შერჩევის პრაქტიკას მიმართონ და, ნაწილობრივ, ბედს ანდობენ საკუთარი ოჯახის გენდერულ შემადგენლობას.[37] აღნიშნული მექანიზმის უკეთ გასაგებად, უმჯობესი იქნება უფრო დაწვრილებით

37 ე.წ. "წყვეტა" ე.ი. ვაჟის გაჩენის შემდეგ მომდევნო შვილის გაჩენისაგან თავის შეკავება, რაც აშკარად არის გამოხატული ქართველ წყვილებში, ადასტურებს იმას, რომ შობადობა კონტროლირებული ხდება, როდესაც საქმე ეხება ბავშვების გენდერულ შემადგენლობას (იხ. თავი 4.3)

განვიხილოთ ქართული პატრიარქალური ოჯახის ზოგიერთი მახასიათებელი:

- არსებული მტკიცებულებებისა და შესაბამისი ლიტერატურის თანახმად (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ.ა), ოჯახების სურვილს ჰყავდეთ ვაჟი განაპირობებს გვარის გაგრძელების სურვილი. პატრილინეალურ საზოგადოებაში, ტრადიციულად, გვარის გადაცემა შვილზე მამის ხაზით წარმოებს. ალტერნატიული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს შვილისათვის დედის გვარის, ან დედისა და მამის გვარის ერთდროულად მიცემას, დღევანდელ საქართველოში არ არსებობს, ან უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს. ამ მიმართულებით არანაირი ცვლილება არ გამოვლენილა ანალიზის დროს.
- სხვა ასპექტებში, ოჯახის დინამიკა მიანიშნებს პატრიარქალური წესების შერბილებაზე. ამის მაგალითს წარმოადგენს მშობლების მოლოდინი, იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულობის ასაკში ფინანსურ და ემოციურ მხარდაჭერას ვაჟებისგან მიიღებენ. ჩვენ მიერ წარმოებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მშობლები, დღესდღეობით, გოგონებისგანაც ელიან დახმარებასა და მხარდაჭერას. ჩვენ მიერ წარმოებული ინტერვიუების დროს, ზოგიერთმა ქალმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ ისინი დახმარებიან საკუთარ მშობლებს ქირურგიული ოპერაციების ხარჯების დაფარვაში და ეხმარებიან ყოველდღიური ხარჯების დაფარვაშიც: *"ზოგი მიიჩნევს, რომ რადგან ოჯახში რჩება ვაჟი, მას მეტი ვალდებულებები აქვს მშობლების წინაშე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ქალიშვილებიც უნდა ზრუნავდნენ საკუთარ მშობლებზე და ეს ასეც ხდება. მე არ მსმენია ოჯახის შესახებ, სადაც ქალიშვილები საკუთარ მშობლებზე არ ზრუნავენ; ისინი, სულ მცირე, აკეთებენ იმას, რისი საშუალებაც აქვთ"* – განაცხადა ქალბატონმა აჭარიდან, ფოკუს-ჯგუფთან წარმოებული საუბრის დროს. გარდა ამისა, მშობლები გრძნობენ, რომ ქალიშვილები უფრო საიმედონი არიან და ემოციური თანადგომა უფრო ეხერხებათ, ვიდრე მათ ძმებს.
- პატრიარქალური ოჯახის კიდევ ერთ ტიპურ მახასიათებელს, რომელიც ნაკლებად გამოხატულია დღესდღეობით, წარმოადგენს თანაცხოვრების პატრილოკალური წესი, ე.ი. მოლოდინი იმისა, რომ ქორწინების შემდეგ ვაჟი ცოლს მშობლების სახლში მიიყვანს საცხოვრებლად. აღნიშნული ტიპის ოჯახების რაოდენობა სულ უფრო და უფრო მცირდება. მატრილოკალური წესი, ჯერ კიდევ დაცინვისა და სოციალური განსჯის საგანს წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული დამოკიდებულება ცვლილებას განიცდის. *"თუ ქმარი ცოლის ოჯახთან გადადის საცხოვრებლად, ე.ი. ოჯახისათვის ასეა საჭირო. მამაკაცი იზრუნებს ცოლის მშობლებზე და საშუალებას მისცემს მათ დატკბნენ ცხოვრებით. საზოგადოებაში ასეთ მამაკაცებს „ზედსიძეს" უწოდებენ, მაგრამ მე არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო."* — განაცხადა მამაკაცმა აჭარიდან, ფოკუს-ჯგუფთან წარმოებული საუბრის დროს.

თანაცხოვრების აღნიშნული ფორმა ჯერ კიდევ ხშირია, განსაკუთრებით შინამეურნეობებში, რომლის წევრებიც სოფლის მეურნეობაში არიან დასაქმებული და, ასევე, მუსლიმებს შორის; ამ ფენომენს ვხვდებით ქ. თბილისშიც, როგორც მოსახლეობის 2014 წლის შედეგებიდან გახდა ცნობილი (იხ. თავი 4). საქართველოს დედაქალაქში, ქორწინების შემდგომი თანაცხოვრების შემთხვევების 30 პროცენტი მატრილოკალურია. მოსახლეობის აღწერის შედეგები აჩვენებს, რომ მატრილოკალური თანაცხოვრების ფორმა მეტად არის გავრცელებული უფრო შეძლებულ და განათლების შედარებით მაღალი დონის მქონე შინამეურნეობებში, რაც მიგვანიშნებს, რომ ადგილი აქვს გენდერული თვალსაზრისით ნაკლებ ტენდენციური თანაცხოვრების ფორმების გავრცელებას ზედა ფენებიდან ქვედა ფენებში.

კიდევ ერთ ფაქტორს შეიძლება წარმოადგენდეს ნეოლოკალური ოჯახების პროცენტული წილის ზრდა. ჩვენ მიერ წარმოებული ინტერვიუებისას, ახალგაზრდა რესპოდენტთა უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი, ქორწინების შემდეგ ეცხოვრა

თავისი და მეუღლის მშობლებისაგან ცალკე, ვინაიდან *„მშობლებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება მომგებიანია სიყვარულისა და ურთიერთობების შენარჩუნების თვალსაზრისით“* [განაცხადა ახალგაზრდა მამაკაცმა აჭარიდან, ფოკუს-ჯგუფთან წარმოებული საუბრის დროს]. ნეოლოკალური ოჯახები მეტ ფინანსურ სახსრებს საჭიროებენ და ახალგაზრდა წყვილებისათვის ჯერ კიდევ უფრო პრაქტიკულია ქორწინების შემდეგ მშობლებთან ცხოვრება, გარკვეული დროის განმავლობაში. ოჯახები, რომლებშიც მრავალი თაობის წარმომადგენლები ერთად ცხოვრობენ, ჯერ კიდევ მრავლად არის წარმოდგენილი სასოფლო დასახლებებში, სადაც ცხოვრების სტანდარტები შედარებით დაბალია და ტრადიციული დამოკიდებულებები შედარებით მყარი.

პატრილოკალური ოჯახის ტრადიციის შესუსტება, შესაძლებელია წარმოადგენდეს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ხდება პასუხისმგებლობებისა და უპირატესობების უფრო თანაბრად განაწილება მეუღლეებს შორის და, ასევე, ბიჭებსა და გოგონებს შორის. აღნიშნულ ჰიპოთეზას ნაწილობრივ ადასტურებს დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებლის განმაპირობებილი ფაქტორების ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის უფრო დაბალი კოეფიციენტი ფიქსირდება ნუკლეარულ ოჯახებში (იხ. *ცხრილი 5.5*).

- მსგავსი ტენდენციები შეინიშნება ვაჟებისათვის მემკვიდრეობის გადაცემის პრაქტიკაში. ოჯახის ქონების მამაკაცის ხაზით გადაცემა ჯერ კიდევ ძალიან ხშირია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს ქონების განაწილებას და-ძმებს შორის. ქალების მემკვიდრეთა სიაში არ გათვალისწინება მეტად არის გავრცელებული სასოფლო დასახლებებში, თუმცა ამგვარი პრაქტიკა თანდათან დავიწყებას ეძლევა ქ. თბილისში. პენსიონერმა ქალბატონმა, რომელსაც ჩვენ ქ. თელავში შევხვდით, აგვიხსნა, თუ როგორ მოახერხა ქონების ვაჟზე მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიციის შერწყმა, ქალიშვილის მიმართ გულუხვობის გამოჩენით: მან ქალიშვილს ბიზნესი გადასცა და ვაჟისთვის სახლი ააშენა, აღსანიშნავია, რომ თავისი საკუთარი სახლის გვერდზე. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა სოციოლოგმა, რომელთანაც ჩვენ კონსულტაცია გავიარეთ 2014 წელს, განაცხადა: *“პრაქტიკაში, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში, სახლი მემკვიდრეობით გადაეცემა ვაჟს. სიტყვა „მემკვიდრეობა“ ერთგვარად ხმამაღლა ჟღერს. იმ ოჯახებში, სადაც ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მემკვიდრეობაზე – ანუ ოჯახებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ ბიზნესს, დიდი რაოდენობით უძრავ ქონებას – მშობლები არ ანსხვავებენ ვაჟებსა და ქალებს, როდესაც საქმე სამემკვიდრეოს გაყოფას ეხება... რაც შეეხება საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მოსახლეობის უდიდეს წილს შეადგენს და რომელთა მფლობელობაშიც მხოლოდ ერთი სახლია და, შესაბამისად „მემკვიდრეობაზე“ საუბარიც კი ზედმეტია. ვაჟი საცხოვრებლად რჩება მშობლების სახლში და თუ ქალი ქორწინდება, იგი აღარ აცხადებს პრეტენზია ამ სახლზე. თუ ოჯახი მდიდარია, მაშინ რა თქმა უნდა, ქალიც აცხადებს პრეტენზიას მემკვიდრეობაზე“.*

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მემკვიდრეობის საგანს, ძირითადად, საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს, რომელიც ხშირად პატრილოკალური თანაცხოვრების ფორმასთან ასოცირდება. აღნიშნული დისკრიმინაციის გამოვლინებები თანდათან დავიწყებას ეძლევა და შესაძლებელია მის რღვევას ხელი შეუწყოს ეკონომიკურმა ზრდამ ან ნეოლოკალური ოჯახების მომრავლებამ.

ქალების სოციალურ-ეკონომიკური როლი

სქესის შერჩევა ისეთ მოვლენას წარმოადგენს, რომლის განხილვაც მხოლოდ ოჯახის კონტექსტში არ არის საკმარისი, არამედ საჭიროებს უფრო ფართო – გენდერული სეგრეგაციის კონტექსტში შესწავლას. საქართველოში შეუძლებელია ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენციის შემცირების გამიჯვნა ქალთა უფლებებისა

და შესაძლებლობების გაფართოების ტენდენციისაგან. საქართველოში მცხოვრები ქალების პირობების გაუმჯობესებასა და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ნორმასთან მიახლოებულ კოეფიციენტს შორის კავშირი, დიდი ალბათობით, არსებობს, თუმცა მისი დადგენა, ჩვენს ხელთ არსებული წყაროების საშუალებით, სირთულეს წარმოადგენს. ამ პროცესში ორი ძირითადი მექანიზმია ჩართული. ერთი მხრივ, საქართველოში ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება ხელს უწყობს გოგონების შესაბამისად დაფასებას, ვინაიდან ზრდასრული ქალები იძენენ ავ-ტონომიასა და ეკონომიკურ ღირებულებას. მაგ., ქალები ზრუნავენ ხანდაზმულ მშობლებ-ზე, ფინანსურად ეხმარებიან და ემოციურ თანადგომას უწევენ მათ. შესაბამისად ისინი წარმოადგენენ რესურსს და არა ხარჯს. თუმცა მეორე მხრივ, სქესის შერჩევა გენდერული დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რომელშიც ქალები თავად მონაწილეობენ, რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა გენდერული ტენდეციურობით გამორჩეული ნორმების ინტერნალიზაცია და ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისგან თავის შეკავება. ერთ-ერთმა აჭარელმა საჯარო მოხელემ, 2014 წელს გამართული ინტერვიუს დროს განაცხადა: *"იმ შემთხვევაში, თუ ქალს სურს გააჩინოს ბავშვი, მაგრამ ოჯახი ამის კატეგორიული წინააღმდეგია, ქალს, რა თქმა უნდა ეშინია, რომ ქმარი მასთან განქორწინებას მოისურვებს და იგი დარდობს იმაზე, შეძლებს თუ არა ბავშვის დამოუკიდებლად გაზრდას".* იგივე რესპოდენტმა მოიყვანა მაგალითი ქალისა, რომელსაც დედამთილი აიძულებდა მეორე ბავშვზე ორსულობის შეწყვეტას აბორტის საშუალებით, რადგან ნაყოფი მდედრობითი სქესისა იყო. ამ ქალმა საკუთარი დედამთილის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ კანონს შეუძლია ქალის დაცვა, რეპროდუქციულ საკითხებთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოს ძალით გადაწყვეტის შემთხვევები ქვე-ყანაში ძალიან იშვიათია. უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება ქალს საშუალებას მისცემს სათანადო რეაგირება მოახდინოს მსგავს უსამართლო მოპყრობაზე და მეტი ხმის უფლებით ისარგებლოს ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისევე, როგორც შვილების გაჩენის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს.

უკანასკნელ წლებში, საქართველოში მნიშვ-ნელოვანი წინსვლა აღინიშნება გენდერული თანასწორობის სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წინსვლა მეტ-ნაკლებად მოიცავს ქვეყნის ყველა კუთხესა და ყველა სფეროს. ბოლო დროს, ქალთა განათლების სფეროში განსაკუთრებული წინსვლა არ დაფიქსირებულა, თუმცა ეს არის შედეგი იმისა, რომ ქვეყანაში დიდი ხანია აღნიშნული პრობლემა არ არსებობს. ფაქტობრივად, საქართველოს, განათლების ძირითადი მაჩვენებლების თვალსაზრისით, მათ შორის ვაჟებსა და გოგონებს შორის თანასწორობის მაჩვენებლის თვალსაზრისით, კარგი შე-დეგები აქვს. (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2010 წ.). მაგ., ჯერ კიდევ 2007-2008 წლებში, უნივერსიტეტებში ჩარიცხული ქალების რაოდენობა აღემატებოდა მამაკაცების რაოდენობას (Sumbadze, 2008).

ამავე დროს, არსებობს სფეროები, სადაც ქალების სტატუსის ცვლილება უმნიშვნელო იყო, მაგ. პოლიტიკაში ჩართულობა. ქართველი ქალები, დღესაც კი ერთგვარად გარიყულები არიან პოლიტიკური ასპარეზიდან. თუმ-ცა ამ მიმართულებით სიტუაციის გაუმ-ჯობესების ნიშნები არსებობს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ფემინისტური მოძრაობები აქტიურად მუშაობენ საჯარო დისკურსში გენდერული დღის წესრიგის წინ წამოსაწევად. ჩვენი ვიზიტის დროს, საქართველოს პარლამენტში ქალებისთვის კვოტების შემოღების საკითხი განიხილებოდა: მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დასრულდა ეს განხილვა, აღნიშნული ინიციატივა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ მეტი ყურადღება ეთმობა გენდერის საკითხებს, რაც, ერთ-ერთი ჩვენ მიერ გამოკითხული სოციოლოგის თანახმად, *„უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა სულ რაღაც ათი წლის წინ".*

ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების

გაფართოების ხელშემწყობ ფაქტორს, განათლების ხელმისაწვდომობაზე უფრო მეტად, ეკონომიკურ რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდა წარმოადგენს. საქართველოში მცხოვრები ქალების ჩართულობა შრომის ბაზარზე საკმაოდ მაღალი იყო საბჭოთა კავშირის პერიოდში, მათ შორის საერთაშორისო სტანდარტებითაც კი. გარდა ამისა, ქვეყანას სასტიკი ეკონომიკური კრიზისი დაატყდა თავს 1991 წლის შემდეგ, რამაც სამუშაო ადგილების მასიური გაქრობა გამოიწვია. თუმცა აღნიშნული პრობლემა ყველაზე ნაკლებად ქალებს შეეხო, ვინაიდან ის სექტორები, რომლებშიც ქალების უმეტესობა იყო დასაქმებული – ჯანდაცვისა და განათლების სექტორები – ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისადმი ყველაზე მდგრადი აღმოჩნდა. ქალებს მოუწიათ საკუთარ თავზე აეღოთ ოჯახისთვის საჭირო ბიუჯეტის შევსება, რის გამოც ქალების კიდევ უფრო დიდი წილი შეუერთდა სამუშაო ძალას და შინამეურნეობების ეკონომიკურად აქტიურ წევრად იქცა. ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობის თვალსაზრისით, საქართველოს, სხვა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს (Pignatti, Torosyan & Chitanava, 2016).

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებული რეფორმების საშუალებით შენარჩუნდა ქალების ეკონომიკურ სფეროში ჩართულობის მაღალი სტანდარტი. აღნიშნული რეფორმების კულმინაციას წარმოადგენდა სკოლამდელი განათლების გადასახადის გაუქმება 2013 წელს, რასაც მკვლევარები ახასიათებენ, როგორც კიდევ ერთ ღონისძიებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობის ზრდა, რასაც რეალურად ჰქონდა ადგილი ამ პერიოდიდან მოყოლებული, მოკლევადიანი სტაგნაციის პერიოდის შემდეგ. 2015 წელს ქალების 57 პროცენტი ჩართული იყო სამუშაო ძალაში (მსოფლიო ბანკი). უფასო საბავშვო ბაგა-ბაღების ინსტიტუტი, რომელიც კრიტიკის საგანს წარმოადგენდა, მის დანერგვაში დაფიქსირებული ხარვეზების გამო, ადასტურებს საჯარო დაწესებულებების დახმარებით ქალებისა და ოჯახების ხელშეწყობის განზრახვას. ექსპერტებთან გამართული ინტერვიუების დროს, დადასტურდა ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ სექტორში ქალების ჩართვის ტენდენციის თვალსაზრისით საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს და, რომ რეგიონის ქვეყნებშიც აღნიშნული ტენდენცია ფიქსირდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო გამოირჩევა ქალებით დაკომპლექტებული სამუშაო ადგილების ხარისხით: აზერბაიჯანში, რომელსაც ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობის ასევე მაღალი მაჩვენებელი აქვს, ქალების უმრავლესობა არაკვალიფიციური სამუშაო ძალის ნაწილს წარმოადგენს მაშინ, როცა შრომის ბაზარზე იზრდება კვალიფიციურ სამუშაოზე დასაქმებული, შესაბამისი განათლებამიღებული ქართველი ქალების რაოდენობა (Pignatti, Torosyan & Chitanava, 2016).

რამდენად იმოქმედა ამ ტენდენციებმა ოჯახის შიგნით არსებულ გენდერულ ბალანსზე? თეორიულად, ცოლის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა, ზრდის წყვილს შორის ქალის ხმის უფლებას და რეპროდუქციული ქცევის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში, შესაძლებელია აისახოს ის, რასაც ქალები ანიჭებენ უპირატესობას. რამდენიმე ექსპერტმა ჩვენთან ინტერვიუში გააჟღერა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში, ქალების გაზრდილმა ეკონომიკურმა მნიშვნელობამ ხელი შეუწყო შინამეურნეობებში მათი პოზიციების გამყარებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტენდენციების წვლილი სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის აღდგენის საქმეში, შესაძლებელია უმნიშვნელო იყოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლების პერიოდში, ქალების ეკონომიკური აქტიურობის რაიმე მნიშვნელოვან ზრდას არ ჰქონია ადგილი. რეგრესიის პრინციპით ანალიზისას, ჩვენ ვერ შევძელით დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის იმ კორელაციების იდენტიფიცირება, რომლებიც ქალებს უკავშირდება (იხ. *ცხრილი 5.5*).

თუმცა ეკონომიკის სფეროში არის ერთი კონკრეტული ტენდენცია, რომლის საშუა-

ლებითაც შესაძლებელია აიხსნას გენ-დერული როლების ცვლილება დღევანდელ საქართველოში. გასული რამდენიმე ათ-წლეულის განმავლობაში, ქვეყნიდან მასშტაბურ ემიგრაციას ჰქონდა ადგილი, რომელიც თავდაპირველად სასოფლო დასახლებებიდან დაიწყო, ხოლო დანიშ-ნულების ქვეყნებს წარმოადგენდა ევ-როპის ქვეყნები და ა.შ.შ. (მაშინ, როცა წარსულში ეს იყო რუსეთის ფედერაცია) (Sumbadze, 2008). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა – პოლიტიკურმა არეულობამ და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ – აიძულა საქართველოს მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა სამუშაოს საშოვნელად საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო; ამავ-დროულად, იმ დიპლომატიურმა ინი-ციატივებმა, რომლებიც განახორციელა სა-ქართველოს სათავეში 2003 წელს მოსულმა ახალმა მთავრობამ, ქართველ მუშახელს გზა გაუხსნა დასავლეთისკენ (Curro, 2012). რეგიონის ქვეყნებში, საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული საერთაშორისო მიგ-რაცია, თუმცა საქართველო გამოირჩევა საქართველოდან ემიგრირებულ პირებს შორის ქალების მაღალი პროცენტული წილით. საქსტატის შეფასებით, ქალები საქართველოდან ემიგრირებული პირების თითქმის ნახევარს შეადგენენ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015 წ.). ამ ქალების უმრავლესობა ქვეყნიდან მარტო მიემგზავრება, მათი ქმრები კი ოჯახებში რჩებიან, ზრუნავენ შვილებზე და ასრულებენ ოჯახთან დაკავშირებულ სხვა ვალდებულებებს.

აღნიშნული მოდელი საკმაოდ არატიპური და ერთობ უჩვეულოა მკაცრი პარტიარქალური ღირებულებების მქონე საზოგადოებისათვის. როგორც ზოგიერთი კვლევის შედეგებიდან ვგებულობთ, უფრო ტრადიციული ოჯახები ქალების ემიგრაციის წინააღმდეგი არიან (Hofmann, 2014). რა თქმა უნდა, საქართველოდან ქალების ემიგრირება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მისაღები გახდა ზოგადად ქალების მობილობა. გასული ათწლეულის განმავლობაში, ქალებს მიეცათ თავისუფლება ემოგზაურათ, ეკონომიკური საჭიროებებისა თუ საგანმანათლებლო მისწრაფებების გამო (Hakkert & Sumbadze, 2017). გარკვეული პერიოდით საზღვარგარეთ ყოფნის შემდეგ, ისინი, როგორც წესი, ბრუნდებიან სამშობლოში, საკუთარი და-ნაზოგებით, გაუმჯობესებული სტატუსით, მყარი გამოცდილებითა და ამაღლებული თვითშეფასებით. ქ. თელავში მცხოვრებმა 30 წლის ქალმა, ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ 19 წლის ასაკში გერმანიაში იმყოფებოდა ო-პერად. საკუთარ გამოცდილებას იგი დიდი ენთუზიაზმით გვიზიარებდა და გერმანიაში ყოფნის წლებს აღწერდა, როგორც მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპს: *„დღეს გოგონებისთვის უფრო მარტივია მარტო მოგზაურობა, ვიდრე იმ დროს იყო. როდესაც მე გავემგზავრე გერმანიაში, გაცილებით რთული იყო გეკეთებინა ის რაც გსურდა. ამისათვის გარკვეული პროტესტის განწყობა უნდა გქონოდა“.* მთავრობის მიერ შემოთავაზებული გაცვლითი პროგრამები და სტიპენდიები – მაგ., ევროკავშირთან პარტნიორობის ფარგლებში – მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აღნიშნულ პროცესში. საერთო ჯამში, ყველა ექსპერტმა, რომ-ლებთანაც ჩვენ აღნიშნულ საკითხზე ვისაუბრეთ, განაცხადა, რომ გადაადგილების თავისუფლებისა და საერთაშორისო მიგრა-ციის თვალსაზრისით, დღეს ქართველ ქალებს მათ თანატოლ მამაკაცებთან უფრო თანაბარი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ათი წლის წინ ჰქონდათ.

მიუხედავად ყველაფრისა, ქართველი ქა-ლების გარე მიგრაცია, გარდა თვით-განვითარებისაკენ მათი სწრაფვისა, სიდუხ-ჭირით და ეკონომიკური საჭიროებებით არის განპირობებული. ქ. თბილისში მიგ-რაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, საზღ-ვარგარეთ ემიგრაციაში მყოფი ქალების სიჭარბის მიზეზები, 1990-იანი წლების და-საწყისის კრიზისში უნდა ვეძიოთ, როდესაც ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციას მამა-კაცების სამუშაო ადგილების გაქრობა მოჰყვა. ამ შემთხვევაში, ქართველი ქალები უფრო შეუპოვრები აღმოჩნდნენ და სამუშაო ძალაში მამაკაცები ჩაანაცვლეს, მათ შორის საერთაშორისო ემიგრაციაში გამგზავრებით.

ჩვენ მიერ გამართული ინტერვიუების დროს, ზოგიერთმა რესპოდენტმა ქალების ემიგრაციის მიზეზად ქართველი მამაკაცებისათვის დამახასიათებელი სიზარმაცე დაასახელა. მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზი უდევს საფუძვლად, ქალების ემიგრაციამ ზემოქმედება იქონია ოჯახებში ამ ქალების ეკონომიკური მნიშვნელობის აღქმაზე. ზოგიერთი მათგანი ოჯახში ძირითადი შემოსავლების შემომტანი გახდა და ოჯახის მარჩენალის სოციალური როლი მოირგო. მათი ფულადი გზავნილები, რომლებიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად საშუალოდ $ 400 შეადგენდა თვეში, მალევე იქცა ოჯახის ბიუჯეტის არსებით კომპონენტად. აღნიშნული ფულადი გზავნილები, ზოგჯერ, თუმცა არა სისტემატურად, ბიზნესს ხმარდება: ამჟამად ქ. თელავში მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელიც ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა, მოგვიყვა, რომ ხუთი წლის განმავლობაში ირლანდიაში მუშაობდა ბავშვის მომვლელად, დღეში 18 საათის განმავლობაში და იმ ფულადი გზავნილებით, რომელსაც იგი ოჯახს უგზავნიდა, მისმა ოჯახმა მოახერხა საქართველოში აეშენებინა პატარა ოჯახური სასტუმრო. საზღვარგარეთ მყოფი ქალები უფრო დიდ თანხებს აგზავნიან საკუთარ ოჯახებში და უფრო რეგულარულად, ვიდრე საზღვარგარეთ მყოფი მამაკაცები.[38] მიუხედავად ამისა, ქალებს ძვირად უჯდებათ გაზრდილი ეკონომიკური როლი. საქართველოდან ემიგრირებული ქალები, ჩვეულებრივ, არაფორმალურ სექტორში საქმდებიან, ოჯახში დამხმარეებად ან მომვლელებად. მათ უწევთ მათი კვალიფიკაციისათვის შეუსაბამო სამუშაოს შესრულება, რომელიც არ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, მათი შემოსავლების დაცვას და არ სთავაზობს მათ კარიერული წინსვლის პერსპექტივას. ენის ბარიერი და არასაკმარისი ინსტიტუციური მხარდაჭერა, აფერხებს მასპინძელ ქვეყანაში მათ ინტეგრირებასა და ამცირებს ღირსეული საარსებო საშუალებათა მოპოვების შესაძლებლობებს.

38 მამაკაცები უფრო ხშირად რუსეთში მიდიან ემიგრაციაში, სადაც გაცილებით უფრო ნაკლებს გამოიმუშავებენ ვიდრე დასავლეთ ევროპაში ემიგრირებული ქალები.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებიდან, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო საკითხს წარმოადგენს მიგრაციის თვალსაზრისით არსებული ტენდენციების გავლენა ოჯახში არსებულ გენდერულ ურთიერთობებსა და მამაკაცებისა და ქალების როლებზე. ზოგიერთი ქართველი ექსპერტი, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ, ამტკიცებდა, რომ საქართველოდან ქალების მიგრაცია ზემოქმედებას ახდენს ოჯახში ძალთა გადანაწილებაზე, ვინაიდან ოჯახის წევრი ქალები აღიქმებიან, როგორც ეკონომიკური და სოციალური დატვირთვის მქონე წევრები. აღნიშნული შესაძლებელია განხილული იყოს, როგორც ოჯახში გოგონების ღირებულების აღქმის ხელშემწყობი დამატებითი ფაქტორი. თუმცა არსებული მტკიცებულებები ურთიერთგამომრიცხავი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა და, ზოგიერთი მკვლევარის შეფასებით, ქალების გაზრდილი ეკონომიკური პასუხისმგებლობა არ ანიჭებს მათ ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადამწყვეტი ხმის უფლებას, მათ შორის ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქალები, ხშირად, ირჩევენ არ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ექვემდებარებიან რა ღრმადგამჯდარ სოციალურ ნორმებს მაშინ, როცა მამაკაცები საკუთარი შეხედულებებისამებრ განკარგავენ მათი საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ცოლების მიერ გამომუშავებულ ფულს. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სამშობლოში დარჩენილი ქმრები საზღვარგარეთ სამუშაოდ მყოფი ცოლების მიერ გამოგზავნილ ფულად გზავნილებს მიზნობრივად კი არ ხარჯავენ ან საქმეში კი არ აბანდებენ, არამედ ფლანგავენ და საკუთარ გასართობ-დასასვენებელ საქმიანობებს აფინანსებენ.

გარდა ამისა, ოჯახის წევრის ემიგრაცია, შესაძლებელია არასახარბიელო გამოცდილებად იქცეს მთლიანი ოჯახისათვის: ხანგრძლივი დროით განშორება უარყოფითად მოქმედებს წყვილის ურთიერთობებზე და არღვევს ოჯახის წევრებს შორის არსებულ ჰარმონიას. ყველა

ექსპერტი საქართველოდან, რომლებსაც ჩვენ ინტერვიუ ჩამოვართვით 2014 წელს, თანხმდებოდა იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება, ოჯახის ზოგიერთი წევრის ოჯახიდან მოშორებით ყოფნა უარყოფითად მოქმედებს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებზე. ერთ-ერთმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ დუშეთიდან, განაცხადა: *"რა თქმა უნდა [მიგრაციას] უარყოფითი შედეგები მოჰყვა. ოჯახებში პრობლემები გაჩნდა. ხან ქმარი მიდის საზღვარგარეთ, ხან ცოლი და ამას ოჯახში პრობლემები მოჰყვება"*, ხოლო ერთ-ერთმა ჩვენმა რესპოდენტმა ზუგდიდიდან განაცხადა: *"როდესაც ოჯახი იქმნება, შემდეგ ის აღარ უნდა დაიშალოს"* იმის გამო, რომ მისი წევრები ერთმანეთისაგან მოშორებით ცხოვრობენ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ეკონომიკური საჭიროებებით არის განპირობებული. როგორც სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების, ასევე საზოგადოების წევრების შეფასება განსაკუთრებით მკაცრი შეიძლება იყოს ემიგრაციაში წასული ქალების მიმართ, რომლებსაც ბრალს დებენ საკუთარი ოჯახის „მიტოვებაში" და დედისა და ცოლის ვალდებულებების „არ შესრულებაში". დედობრივი და ქორწინების შედეგად აღებული ვალდებულებების შესრულება კვლავაც რჩება საქართველოში ქალებისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნად (Rekhviashvili, 2010). წლობით ემიგრაციაში ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, ამ ქალების განმეორებით ემიგრაციაში წასვლა იშვიათობას არ წარმოადგენს, რისი მიზეზიც, ხშირად, არის საკუთარი ოჯახიდან გარიყულობის გრძნობა. ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც ამჟამად ქ. თელავში ცხოვრობს, ჩვენთან საუბარში განაცხადა: *"როდესაც მიდიხარ, კარგავ ყველაფერს. მე 13 წელი არ ვიმყოფებოდი საქართველოში, მაგრამ ახლა, როცა დავბრუნდი, კვლავ საზღვარგარეთ მინდა წასვლა. ჩემი შვილები გაიზარდნენ და რაც შეეხება ჩემს ქორწინებას, ის დიდი ხანია დაირღვა"*. ოჯახის გენდერულ შემადგენლობაზე ქალების მიგრაციის პოტენციური გავლენის შეფასება, მარტივი არ არის და, შესაბამისად, უცნობი რჩება.

სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები

ქალთა მობილობისა და შრომის ბაზარზე ჩართულობის ზრდა, ქალთა სტატუსის გაუმჯობესების მაგალითებს წარმოადგენს, თუმცა ოჯახური ნორმები, რომლებიც ღრმადგამჯდარ ტრადიციებსა და ეროვნულ სიამაყეზეა დაფუძნებული, ძნელად ექვემდებარება ცვლილებებს. თვისებრივი ანალიზით ირკვევა, რომ ოჯახისათვის დამახასიათებელი გარკვეული მოლოდინები და ნორმები ჯერ კიდევ დომინირებს საქართველოში. მშობლების როლი მკაფიოდ არის განსაზღვრული და სქესის მიხედვით ერთმანეთისაგან გამიჯნული, სახლის მოვლა და ბავშვებზე ზრუნვა ძირითადად ქალების ვალდებულებად რჩება. სკეპტიკური დამოკიდებულება არსებობს ქორწინებამდე თანაცხოვრებისა და კონტრაცეფციის მიმართ. ერთ-ერთმა გინეკოლოგმა ქ. თელავიდან განაცხადა, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტროლის მიზნით სამედიცინო შემოწმებას ძალიან იშვიათად გადიან გოგონები, რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში, რაც კულტურულ ნორმებსა და იმის შიშს უკავშირდება, რომ მათ გაკიცხავენ და განსჯიან: *„თუ ისინი თელავში ცხოვრობენ, მაგ., ირჩევენ აღნიშნული სამედიცინო შემოწმება ქ. თბილისში გაიარონ, რადგან ფიქრობენ რომ ეს სამარცხვინოა"*. გარდა ამისა, ახალგაზრდა ქალები, *"შეიძლება იყენებდნენ კონტრაცეპტივებს, თუმცა მათ შესახებ ინფორმაციას ინტერნეტიდან ან მეგობრებიდან იღებენ, ნაცვლად იმისა, რომ ისარგებლონ ექიმის დანიშნულებით"*. მსგავსად ამისა, დიდ პრობლემას წარმოადგენს სექსუალური უმცირესობების სოციალური ინტეგრაცია და მათი უფლებების აღიარება.

თუმცა დამოკიდებულებები და ქცევა ცვლილებებს განიცდის. ამის ერთ-ერთ მაგალითს განქორწინების მაჩვენებლის სწრაფი ზრდა წარმოადგენს, რომელიც თანდათან მისაღები ხდება საზოგადოებისათვის. კავკასიის ბარომეტრის კვლევის თანახმად, იმ ქართველების პროცენტული წილი, რომელთა შეხედულებითაც განქორწინებას არანაირი გამართლება არ აქვს, 2011 წელს და-

ფიქსირებული 60 პროცენტიდან 48 პროცენტამდე შემცირდა 2015 წელს. ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი კარგად არის გაშუქებული 2017 წელს გამოსულ ქართულ ფილმში – ჩემი ბედნიერი ოჯახი,[39] რომელშიც 52 წლის, განათლებული თბილისელი ქალის ისტორიაა აღწერილი: საკუთარი ქორწინებით იმედგაცრუებული ქალი ტოვებს ოჯახს, რომელშიც რამდენიმე თაობის წარმომადგენლები ერთად ცხოვრობენ, ქირაობს ბინას და იწყებს ყველასაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას. გარდა ამ მაგალითისა, სოციოლოგებთან ჩვენ მიერ წარმოებულ საუბრებში, ქ. თბილისი გამოიკვეთა, როგორც ადგილი საქართველოში, სადაც გენდერთან და ოჯახთან დაკავშირებული ინოვაციური სიტუაციები იჩენს თავს და, საიდანაც ისინი შესაძლებელია გავრცელდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს დედაქალაქი სოციალური ინოვაციების ერთგვარ ცენტრს წარმოადგენს.

რომ შევაჯამოთ, უახლესი ტენდენციების კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენდერის სფეროში წინგადადგმული ნაბიჯები ქართულ ოჯახებში ქალის სტატუსის ამაღლების საწინდარი გახდა. ქალთა მობილობისა და ეკონომიკურ რესურსებზე წვდომის ზრდის წყალობით, ქალები დღეს მოქმედების უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობენ და მათ ხმას, ოჯახში მისაღებ გადაწყვეტილებებში, გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ის ფაქტი, რომ ოჯახთან დაკავშირებული ზოგიერთი ტაბუს მოხსნის ტენდენცია შეინიშნება (მაგ., განქორწინება), წარმოადგენს აღნიშნული მიმართულებით წინსვლის, როგორც სიმპტომს, ასევე ხელშემწყობ ფაქტორს. ზემოთ აღნიშნულმა პროცესებმა, დიდი ალბათობით, ზოგიერთი პატრიარქალური მოთხოვნის შერბილება გამოიწვია, შესუსტდა ზღვარი იმ პასუხისმგებლობებსა და პრივილეგიებს შორის, რომლებიც გოგონებსა და ვაჟებს შორის არსებობდა და რომლებიც უკავშირდებოდა საცხოვრებელ გარემოში განხორციელებულ პრაქტიკასა და მოლოდინებს, ხანდაზმულობის ასაკში მყოფ მშობლებზე ზრუნვას და მემკვიდრეობის საკითხებს. რომელთა შემთხვევაშიც არსებული სხვაობა დღესდღეობით შემცირებულია. აღნიშნულმა პროცესებმა, სავარაუდოდ დიდი როლი ითამაშა ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენციის შესუსტების მიმართულებით, რაც წინამდებარე ანალიზის ძირითად საკითხს წარმოადგენს. თუმცა გენდერის სფეროში ჩვენ მიერ განხილული ზოგიერთი წინსვლა არ არის სრულყოფილი და, რიგ შემთხვევაში, საპირისპირო შედეგების მომტანიც კი არის, რაზეც საკმაო რაოდენობის მტკიცებულება მეტყველებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების ტენდენციები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ სათანადო ახსნა მოვუძებნოთ სქესის შერჩევის პრაქტიკიდან გადახვევას, თუ არ გავითვალისწინებთ მათ ურთიერთქმედებას სხვა კონტექსტუალურ ფაქტორებთან, რომლებზეც ზევით ვისაუბრეთ.

6.4 დამატებითი კომენტარები

წინამდებარე მონოგრაფიის წინა ნაწილში განხილულია რამდენიმე ჰიპოთეზა, რომლებიც უკავშირდება დემოგრაფიული, ინსტიტუციონალური და ოჯახებში მიმდინარე ცვლილებების პოტენციურ როლს საქართველოში გენდერული ტენდენციურობის თვალსაზრისით არსებულ ტენდენციებში.

წინამდებარე თავის დასაწყისში, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილება მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში შობადობის მაჩვენებლის ზრდისა და შემცირების ტენდენციებს. თუმცა აღნიშნული კავშირი, თავისთავად, არ წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ ამ ორ ტენდენციას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს, არამედ ყურადღებას ამახვილებს იმ პოტენციურ კავშირზე, რომელიც არსებობს შობადობის დაბალ მაჩვენებლებსა და სქესის შერჩევის პრაქტიკის გამოყენების ინტენსიურობას შორის. თუმცა ჩვენ ასევე

39 ჩემი ბედნიერი ოჯახი – ფილმის რეჟისორები ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი.

აღვნიშნეთ, რომ რეპროდუქციულ ქცევაში ცვლილებებით შესაძლებელია აიხსნას ქვეყანაში დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის ზრდისა და შემცირების ტენდენციები. გასული 25 წლის განმავლობაში დაფიქსირებულ მკვეთრ ცვლილებებს, შობადობის მაჩვენებლის ცვლილებასთან ერთად, დიდი ალბათობით, ხელს უწყობდა სხვა მექანიზმები, მათ შორის ჩვენ დავასახელეთ რეპროდუქციული ტექნოლოგიების შემოტანა ქვეყანაში, რამაც დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის ზრდის ტენდენციას მისცა დასაბამი, 1990-იანი წლებში. თუმცა ტექნოლოგიების მიწოდების ფაქტორს, როგორც ჩანს, არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირებაზე, რომელიც ქვეყანაში ბოლო პერიოდში აღინიშნება.

აქედან გამომდინარე, ყველაზე ბოლოს განხილული ჰიპოთეზა ეხებოდა გარემო ფაქტორების, კერძოდ ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გავლენას ქვეყანაში გენდერული ტენდენციურობის შესუსტებაზე. პირველ რიგში, ჩვენ გამოვყავით ინსტიტუციონალური ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში. სახელმწიფოს გამოცოცხლებასა და მის აქტიურ ჩართვას საქართველოს საზოგადოებრივ მოვლენებსა და ეკონომიკაში წინ უსწრებდა პოლიტიკური და ინსტიტუციონალური მარცხი. აღდგა სოციალური მომსახურების სისტემა და ამასთანავე გაიზარდა ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ხარისხი. უკანასკნელ წლებში, ასევე, საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ახალი, გენდერული თანასწორობით გაჯერებული ღირებულებები და სოციალური ნორმები და გაუმჯობესდა საზოგადოებაში ქალთა ჩართვის კონკრეტული მექანიზმები. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაფასებთ იმ მასშტაბებს, რა მასშტაბებითაც მიმდინარე გარდაქმნებმა თანაბრად მოიცვა საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა.

რაოდენობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ეთნიკური უმცირესობები კვლავაც მიმართავენ სქესის შერჩევის პრაქტიკას დაგაცილებითუფროინტენსიურად, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი (იხ. *ცხრილი 5.6*). აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს ის ფაქტი, რომ არსებობს ტერიტორიები, სადაც ოჯახები მკაცრად იცავენ პატრიარქალურ ნორმებს. აღნიშნული ტენდენცია მკვეთრად არის გამოხატული უმცირესობებში, როგორიცაა მაგ., ქისტები (ან ჩეჩნები), სომხები და აზერბაიჯანელები. აღნიშნულ ჯგუფებში, ქალები „ორმაგი" დისკრიმინაციის ობიექტებს წარმოადგენენ, როგორც ქალები და, როგორც უმცირესობათა წევრები.[40] სკოლაში სწავლის ადრეულ ეტაპზე შეწყვეტა, ადრეულ ასაკში ქორწინება და საცოლის მოტაცება, ოჯახში ძალადობა, მაღალი შობადობა, ფორმალურ სექტორში დასაქმებისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობების არ ქონა წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური დისკრიმინაციის იმ ძირითად გამოვლინებათა მხოლოდ მცირე ჩამონათვალს, რომლის მსხვერპლსაც წარმოადგენენ სასოფლო დასახლებებში მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალები. ქისტი ქალები ანალოგურ სიტუაციაში იმყოფებიან იმ გარემოში, სადაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ სუნიზმისა და სალაფიზმის აღზევებას ჰქონდა ადგილი. ამისაგან განსხვავებით, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების ჯგუფები ნაკლებ კონსერვატიულები არიან გენდერისა და ოჯახის საკითხებთან მიმართებაში. თუმცა სომეხი ქალები ხშირად ცხოვრობენ რეგიონებში, რომლებიც, ძირითადად, უმცირესობებით არის დასახლებული, კულტურის თვალსაზრისით ჩაკეტილ საზოგადოებას წარმოადგენს და სადაც ქალებს სერიოზული ბარიერები ექმნებათ განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების თვალსაზრისით.

ეთნიკური იზოლაცია და გეოგრაფიული სიშორე სოციალურ მარგინალიზაციას უკავშირდება. ჩვენ მიერ ჩატარებული საველე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ამ უმცირესობების წევრები შესაძლებელია არ არიან სრულად ინტეგრირებული

40 იხ. სუმბაძე და თარხან-მოურავი (2005 წ.); პეინჰოპ (2014); გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2014 წ.)

საჯარო და კერძო ინსტიტუტებთან. ეს, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც ახსნიდა იმას, თუ რატომ არის მათ შორის დაფიქსირებული მაჩვენებლები ესოდენ განსხვავებული ძირითადი დემოგრაფიული ტენდენციებისაგან (განსაკუთრებით, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი).[41] მაგ., კახეთის ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ აზერბაიჯანელებს, ხანდახან სერიოზული დაბრკოლებები ექმნებათ მომსახურების მიღების თვალსაზრისით, ენის ბარიერის გამო (ბევრმა მათგანმა არ იცის ქართული).[42] საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან დახმარების მიღების კიდევ ერთ პოტენციურ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს პირადობის მოწმობის არქონა. სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელმა, ქ. თელავიდან, ჩვენთან საუბარში განაცხადა: *„არიან პირები, რომლებსაც არ აქვთ პირადობის მოწმობა. მაგ. ჩეჩნები [ქისტები]. თუმცა იღებენ თუ არა ეს პირები მომსახურებას, იმის გამო რომ მათ პირადობის მოწმობები არ აქვთ, ჩვენთვის უცნობია. ეს ჩვენი სამსახურის კომპეტენციას სცდება“.* კულტურული თავისებურებების, საცხოვრისების გეოგრაფიული მდებარეობისა და ეთნიკური თუ პოლიტიკური მარგინალიზაციის ერთობლიობა განაპირობებს ქალების დაუცველობის მაღალ დონეს, რომლებიც, როგორც წესი, ცხოვრობენ პატრიარქალურ ოჯახებში და აძლიერებს ნათესაობრივ ღირებულებებს, რომლის ძირითად პრიორიტეტს ვაჟის გაჩენა წარმოადგენს.

საქართველოს დანარჩენ ნაწილებში და ქ. თბილისში, რომელიც საქართველოს მასშტაბით თანამედროვეობის შუქურას წარმოადგენს, ახალმა კულტურამ – სახელმწიფოს, ბაზრის და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერებასთან ერთად – აშკარა გავლენა იქონია ოჯახურ ნორმებზე და ზოგიერთი ამ ნორმის შერბილება გამოიწვია. გარდა ამისა, აღნიშნულ პროცესებს თან სდევდა მედიის გააქტიურება, რამაც სავარაუდოდ, გავლენა იქონია ინდივიდის დამოკიდებულებებსა და შეხედულებებზე. გარდა იმისა, რომ შობადობის ტენდენციების ცვლილებამ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კლება გამოიწვია, გენდერული თანასწორობის აღდგენა ხელს უწყობს ოჯახში როლების თანაბარ გადანაწილებას და გოგონების სათანადოდ დაფასებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს პროცესები ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის, არამედ 2000-იან წლებში საქართველოში მიმდინარე ღრმა გარდაქმნების შედეგად მიღებული ერთი მთლიანი სურათის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს.

41 20 წელს გადაცილებულმა ქისტმა ქალმა, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ მის მიზანს წარმოადგენდა ერთი ვაჟი მაინც გაეჩინა მომავალში, განაცხადა, რომ არც იგი, და არც მისი თემის რომელიმე წევრი, სესხს არ აიღებდა ბანკიდან: „ისლამი გვიკრძალავს სესხის აღებას“ – განაცხადა მან.

42 Hakkert & Sumbadze (2017) მიერ მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გამოთვლა გვაძლევს ინფორმაციას უმცირესობათა წარმომადგენელი იმ ქალების რაოდენობის შესახებ, რომლებმაც არ იციან ქართული ენა.

7. დასკვნა და რეკომენდაციები

თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაფუძნებული ჩინა ანალიზის (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015 წ. ა), დაბადების რეგისტრის მონაცემებისა და მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებული მიკრომონაცემების თანახმად, საქართველო მიეკუთვნება მსოფლიო მასშტაბით იმ ქვეყნების მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებშიც პრენატალური დიაგნოსტიკის შემოტანამ – აბორტის ხელმისაწვდომობასთან ერთად – ხელი შეუწყო მოსახლეობის ნაწილში სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის დანერგვას, რომელიც არასასურველი სქესის ბავშვის – გოგონას – დაბადების თავიდან ასაცილებლად გამოიყენებოდა. აღნიშნული ტენდენცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში გავრცელდა სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან, საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის მეტად მტკივნეულ პერიოდში. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა საკმაოდ სწრაფი ზრდა განიცადა 1991 წლის შემდეგ და საქართველოში შეადგინა 110–115 ბიჭი ყოველ 100 გოგონაზე, 1990–იანი წლების ბოლოსა და 2000–იანი წლების დასაწყისში. 2000–იან წლებში, საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი სხვაობა რეგიონებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი მაღალ ნიშნულზე მერყეობდა. ბევრი მკვლევარის აზრით, საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა სამხრეთ კავკასიის მეზობელ ქვეყნებში – სომხეთსა და აზერბაიჯანში – არსებული მდგომარეობისაგან, რომლებშიც, ასევე, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა.

თუმცა 2016 წელს, წინამდებარე კვლევა დაწყების მომენტისთვის, ისევ რჩებოდა პასუხგაუცემელი რამდენიმე შეკითხვა, რის მიზეზსაც, ძირითადად, მონაცემთა ნაკლებობა წარმოადგენდა. არ არსებობდა საკმარისი ინფორმაცია საქართველოში და რეგიონის სხვა ქვეყნებში არსებულ ტენდენციებს შორის სხვაობისა და მსგავსების შესახებ და, ასევე, ქვეყნის შიგნით სოციალურ ჯგუფებსა და რეგიონებს შორის არსებული სხვაობების შესახებ. გარდა ამისა, არ იყო ცნობილი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის სამომავლო ტენდენციები, რომლის განსაზღვრაც 2000–იანი წლებიდან მოყოლებული ამ მაჩვენებლის ქცევის შესწავლით იქნებოდა შესაძლებელი. შესაბამისად, საჭირო გახდა 2014 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემთა ანალიზი, უკანასკნელ წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილებების გადასამოწმებლად და, ასევე, მოსახლეობის აღწერის მონაცემებისა და დაბადების რეგისტრის მონაცემების შედარება, იმის გასარკვევად, ემთხვეოდა თუ არა ამ ორი წყაროდან მიღებული მონაცემები ერთმანეთს. წინამდებარე მონოგრაფიის მიზნებიდან გამომდინარე, დეტალურად იქნა შესწავლილი მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე არსებული სიტუაცია და, ასევე, უკანასკნელ პერიოდში დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები. წინამდებარე მონოგრაფიაში მოცემული ინფორმაცია ავსებს 2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს, იყენებს რა მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებულ მიკრომონაცემებსა და დაბადების რეგისტრაციის ახალი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, მაგ., როგორიცაა საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო).

7.1 ძირითადი დასკვნები

2014 წლის აღწერის მომენტისთვის, საქართველო ჯერ კიდევ ხასიათდებოდა ოჯახის ტრადიციული სისტემით და ადგილი ჰქონდა გენდერული ტენდენციურობის რამდენიმე გამოვლინებას. მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებულ მიკრომონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში სხვადასხვა ტიპის ოჯახებია წარმოდგენილი, რომელთა შორისაც ჭარბობს ოჯახები, რომელთა წევრებიც სხვადასხვა თაობებს განეკუთვნებიან. მიგრაციისა და შობადობის მაღალი მაჩვენებლებისა და ინდივიდუალიზმის ზრდის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის 43 პროცენტი ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლებშიც სამი თაობაა წარმოდგენილი. რთულ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების წილი 60 პროცენტს აღემატება. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ადაპტირებულია გარემოსთან, სადაც მრავალი თაობაა წარმოდგენილი, რომელიც – 82 პროცენტის შემთხვევაში – პატრილინეალურ ოჯახებს წარმოადგენს (ე.ი. წყვილებს, რომლებიც ქმრის მშობლებთან ერთად ცხოვრობენ). გარდა ამისა, მოსახლეობის აღწერის მონაცემები აჩვენებს, რომ ქალების ნახევარზე მეტი 22 წლამდე ასაკში ქორწინდება, რაც, ევროპული სტანდარტებით, ქორწინების შედარებით ადრეულ ასაკს წარმოადგენს. მშობლებთან თანაცხოვრება ყველაზე ხშირია ახალდაქორწინებულ წყვილებს შორის. ადრეულ ასაკში ქორწინება ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ქალები ბავშვებს 20 წლამდე ასაკში აჩენენ და, რომ ქალების ნაყოფიერების პიკი 30 წლამდე ასაკში მიიღწევა. თუმცა საქართველოში, შობადობა კვლავ დაბალია და ერთ ქალზე საშუალოდ ორ ბავშვს შეადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება 2000-იანი წლების შუა პერიოდთან შედარებით, როდესაც შობადობა ყველაზე დაბალ ნიშნულზე ფიქსირდებოდა.

წინამდებარე ანალიზისათვის მნიშვნელოვანია კიდევ ერთი სფერო, რომელიც უკავშირდება გენდერული ტენდენციურობით განპირობებულ რეპროდუქციულ ქცევას და სადაც, მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებისას, ცვლილება თითქმის არ ფიქსირდება. მოსახლეობის აღწერიდან მიღებული მიკრომონაცემების საშუალებით შესაძლებელია იმის გარკვევა, იღებენ თუ არა საქართველოში მცხოვრები მშობლები მომდევნო შვილის გაჩენის შესახებ გადაწყვეტილებას უკვე დაბადებული ბავშვების გენდერული შემადგენლობიდან გამომდინარე. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ მშობლები ბიჭის გაჩენის სურვილით აჩენენ მომდევნო ბავშვებს. შობადობა გაცილებით მაღალია იმ ქალებს შორის, რომლებსაც არ ჰყავთ ვაჟი, იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც ვაჟი უკვე ჰყავთ. იმ წყვილებში, რომლებსაც ორი ან მეტი გოგონა ჰყავთ და არ ჰყავთ ვაჟი, მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა ორჯერ უფრო მაღალია იმ წყვილებთან შედარებით, რომლებსაც უკვე ჰყავთ ვაჟი.

შესაბამისად, არ არის გასაკვირი ის, რომ, მოსახლეობის 2014 წლის აღწერამდე პერიოდში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა მსგავს გენდერულ ტენდენციურობაზე მეტყველებს. 2010-2014 წლებში, იმ ოჯახებში, რომლებსაც არ ჰყავთ ვაჟი, მესამე ბავშვების შემთხვევაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი 170-ს აღემატებოდა მაშინ, როცა იგივე პერიოდში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის საშუალო კოეფიციენტი 109-ს უტოლდებოდა. განსხვავებით ამისგან, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები არ აღინიშნება იმ მშობლებს შორის, რომელთაც უკვე ჰყავთ ვაჟი. თუმცა დიფერენცირებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მესამე და მომდევნო ბავშვების შემთხვევაში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის რეკორდულად მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება, მესამე და მომდევნო ბავშვებში დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობა, სულ გაუჩინარებული გოგონების რაოდენობის მხოლოდ 60 პროცენტს შეადგენს. დაბადებული ვაჟების საკმაოდ

მაღალი წილი პირველ (25 პროცენტი) და მეორე (14 პროცენტი) ბავშვებზე მოდის, რაც იმის მაჩვენებელია, რომ 2010–2014 წლებში მშობლების დიდი ნაწილი სქესის შერჩევის პრაქტიკას მიმართავდა პირველი და მეორე ბავშვების შემთხვევაში.

მოსახლეობის აღწერისა და დაბადების რეგისტრის უახლესი მონაცემები იძლევა საშუალებას გავაღრმაოთ ანალიზი და გამოვავლინოთ, ქვეყნის ფარგლებში, გენდერული ტენდენციურობის ცვალებადობის გამომწვევი ძირითადი წყაროები. გამოვიყენეთ რეგიონალური, კულტურული და სოციალურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მთელი რიგი, დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ის მაღალი და დაბალი მაჩვენებლების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორების გამოსავლენად. ერთი მხრივ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტი უკავშირდება რამდენიმე ძირითად ცვლადს, როგორიცაა, შინამეურნეობები, რომელთა არსებობის საშუალებათა წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, ეთნიკური უმცირესობები, განათლების დაბალი დონე და დაბალი სოციალურ–ეკონომიკური სტატუსი. დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება საქართველოს სამხრეთ–აღმოსავლეთით მდებარე სამ რეგიონში, რომლებიც ესაზღვრება სომხეთსა და აზერბაიჯანს, სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ასევე მაღალია. საკმაოდ მაღალი თანხვედრა ფიქსირდება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის, თუმცა მათგან შესაძლებელია გამოვყოთ ფაქტორები, რომლებიც განსაკუთრებულად უწყობს ხელს აღნიშნული მაჩვენებლის ზრდას, რაც დადასტურდა მრავალფაქტორული ანალიზის შედეგად. მაგ., 2010–2014 წლებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის საშუალო კოეფიციენტი შეადგენდა 126–ს აზერბაიჯანელთა შორის და 117–ს სომეხთა შორის მაშინ, როცა ქართველებს შორის იგივე მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 107–ს. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ასევე მაღალია იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც მრავალი თაობის წარმომადგენლები ერთად ცხოვრობენ.

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ნორმასთან მიახლოებული კოეფიციენტი ფიქსირდება საქალაქო დასახლებებში მცხოვრებთა შორის, განათლების მაღალი დონის მქონე მოსახლეობაში და უფრო შეძლებულ შინამეურნეობებში. სხვა ცვლადებთან შედარებისას ირკვევა, რომ დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ის დაბალ მაჩვენებელს განსაკუთრებით შემდეგი ორი მახასიათებელი განაპირობებს: ქ. თბილისში ცხოვრება და სოციალური დახმარებით სარგებლობა. ეს უკანასკნელი იმაზე მეტყველებს, რომ სოციალური დახმარება ამცირებს ვაჟებზე მოთხოვნას, რაც ერთგვარად უცნაური აღმოჩენაა. სხვა მხრივ, საქართველოს დედაქალაქი წარმოადგენს ადგილს, სადაც სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკა არ არის გავრცელებული, ვინაიდან ქ. თბილისში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი დიდი ხანია ნორმის ფარგლებშია. საინტერესოა, რომ ქ. თბილისში დამკვიდრებული ცხოვრების წესი ასევე განაპირობებს რეპროდუქციულ ქცევაში გენდერული ტენდენციურობის ყველაზე დაბალ დონეს, სხვა სოციალურ–ეკონომიკური ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად, როგორიცაა მაგ., მაღალი შემოსავალი ან განათლების მაღალი დონე. ქ. თბილისი გაცილებით უფრო კოსმოპოლიტურია, ვიდრე ქვეყნის ყველა სხვა რეგიონი თუ ნაწილი და ეს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეპროდუქციულ და სქესის შერჩევასთან დაკავშირებულ ქცევაში გენდერული ტენდენციურობის არსებობაზე.

წინამდებარე მონოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება თანამედროვე ტენდენციების კვლევას, რომელიც იწყება დაბადების რეგისტრის გამოთვლებით, რომელთა თანახმადაც, 2016 წელს, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი

თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენდა 105 ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე. მოსახლეობის აღწერისა და სხვა წყაროების მონაცემთა საფუძველზე, შეგვიძლია აღვადგინოთ 1990-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ის ტენდენციის განვითარების სურათი. პირველ რიგში, დადასტურდა, რომ 1991 წლიდან მოყოლებული, ადგილი ჰქონდა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის მკვეთრ ზრდას; აღნიშნულმა კოეფიციენტმა ზრდა შეწყვიტა 2000 წლამდე და მაღალ ნიშნულზე (დაახლ. 114) შენარჩუნდა გარკვეული დროის განმავლობაში. ამავდროულად, ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა კლება დაიწყო და 2009 წელს შეადგინა 110, ხოლო 2016 წელს – 105. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის მიხედვით შედგენილი მრუდი თავდაპირველად აღმავალ, ხოლო შემდეგ დაღმავალ ტენდენციას ავლენს, რაც სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის 25 წლიანი ციკლს გვაძლევს, რომელიც თავდაპირველად დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ის მაჩვენებლის ზრდითა და შემდეგ კლებით ხასიათდება. შესაძლებელია ნაადრევი იყოს იმის მტკიცება, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით საქართველოში მიმდინარე გარდამავალი პერიოდი საბოლოოდ დასრულდა; თუმცა სახეზეა იმის ნიშნები, რომ აღნიშნული მაჩვენებლის ნორმის ფარგლებში ბრუნდება. ჩვენ გამოვარკვიეთ, მაგ., რომ რეგიონებს შორის, ქ. თბილისში ყველაზე ადრე დაფიქსირდა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ბუნებრივი ნორმა, სადაც აღნიშნულმა კოეფიციენტმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, 105 შეადგინა. თუმცა ასევე გამოვარკვიეთ, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ბუნებრივ ნორმისკენ მოძრაობა ფიქსირდება მთელი ქვეყნის მასშტაბითაც. ფაქტობრივად, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაშ მიმდინარე კლების ტენდენცია, 1991 წლიდან დაწყებული ზრდის ტენდენციის სიმეტრიულია. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების საფუძველზე წარმოებული ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საქალაქო დასახლებებში ცხოვრების გარდა, არსებობს რამდენიმე სხვა ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური ცვლადი, რომლებიც უკავშირდება აღნიშნული მაჩვენებლის თავდაპირველ კლებას, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, რომ სქესის შერჩევის პრაქტიკის უარყოფის ტენდენცია საზოგადოების ზედა ფენებიდან დაიწყო და ქვედა ფენებისკენ გავრცელდა. თუმცა დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ის მაჩვენებელი კვლავაც მაღალი რჩება საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონებში, როგორიცაა კახეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, რაც ასევე გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ უმცირესობებს შორის ყველაზე დიდხანს შენარჩუნდება სქესის პრენატალური შეჩევის პრაქტიკა.

ჩვენი მონოგრაფიის ბოლო ნაწილში, ქ. თბილისსა და კახეთში წარმოებული სამუშაოების საფუძველზე, რომელიც ექსპერტებთან და მოსახლეობასთან ინტერვიუებსა და გასაუბრებებს მოიცავდა და ასევე, საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულ გარდაქმნათა ანალიზის საფუძველზე, ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა იმ სხვადასხვა პოტენციური ფაქტორებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შემცირებას. 2017 წლის დასაწყისში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლების ტენდენციის მტკიცდება შემდეგით: 1. დროის პერიოდით (2003 წლის შემდგომი), 2. ზედა ფენებიდან ქვედა ფენებისაკენ მიმართულებით (პრივილიგირებულ ჯგუფებში აღნიშნული ტენდენცია ფიქსირდება ყველაზე ადრე) და 3. ქ. თბილისის ლიდერობით სადაც, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში იყო 2010 წლამდე. ჩვენ განვიხილეთ აღნიშნული კლების ტენდენციასთან დაკავშირებული რამდენიმე ჰიპოთეზა.

ძირითადი თეორია უკავშირდებოდა მიკროდონეზე მიმდინარე იმ ცვლილებებს, რომლებსაც ქვეყანაში ვარდების რევოლუციის შემდეგ ჰქონდა ადგილი და რომელიც განსაკუთრებით შეეხო მანამდე თითქმის უფუნქციო სოციალური დაცვის სისტემას. 2005 წლის შემდეგ, სოციალური დაცვის, პენსიებისა და სხვა პოლიტიკური მიმართულებების შემოტანა და დანერგვა საქართველოში, გარდამტეხ ფაქტორად იქცა, რადგან აღნიშნულ სფეროებში გატარებული რეფორმების შედეგს წარმოადგენდა ტრადიციული პატრილინეალური ოჯახის ჯანმრთელობის პრობლემების, უმუშევრობისა და ხანდაზმულ ასაკთან დაკავშირებული საფრთხეებისაგან დაცვის ფუნქციების, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ეტაპობრივი გადაბარება. გარდა ამისა, 2003 წელს ქვეყანაში იწყება შობადობის მაჩვენებლის ზრდა, რომელმაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია 2010 წელს და ერთგვარად შეარბილა შობადობის „შეზღუდვის ფაქტორი" — ვაჟის გაჩენის აუცილებლობა, როდესაც უკვე დაბადებული ბავშვების რაოდენობა ორზე ნაკლებია. აშკარაა კავშირი დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტსა და შობადობის წლიურ მაჩვენებელს შორის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ წყვილების მზარდი რაოდენობა ბავშვების სასურველი გენდერული შემადგენლობის მიღწევას დამატებითი ბავშვების გაჩენის გზით ცდილობს და არა სქესის პრენატალური შერჩევით. გარდა ამისა, აღნიშნული გარდაქმნები დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ქალებისათვის პირობები ეტაპობრივად უმჯობესდებოდა და მათ უფრო მეტი ავტონომიის მოპოვება შეძლეს და, ასევე, პერიოდს, როდესაც საქართველოში ფართოდ გავრცელდა ახალი ღირებულებები – მედია არხებით, ცხოვრების წესში ცვლილებებით თუ პირდაპირი პოლიტიკური გავლენით.

მოცემული სხვადასხვა ჰიპოთეზები შესაბამისობაშია ჩვენი დაკვირვების შედეგებთან, რომელთა თანახმადაც იკვეთება ქ. თბილისის წამყვანი როლი, განხილული ტენდენციის ზედა ფენებიდან ქვედა ფენებისაკენ გავრცელება და დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ფიქსირდება აღნიშნული ტენდენცია, თუმცა ვერ მოხერხდა იმ ერთადერთი, უნიკალური ფაქტორის დადგენა, რომელიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირებას იწვევს, რაც საშუალებას მოგვცემდა გაგვეკეთებინა დასკვნები მოვლენათა იმ ჯაჭვის შესახებ, რომელიც დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის შემცირებას იწვევს. საქართველოს უნიკალური სოციალური დინამიკის შესწავლისა და სომხეთსა და აზერბაიჯანისათვის დამახასიათებელ კონტექსტთან (სადაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლება შედარებით ნელა მიმდინარეობს) უფრო სისტემატური შედარების საფუძველზე შესაძლებელი გახდა გამოგვეყო ის ფაქტორები, რომლებიც საქართველოში დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლის კლებას განაპირობებს და საქართველოს გამოცდილება მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის გაგვეზიარებინა.

7.1 რეკომენდაციები

წინამდებარე მონოგრაფია ადასტურებს საქართველოში ორი, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი პროცესის არსებობას: მოსახლეობის 2014 წლის აღწერის პერიოდისათვის – ვაჟების მიმართ მკვეთრად გამოხატულ უპირატესობას და, 2017 წლამდე პერიოდში – დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის სწრაფ გაუმჯობესებას. აღნიშნული დასკვნების საფუძველზე, ჩვენ გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომლებიც გასატარებელ პოლიტიკურ კურსს უკავშირდება. წინამდებარე კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ ძირითად საჭიროებას წარმოადგენს იმ სოციალურ დინამიკაზე მეტი ინფორმაციის მოგროვება, რომელიც სქესის შერჩევის პრაქტიკის მინელებას იწვევს და საქართველოს უნიკალური გამოცდილების საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაზიარება.

გენდერული ტენდენციურობის მონიტორინგი

მოსახლეობის 2014 წლის აღწერა და სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემა ახალ შესაძლებლობებს იძლევა ინფორმაციის შევსებისა და სრულყოფის თვალსაზრისით, რაც დიდი ხნის მანძილზე აფერხებდა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების ანალიზს. აღნიშნული ორი წყარო გვაწვდის იმ აუცილებელ მონაცემებს, რომლებიც ქვეყანაში გენდერული ტენდენციურობის თვალსაზრისით არსებული ტენდენციებისა და ქვეყნის შიგნით დაფიქსირებული სხვაობების ეფექტური მონიტორინგის საშუალებას იძლევა. აღნიშნულთან დაკავშირებით ვიძლევით რეკომენდაციას, რომ:

- გაძლიერდეს ძალისხმევა დაბადების რეგისტრაციის სისტემის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა გამოყენებით
- წარმოებულ იქნას სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ხარისხის სისტემატური შეფასება დემოგრაფიული მაჩვენებლების თვალსაზრისით
- ქვეყნის მასშტაბით ჩატარდეს დემოგრაფიული და ჯანმრთელობის კვლევა, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2010 წლის კვლელვის შედეგების განახლების მიზნით
- განხორციელდეს სქესის, დაბადების რიგითობისა და რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული შობადობის წლიური მაჩვენებლების რეგულარული გამოქვეყნების ხელშეწყობა
- განხორციელდეს შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ანალიზის ჩატარებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების სათანადო დონეზე მომზადებისათვის
- უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის მომდევნო აღწერისას გამოყენებულ კითხვარში ბოლო ბავშვის სქესის შესახებ კითხვის შეტანა.

ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების დინამიკის შესწავლა და აღნიშნული პრაქტიკის შემცირება

ჩვენი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის, რომ საქართველოში კვლავ ნარჩუნდება გენდერული ნიშნით მიკერძოებული რეპროდუქციული ქცევა და, ამავდროულად, ეტაპობრივად იკლებს სქესის შერჩევის შემთხვევები. საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, სადაც გენდერული ტენდენციურობის საკითხის მოგვარება დაუშვებელია შემოიფარგლოს მხოლოდ ვიწრო დემოგრაფიული სფეროში. ამასთან დაკავშირებით ჩვენი რეკომენდაციები მოიცავს შემდეგს:

- დაბადებისას ვაჟებისადმი მცირე უპირატესობის მინიჭების ის მაჩვენებელთან დაკავშირებული ოჯახის დინამიკის სოციოლოგიური და დემოგრაფიული კვლევის ხელშეწყობას
- ტრადიციული ოჯახის ღირებულებების შეთავსებას გენდერული თანასწორობის პრინციპებთან და უზრუნველყოფას იმისა, რომ რეპროდუქციული არჩევანი არ უწყობდეს ხელს ოჯახში ვაჟების სასარგებლოდ გენდერული ტენდენციურობის გაძლიერებას
- ყურადღების გამახვილებას ქვეყანაში არსებულ იმ რეგიონებსა და თემებზე, რომლებშიც სქესის შერჩევის პრაქტიკის შემცირება ნელი ტემპით მიმდინარეობს და უზრუნველყოფას იმისა, რომ აღნიშნულ რეგიონებსა და თემებში სქესის შერჩევის პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული ტენდენცია ქვეყნის მასშტაბით არსებულ ტენდენციას გაუთანაბრდეს
- სხვადასხვა ფორმის გენდერული დისკრიმინაციის გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლასა და მათი აღკვეთის მცდელობას. განსაკუთრებით ისეთი გამოვლინებების წინააღმდეგ, როგორიცაა ქონების რეგისტრაცია, გენდერული ძალადობა, ქორწინება და რეპროდუქციული არჩევანი და მემკვიდრეობის განაწილება
- მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში ქალების ჩართულობის ხელშეწყობის გზების ძიებას.

დასკვნების გასაჯაროება და შედარებითი კვლევები

საქართველოში არსებული ვითარება, როგორც ჩანს, არის მაგალითი იმისა, რომ სოციალურ დინამიკას შეუძლია გამოიწვიოს პრენატალური გენდერული ტენდენციურობის შემცირება. საჭიროა დეტალურად იქნას შესწავლილი საქართველოში არსებული გენდერული ტენდენციები და ქვეყნის მიღწევები ამ მიმართულებით. მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი დინამიკის კვლევა საფუძვლად უნდა დაედოს ახალ ხედვას, რომელიც ითვალისწინებს ინსტიტუციონალური გარდაქმნების, დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისა და გაზრდილი გენდერული თანასწორობის მასშტაბური პროცესების მიერ მოტანილ სარგებელს. კონკრეტულად, ჩვენი რეკომენდაციები ითვალისწინებს:

- დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტების კლებისა და საქართველოს მასშტაბით ამ თვალსაზრისით არსებული სხვაობების შესახებ მონაცემთა გასაჯაროებას
- წინამდებარე მონოგრაფიის დასკვნების გასაჯაროებას, საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლების შესახებ მსოფლიო მასშტაბით ცნობადობის ამაღლების მიზნით
- ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის აღკვეთის გლობალური პროგრამის ფარგლებში, ფართო რეგიონში, საქართველოს გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული დასკვნების გაზიარების საშუალებით, ტრანსნაციონალური განათლების ხელშეწყობას
- საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლებაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების როლის დამატებითი კვლევის ხელშეწყობას
- სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებული ვითარების შედარებითი კვლევის ხელშეწყობას, საქართველოში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის კლების ტენდენციის ფონზე, აზერბაიჯანსა და სომხეთში ამ თვალსაზრისით ამჟამად არსებული დინამიკის შესწავლის მიზნით
- ეროვნულ ორგანიზაციებსა და შესაბამის სამთავრობო უწყებებს შორის პარტნიორული ურთიერთობების გაძლიერებას, სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის გენდერის სფეროში გარდაქმნების შესახებ კვლევის, პოლიტიკის და დიალოგის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

- Aliyev, H. (2014). *The Effects of the Saakashvili Era Reforms on Informal Practices in the Republic of Georgia*. Studies of Transition States and Societies, 6 (1), 19-33.
- Baumann, E. (2012). *Post-Soviet Georgia: It's a Long, Long Way to 'Modern' Social Protection*. Economies et Sociétés, 46 (2), 259-285.
- Belli, P., Gotsadze, G., and Shahriari, H. (2004). *Out-of-Pocket and Informal Payments in Health Sector: Evidence from Georgia*. Health Policy, 70 (1), 109-123.
- Bongaarts, J., and Guilmoto, C.Z. (2015). *How Many More Missing Women? Excess Female Mortality and Prenatal Sex Selection, 1970–2050*. Population and Development Review, 41, 2, 241-269.
- Council of Europe (2014). *Prenatal Sex Selection—Monograph, Committee on Equal Opportunities for Women and Men*. Rapporteur: Ms. Doris Stump, Switzerland.
- Curro, C. (2012). *National Gender Norms and Transnational Identities: Migration Experiences of Georgian Women in London*. Slovo, 24 (2), 114-131.
- De Bruijn, B., and Chitanava, M. (2017). *Ageing and Older Persons in Georgia – An Overview Based on the 2014 General Population Census Data*. Tbilisi, Georgia: Geostat; UNFPA.
- Dershem, L., and Gzirishvili, D. (1998). *Informal Social Support Networks and Household Vulnerability: Empirical Findings from Georgia*. World Development, 26 (10), 1827-1838.
- Dragadze, T. (2003). *Rural Families in Soviet Georgia: a Case Study in Ratcha Province*. Routledge, London.
- Dudwick, N. (2014). *"Missing Women" in the South Caucasus: Local Perceptions and Proposed Solutions*, World Bank.
- Duthé, G., Meslé, F., Vallin, J., Badurashvili, I., and Kuyumjyan, K. (2012). *High Sex Ratios at Birth in the Caucasus: Modern Technology to Satisfy Old Desires*. Population and Development Review, 38 (3), 487-501.
- Eelens, F. (2017). *Young People in Georgia - An Overview Based on the 2014 General Population Census Data*. Tbilisi, Georgia: Geostat; UNFPA.
- Gagoshashvili, M. (2008). *Shaping Women's Reproductive Decisions: The Case of Georgia*. Gender and Development, 16 (2), 273-285.
- Gilauri, N. (2017). *Practical Economics. Economic Transformation and Government Reform in Georgia 2004–2012*, Springer, New York.
- Gugushvili, A. (2012). *The (Non) Reform of the Georgian Pension System, 1991-2011: a Brief History and Update.* Norwegian Institute of International Affairs (NUPI).
- Guilmoto, C. Z. (2017). *Gender Bias in Reproductive Behaviour in Georgia, Indonesia, and Vietnam: An Application of the Own-Children Method*. Population Studies, 1-15.
- Guilmoto, C. Z. (2009). *The Sex Ratio Transition in Asia*. Population and Development Review 35, 3, 519-549.
- Guilmoto, C. Z., and Duthé, G. (2013). *Masculinization of Births in Eastern Europe*, Population and Society, INED, 506.
- Guilmoto, C. Z. (2015). *The Masculinization of Births. Overview and Current Knowledge*. Population, 70 (3), 183-244.
- Gzirishvili, D. (2012). *Independent Georgia-Health and Social Protection Systems*. OSGF, Tbilisi.

- Hakkert, R. (2017). *Population Dynamics in Georgia - An Overview Based on the 2014 General Population Census Data*. Tbilisi, Georgia: Geostat; UNFPA.
- Hakkert, R. and Sumbadze, N. (2017). *Gender Analysis of the 2014 General Population Census Data.* Tbilisi, Georgia: Geostat; UNFPA.
- Hofmann, E. T. (2014). *Does Gender Ideology Matter in Migration? Evidence from the Republic of Georgia*. International Journal of Sociology, 44 (3), 23-41.
- Hohman, S., and Lefèvre, C. (2014). *Post-Soviet Transformations of Health Systems in the South Caucasus*. Central Asian Affairs, 1, 1, 48-70.
- Jashi, C. (2005). *Gender Economic Issues: The Case of Georgia*. UNDP, Tbilisi.
- Jones, S. F. (2006). *The Rose Revolution: a Revolution without Revolutionaries?* Cambridge Review of International Affairs, 19 (1), 33-48.
- Kukhianidze, A. (2009). *Corruption and Organized Crime in Georgia Before and After the 'Rose Revolution'*. Central Asian Survey, 28 (2), 215-234.
- Mars, G., and Altman, Y. (1983). *The Cultural Bases of Soviet Georgia's Second Economy*. Soviet Studies, 35 (4), 546-560.
- Peinhopf, A. (2014). *Ethnic Minority Women in Georgia—Facing a Double Burden?*. ECMI Working paper.
- Pignatti, N., (2016). *Encouraging Women's Labor Force Participation in Transition Countries*. IZA World of Labor.
- Pignatti, N., Torosyan, K., and Chitanava, M. (2016). *Toothless Reforms? The Remarkable Stability of Female Labor Force Participation in a Top-Reforming Country*.
- Rekhviashvili, A. (2010). *Nationalism and Motherhood in Contemporary Georgia*. Doctoral dissertation, Central European University.
- Sayın, F. M., and Modebadze, V. (2014). *Georgia's Pro-Western Path: Analysis of the Georgian Foreign Policy in The Post-Soviet Period*. Abant İzzet Baysal Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi.
- Serbanescu, F., Stupp, P., and Westoff, C. (2010). *Contraception Matters: Two Approaches to Aanalyzing Evidence of the Abortion Decline in Georgia*. International perspectives on sexual and reproductive health, 99-110.
- Shelley, L., et al. eds, (2007). *Organized Crime and Corruption in Georgia*. New York, Routledge.
- State Commission on Migration Issues (2015). *2015 Migration Profile of Georgia*. Tbilisi, Georgia.
- Sumbadze, N. (2008). *Gender and Society: Georgia*. Tbilisi: United Nations Development Programme.
- Sumbadze, N., and Tarkhan-Mouravi, G. (2005b). *Gender and Society in Samtskhe-Javakheti*. ISS, Tbilisi.
- UN Women (2014). *Study on the Needs and Priorities of Ethnic Minority Women in the Kvemo Kartli Region*, Tbilisi.
- UNFPA (2012a). *Sex Imbalances at Birth. Current Trends, Consequences and Policy Implications*. UNFPA, Bangkok.
- UNFPA (2012b*). Sex Imbalances at Birth in Albania*. UNFPA, Tiranë.
- UNFPA (2013). *Sex Imbalances at Birth in Armenia. Demographic Evidence and Analysis*. UNFPA, Yerevan.

- UNFPA (2014). *Mechanisms behind the Skewed Sex Ratio at Birth in Azerbaijan*. UNFPA, Baku.
- UNFPA (2015a). *Gender-biased sex selection in Georgia. Context, Evidence and Implications*. UNFPA, Tbilisi.
- UNFPA (2015b*). Preventing Gender-biased Sex Selection in Eastern Europe and Central Asia*. Regional Issue Brief, 4, UNFPA, Istanbul.
- UNFPA (2016). *Gender Bias in Kosovo UNFPA*. ASK and IndexKosova, Pristina.
- UNICEF (2010). *Education in Georgia: Country Profile*. UNICEF.
- Wheatley, J. (2017). *Georgia from National Awakening to Rose Revolution: Delayed Transition in the Rormer Soviet Union*. Routledge, New York.